„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! - მძინარიც ამას ვდუდუნებ" - *ვაჟა*

# განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2018 წ. მაისი * №57 * ფასი 1, 50 ლარი
გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან




თბილისის წმ. სამების ეკლესია (ე. მანჯგალაძის ქ.) XIX ს.




## რა უნდა გვახსოვდეს რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1783-2008)

გვ. 5,6

## ბესარიონ გუგუშვილი სიცრუის ტირაჟირებას განაგრძობს!

გვ. 8

# საქართველო, პოლიტიკაში დაბრუნებული ივანიშვილის მუტანტური ნახტომის მოლოდინში



**ლეილა ცომაია**

მას შემდეგ, რაც ე.წ. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" საპარლამენტო გუნდში, დაპირისპირებამ და განხეთქილებამ საქვეყნოდ იჩინა თავი, ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო; იგი კვლავ პოლიტიკური კოალიციის ლიდერად იქცა, რათა უფრო მკაცრად მართოს და აკონტროლოს პარტია. ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორი მოახლოებული, ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებიცაა. ერთადერთი, ვინც საკუთარ ნება-სურვილის მიხედვით სრულად ვერ მართა ივანიშვილმა, მისივე რჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილია. ყველაზე მეტად, რასაც ვერ პატიობს ივანიშვილი მარგველაშვილს, სააკაშვილისეული პრეზიდენტის სასახლის დაუთმობლობაა. ივანიშვილს, აშკარად გააჩნდა თავისი კერძო ინტერესი პრეზიდენტის ამ პომპეზური სასახლისადმიც, მაგრამ იძულებით მოუწია აღძრული სურვილის რამდენიმე წლით დაოკება. ამ მწველ სურვილსაც, 5 წლის შემდგომ, მაინც აღისრულებს!

ივანიშვილს, საპრეზიდენტო კანდიდატად, იუსტიციის მოქმედი მინისტრი თეა წულუკიანი და სოზარ სუბარი ჰყავს, ჯერ-ჯერობით. წულუკიანი, არაფრით გამორჩე-

*გაგრძელება გვ. 2*

დასაწყისი გვ. 1

ული, ერთ-ერთი მორჩილი მინისტრია ივანიშვილის მთავრობაში, მაგრამ იგი, გენდერული ქვოტით თუ იქნება პატივდებული. წულუკიანი ამუხრუჭებდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გამოძიების საქმეს და აფერხებდა საქმის სამართლებრივ მსვლელობას. პირველი, რასაც წულუკიანი ან სოზარ სუბარი, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში მოიმოქმედებენ, ათონელზე პრეზიდენტის სასახლის მოქმედ რეზიდენციად გადაქცევა იქნება. თუმცა, ივანიშვილის მიერ შერჩეული ყველა საპრეზიდენტო კანდიდატი, სხვა საკითხებშიც, ივანიშვილის პოლიტიკური ნების მონურ გამტარებლად იქცევა. ივანიშვილის მხრიდან საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელების მოლოდინშია, პრემიერ-მინისტრობიდან გადაყენებული და მორჩილად წასული ირაკლი ღარიბაშვილიც. თუ ივანიშვილმა მაინც ვერ გამოუცხადა სრული ნდობა, ვერცერთ საპრეზიდენტო კანდიდატს, არ არის გამორიცხული, თავად დაიკავოს ეს უმაღლესი თანამდებობაც და ესეც, დროებით! მოგეხსენებათ, ბანკირმევახშე ივანიშვილს პოლიტიკის სირთულეები და მისი არცოდნა, პრობლემას სულაც არ უქმნის.

შეიძლება ხმამაღლა ითქვას, რომ ასეთი ერთნაირად მორჩილი პარლამენტი და მთავრობა, კომუნისტური რეჟიმის შემდგომ, არ ჰყოლია არცერთ ხელისუფლებას! ეს, ფულზე დახარბებულ- გაყიდული სახელისუფლო კასტაა, რომლებსაც არ გააჩნიათ, სხვა უფრო მაღალი, ედეურ-სულიერი ფასეულებების ერთობლიობიდან, არცერთი! მათი საქმიანობის არსებითი განმსაზღვრელია ფულის პრიმატი.

ივანიშვილი კი, პოლიტიკაში დაბრუნებით, სახელისუფლო ბერკეტების უფრო მეტად გამყარებას შეეცდება. ამისათვის მას, ყველაზე საიმედოდ, კვლავ პოლიციისა და უსაფრთხოების სამსახურები ეგულება. ეს სახელმწიფო სამსახურები, უკვე მეექვსე წელია ქვეყნის ბუტაფორიად იქცნენ, ისინი სუსტად და უუნაროდ რეაგირებენ ყოველგვარ დანაშაულზე. ღამით, 11 საათის შემდეგ, უფრო მეტად საშიში გახდა ქუჩაში სიარული, ვიდრე რომელიმე ხელისუფლების დროს. მოქალაქეები სრულიად დაუცველები არიან. დანაშაული, ნარკომანია მიშვებულია, კრიმინალი წაქეზებული. მეტროებსა და ავტობუსებში გაჩდნენ 90-იანი წლების ჯიბის ქურდები, ხოლო სოფლებში გახშირდა საქონლის ქურდობა, რითაც კიდევ უფრო მეტად ღატაკდებიან გლეხები. მკვლელობებისა და თვითმკვლელობების რიცხვმა იმატა, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში. ერის დემოგრაფიული მაჩვენებელი კატასტროფულად იკლებს. „ოცნების" მთავრობას კი ბედნიერებისა და თვითკმაყოფილების ღიმილი არ შორდება სახიდან.



ქართველმა ერმა, სრულიად საქართველოს მოსახლეობამ, ივანიშვილი მხსნელად მიიღო, იგი კი დამაქცევრად იქცა! მას არ გააჩნია სირცხვილის, უხერხულობისა და დანაშაულის განცდა ხალხის იმედგაცრუებების გამო. პირიქით, ცდილობს კვლავ შეაყაროს ნაცარი თვალებში გაწბილებულ-გაწამებულ ხალხს. დასტურ, პიროვნულ დეგრადირების მეტყველი პრეცენდენტია!

ქართველ ერს, საქართველოს მოსახლეობას აღარა აქვს იოტისოდენი ნდობა და იმედი, არც არსებული ხელისუფლებისა და არც ოპოზიციური პარტიების მიმართ. „ნაციონალური მოძრაობიდან" გამოყოფილი პოლიტიკური ძალები „ევროპული საქართველო„-დან (დ. ბაქრაძე, გ. ბოკერია, ს. კაპანაძე...), სააკაშვილის წინადადებას ერთიანი საპრეზიდენტო კანდიდატის შესახებ, მხარს არ უჭერენ. თავის მხრივ გ. მარგველაშვილიც არ გამორიცხავს ხელახალ კენჭისყრას. მოკლედ, ეს არჩევნებიც პოზიტიური გაერთიანების გარეშე ჩაივლის. ერი კი სრულიად ახალი პოლიტიკური ძალის მოლოდინშია, რომელიც ერის წიაღიდან უნდა იშვას.

ამ ახალმა ძალამ უნდა გააერთიანოს ქართველი ერი და ყველა პოლიტიკური პარტია, რაც მნიშვნელოვანი პირობაა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ახალი ძალის გამარჯვებისათვის. პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი არ უნდა იქცეს დეტონატორად, რომელიც მყისიერად ააფეთქებს გაერთიანების აქტუალურ და საშურ იდეას. ურთიერთმოლაპარაკებით უნდა განისაზღვროს თითოეული პოლიტიკური პარტიის (ძალის) ფუნქცია მოცემულ პოლიტიკურ ვითარებაში, რამაც შეიძლება შექმნას საჭიროება აქტივობის ტემპების შენელებისა ზოგიერთი პარტიებისათვის. ყველა პროცესი უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ სახელმწიფო და ერის ინტერესებს, რისთვისაც უნდა გამოვხატავდეთ კომპრომისულ ნებელობას. სომხეთის „ხავერდოვანმა რევოლუციამ" ახალი პერსპექტივები გააჩინა კავკასიის შესაძლო გაერთიანების თვალსაზრისით. აზერბაიჯანშიც მოსალოდნელია პროგრესული ძალების გამოკვეთა... კავკასიაში რუსეთის ჰეგემონიის დასუსტება, მეტწილად, საქართველოს აქტივობაზეა დამოკიდებული.

ახალი პოლიტიკური ძალის გონიერ ლიდერს ძალუძს მხოლოდ ამ უდიდესი მისიის ტვირთვა. საქართველოში, მიუხედავად ტოტალური კრიზისისგან გამოწვეული აპათიის და ნიჰილიზმისა, ამის პოტენციალი არსებობს! ხალხი (მასა), ერი, თუ როგორ მზაობას გამოიჩენს ახალი ლიდერის მისაღებად, ეს თავად ლიდერის ნატურაზე, სიბრძნესა და გონიერებაზეცაა დამოკიდებული. ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ ცალკეული პროტესტები ცალკეულ პრობლემებზე ვერ იქნება მნიშვნელოვანი (გარდამტეხი) შედეგის მომცემი. ჩვენი ფიზიკური და გონებრივი რესურსი უნდა წარვმართოთ სახელისუფლო მონსტრის ჩამოშორებაზე და სრულიად ახალი პოლიტიკური რეალობის შექმნაზე; ჩვენ აღარ უნდა დავრჩეთ განჯგონებული ერის მდგომარეობაში. საქართველო არ უნდა იყოს, პოლიტიკაში დაბრუნებული ივანიშვილის, მუტანტური ნახტომის მოლოდინში.

ძალა და საშველი ჩვენშია!

თავად ჩვენ ძალგვიძს უზრუნველვყოთ საკუთარი კეთილდღეობა და ქვეყნის უკეთესი მომავალი.

მაგრამ, როგორ უნდა გავაცოცხლოთ ჩვენში, ათწლეულების მანძილზე, ჩაწიხლული და ჩაკლული ნდობა ახალი პოლიტიკური ლიდერის მიმართ? იგი, შეიძლება იყოს ახალი, მაგრამ არცთუ უცნობი და პოლიტიკაში უნდა მოდიოდეს საკუთარი ნდობის რესურსით - ბიოგრაფიული კაპიტალით.

საქართველოს დღეს, ისე როგორც არასდროს უკანასკნელი 26 წლის განმავლობაში, სჭირდება მამულიშვილური სულისკვეთების მებრძოლი ლიდერი.

21-საუკუნის ამ ახალმა ლიდერმა უნდა იხსნას ერი და სახელმწიფო - საქართველო პირაფშკნულ უფსკრულში გადაჩეხვისაგან. ჩვენ კი უკვე ვდგავართ ამგვარი უფსკრულის პირას.

ჩვენ ძალგვიძს ბრძოლა - ჩვენ გავიმარჯვებთ!

# იმ ოპოზიციური პარტიების ჩამონათვალი, რომლებიც სააკაშვილთან ერთიანდებიან

რამდენიმე ოპოზიციური პარტიის ლიდერმა მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრა ამსტერდამში გამართა. ვიდეო მასალას შეხვედრის შესახებ ტელეკომპანია რუსთავი 2 ავრცელებს. შეხვედრაზე ყოფილმა პრეზიდენტმა და პარტიების წარმომადგენლებმა ოპოზიური გაერთიანების ჩამოყალიბებაზე ისაუბრეს, თუმცა, თავად შეხვედრა დახურული იყო.



„საქართველოს არსებობა არის საფრთხის წინაშე, ოლიგარქიული ურჩხული ახრჩობს საქართველოს საზოგადოებას, თითოეულ ოჯახში აქვს თავისი მარწუხები შეყოფილი. ჩვენი სამიზნე არის ერთი. ამ ურჩხულს აქვს სახელი და გვარი, სამწუხაროდ, ის არის დღეს საქართველოს არაფორმალური მფლობელი და არა მმართველი. ის ცდილობს, რომ საქართველოს თითოეული მცხოვრები ბანკების მეშვეობით, სხვადასხვა ინსტრუმენტების მეშვეობით, აქციოს ყმებად, მონებად და დაამციროს, ქონება და ღირსება წაართვას," – განმარტა საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა.

შეხვედრის მონაწილეების თქმით, მათ კონსულტაციები აქვთ სხვა პარტიებთანაც და კოალიციის საბოლოო ფორმირებამდე კიდევ რამდენიმე შეხვედრა შედგება.

პარტიებსა და მათ წარმომადგენლებს შორის, რომლებიც მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას დაესწრნენ არიან: მამუკა გამყრელიძე- „ახალი ერთობა საქართველოსთვის" ; შოთა მალაშხია – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს„; ზურაბ ხარატიშვილი – „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის" ;ნიკა მელია – „ერთიანი ნაციონალური მძრაობა"; ბაჩუკი ქარდავა – „ეროვნულ დემოკრატიული პარტია"; პაატა დავითაია – „საქართველოს ევროპელი დემოკრატები"; ნიკა მაჭუტაძე – „სახელმწიფო ხალხისთვის".

*ნეტგაზეთი*

# დინებას ალმა აყოლილებს ბადეებზე არ უფიქრიათ...

„ვაჟკაცურად ებრძოდა წინამურის ველზე მამალი ხოხობი ღამეს“ (კონსტანტინე გამსახურდია). კიდევ ბევრი მინიშნება სტრიქონთა შორის დაივანებს და დროს დაელოდება - გათენებას, რადგან ღამე დიდხანს არ გასტანს... გაღვიძების ჟამს ეს ყოველივე ისევ აზვირთდება სულში სამართლიანობის გრძნობით. „წინამურის ველის სიღამეს“ კვლავ ახალი შემართება აახმაურებს, დაუყუჩებელი ტკივილი თავს იჩენს და ძველი ჭრილობაც ისევ განახლდება. ვერ მინავლდება უქრობი ცეცხლი. თავისუფლების წადილი კვლავ მრავალთ შეაკავშირებს... წინამურის ველზე დარჩა უმთავრესი გულისწადილი და იქ შეჩერდა ლელთ ღუნიას დაძრული იმედიც... „თავი რომ გეყუდნოდეს“ ჯერ ის უნდა იცოდე, რისი ღირსი ხარ, პატრონი რისა, ანდაც, რას გეცილებიან... შეჩერებული დრო კვლავ გაცოცხლდება ახალგმირებით. ილიას და ქაქუცას პორტრეტით ერი დაიძრება ერთი ნებით - ქვეყანამ დამოუკიდებლად იარსებოს და არა „მეგობრის“ ლანდებ -ჩრდილებქვეშ.

მაშინ ჟამი იყო დიდი ერთობის.

იყო 9 აპრილი, ტკივილნარევიც და გამარჯვების დღეც... ერთ მუშტად შეკვრის სიმბოლოდ იქცა ეს დღე და თუ რამ მენატრება, ის ხალასი ცნობიერება... ამ ყველაფერმა ჩემი ცხოვრება უნებურად შეცვალა... დრო შეცვალა!

მე 9 აპრილის თაობა ვარ, იმ თაობის ნაწილი, ვინც საქართველოს ბედნიერებით ვცხოვრობდით, სულიერი იდეალებით... ჩვენ თავად ვგავდით საჩიხედან გაქცეულ ირმებს, რომელთაც უფსკრული და საფარები არ შეუნიშნავთ... თავისუფლების მერე კიდევ უფრო დიდი იყო მომწყვდევა... ერთობლივ სვლა ძალას გვაძლევდა. ეს იყო ხალასი და ღირსეული ბრძოლა, რომელიც გავითავისეთ... (რა ვთქვა, ვინც ჩვენ გვებრძოდა ყველა კარგად არის დღეს)... შეჩერებულ დროშიც გვაცხოვრეს... პრიმატული კი უკვე საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც შემოიჭრა... თუმც ბევრი რამ მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა და ყველაზე მეტად უგულობის დაძლევა (თუმცა ჩვეული ხალისიანი, ოპტიმისტური ბუნება დამეხმარა სიძნელეთა დაძლევაში. საკუთარ თავზე ფიქრსაც კი სირცხვილად ვთვლიდი)...

ადამიანი უფლისმიერ ჭრილობებს საკუთარ თავშიც უნდა ატარებდეს სიყვარულისთვის!.. ეს სიყვარულის მოძრაობა იყო, ჟამი თავგამეტების, უბორკილო, შეუპოვარი, ელვისებური.

დინებას ალმა აყოლილებს ბადეებზე არ უფიქრიათ... ეს პირდაპირი სვლა იყო, გეზი სიმაღლისაკენ.

„ყვავილები ვესროლოთ“ - ესეც სიკეთის ცნობიერება იყო. ადამიანური დრტვინვისგან მადლი გვიცავს; მადლი კი მადლია. სჯობს, თავად დამწუხრდე, ვიდრე მიზეზი იყო ვინმეს გულის მწუხარების, მხსნელი იყო მოყვასისთვის, ვიდრე სასჯელი!

თავკაცებმა მსხვერპლად ყოფნაც თავად არჩიეს, ვიდრე სხვა ყოფილიყო მსხვერპლი. არაფერს დაერიდნენ, რადგან ეს შეგნებული არჩევანი იყო. საქართველოს ხვედრით ცხოვრებაა მათი რჩეულობის ფასიც.

ეს იყო გულწრფელი ბრძოლა ერთობლივ ყველას ბედნიერებისთვის... რაც მთავარია, ეროვნული მოძრაობა პროგრესული მოძრაობა იყო ქართული ფენომენის, ქართველი ერის მისიის წარმოჩენით. ეს იყო განსწავლულთა მოძრაობა, არა სტიქიური, არამედ კანონზომიერი, მწიგნობრული სულისკვეთების, რუსთველური ფენომენის განახლება - დამკვიდრებით. იატაკქვეშეთიდან მზის სინათლე იხილა ქართულმა აზრმა და შორსმჭვრეტელობამ. გამოიცა ზვიადისა და მერაბის კრებულები - ლექსები, წერილები, ეწყობოდა საჯარო ლექციები თუ შეხვედრები. რად ღირს, იოანე ზოსიმეს ნაშრომის გააზრება ანდაც- „ქართველი ერის სულიერი მისიის“ გაცხადება, რომ სწორედაც კულტურტრეგერი, წამყვანი როლი კაცობრიობის ისტორიაში ქართულ და პროტოიბერიულ ცივილიზაციას ეკუთვნოდა. ამ ნიშას იბრუნებდა ეს მოძრაობა, რათა დამდგარიყო „ერად სხვა ერთა შორის“, არა გაპარტახებული, დაჩაჩანაკებული, არამედ წელში გასწორებული, გამართული, ღვთაებრივი სულით გამსჭვალული. უამისოდ დაკარგულია მთავარი ძარღვი ქართველობისა... ეს მართლაც იყო დიდი დინება, დიდ ენერგიად დაძრული. ქართული კულტურა თავიდან პოულობდა დაკარგულ გზას. დიდ საქმეს მტრობაც დიდი ერგო. უვიცობა ხომ შემტევია... ჯერ ითქვა - დინების საწინააღმდეგოდ სვლაზე, მერე სხვა ფორმულა მოიგონეს შინაგამცემებმაც - მაინც იშლებოდაო იმპერია, რად გაისარჯნენო... და განა, სიმართლე არ იციან?!



განადა, არ იციან, რასაც ებრძვიან და ხან მაგონდება ილია „პოდპორუჩიკთან„- გულგათანგული ერისშვილის მდუმარება, რაც ადასტურებს ქართული სულის სიძლიერეს, რომელიც ერთნაირად შეიძლება გამოიხატოს, როგორც ბრძოლასა და შეურიგებლობაში, ასევე მოთმინებასა და თავშეკავებულობაში. მაგრამ ეს სიდინჯე და მოთმინების ძალა ღრმაშინაარსიანი გააზრების საშუალებასაც იძლევა... ბედნიერება და ნამუსი ისაა, არავის უბედურებაში არ გედოს წილი, თუმცა ცოდვისმოქმედმა მადლის რა იცის, მადლი სისწორეშია... პირდაპირ მოწინააღმდეგეებიც „შემცილეებმა“ შეცვალა, ბევრმა ის მიიწერა, რაც არ უკეთებია. მოირგეს ის ამპლუა, რაც მათი არაა. სახელი ძალით არ მიიტაცება... ეს დიდი ეთიკურ-სულიერი მოძრაობა იყო და დამცრობილი ვერ დაიბრალებს მას. „მტრობა“ თუ „მომხრეობა“ ერთნაირად საშიში აღმოჩნდა და დამაბნეველი მომავლისთვის... ერთეულებიღა შევრჩით ამ მოძრაობას. სპეცგანყოფილება მარჯვედ გვიღებდა ფოტოებს, რომელიც გადამალეს, გააშალაშინეს, დაამუშავეს და ვინ იცის, ვის ერგო საბოლოოდ... ჩვენ კი თავმომწონეობა - კიჟინაზე არ გვიფიქრია, ჩვენ ჩვენ სვლა - აღმართს მივყვებოდით ბრძოლით მოქანცულნი... ასეთები ურცხვად გეცილებიან საქმეში და ამრუდებენ, ერთ ხელს გაგებებენ, მეორეს გაცლიან... უფესვო საქმე ხვალ ფესვიანი იქნება ამგვართა წყალობით. ფიქრობ, კიდევ ღირს გულის ატკიება ამ უთავბოლობაში? თვალთმაქცი ზნესრულობას მტრობს, დათმენა შეუმჩნევლობას არ ნიშნავს. ნახევარსიმართლე უფრო უსამართლობაა, ფარისევლის ტყუილზე მეტად გამაწბილებელი... „დათვის ბლავილი პანტისთვისააო„. დღემოკლეა ასეთი საქმე, საბედნიეროდ!

თითქოს ყველაფერი გაიოლდა, ბევრი „მოღვაწეც“ იშვა, მაგრამ ის, რასაც ეროვნული მოძრაობა ახორციელებდა ჩიხში დარჩა...

ზოგჯერ „საზოგადო საქმეშიც“ ისე მედიდურობენ, თითქოს ქედზე საქართველო ედგათ. მოვალეობაც დაიყვანეს თავის თავის მსახურებაზე. საფრთხილო ისაა, ძალიან „გასათნოებულია ბოროტება“ და ეს მაფიქრებს ბოლო დროს, ძალიან „უწყინრობს“, რითაც პროგრესირებს. ადამიანი ვისთან ან რასთანაც აიგივებს თავს, მისივე სწორია, ოღონდ გულწრფელად რასაც არჩევს და არა მოჩვენებითად.

ღმერთი მართალთა შემწეა! წესიერი ადამიანი ყოველთვის საიმედოა!

ახლა, ვინაიდან 26 მაისი მერაბის დაბადების დღეა, ვიხსენებ გმირის წლისთავს, რომელსაც ზვიადი უძღვებოდა (ახლაც სათუთად ვინახავ ამ მოსაწვევსა და მაშინდელ ჩანაწერს უბის წიგნაკში - ამ დღის ამსახველს).

დილას, 12 საათზე დაიწყო სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, ესწრებოდნენ მერაბის დედა, ახლო ნათესავები, მეგობრები. ზვიადმა წარმოსთქვა: - მერაბის სული გვავალებს თავდადებას მამულისათვის, მოგვიწოდებს ბრძოლისაკენ. მერაბი ფიზიკურად აღარ არის ჩვენს გვერდით, თორემ სულით ჩვენთანაა! მე მწამს საიქიო, როგორც მერაბს სწამდა ეს. თვითონ მერაბი ამბობდა, ჩემთვის გარდაცვლილები არ არსებობენო და მე მერაბს ცოცხლად ვთვლი, ჩვენს გვერდით. თვითონ მერაბი არ გვაპატიებს უმოქმედობას, მისი სული დაგვყურებს ზეციური საქართველოდანო... მერე გაიხსენეს, გადასახლებაში ერთხელ არ დაუჩივლია, არ წამოცდენიაო რამე და მხოლოდ ერთხელ, როგორ უთხოვია მერაბს: ჩემს ეზოში დიდი ცაცხვის ხე რომ დგას, ფოთლები შემიგროვეთ და გამომიგზავნეთ, იმათ მოვესიყვარულები და ამით მოვიკლავ საქართველოს სიყვარულსა და მონატრებასო. ყველანი ტიროდნენ და ზვიადმაც ცრემლი მოიწმინდა თავჩაღუნულმა. გამოვიდა თემურ ქორიძე, „ბაბუ“ - ასე ვეძახდით მხცოვან მელორ წურწუმიას... შემდგომ რესტორან „ეკრანში“ გაგრძელდა სულის მოსახსენებელი სუფრა (დედას მეგობარი - სალომე ნაკაიძეც მახლდა, შემდგომ ამ ქალმა შეგვიფარა დევნისას). როგორც ზვიადმა უწოდა, რელიგიურად -აღაპი უნდა შემდგარიყო და აქ იყვნენ მერაბის მეგობრები, საყვარელი ადამიანები, არ იყო მხოლოდ დედა, მან სახლში გაშალა მცირე სუფრა, სადაც ახლო ნათესავებმა მოიყარეს თავი. ზვიადი და რამდენიმე მეგობარი ჯერ იქ მივიდნენ და მერე აქ შეიკრიბნენ. ეს იყო მართლაც შეკრება და არა პურობა. ქართული სულით, ქართულ წესსზე წარიმართა ყოველივე. სუფრა აკურთხა სამღვდელო პირმა -თადეოზმა (შემდგომში მეუფე). თამადა ზვიადი იყო, იგი უძღვებოდა სუფრას... მან, პირველ რიგში, მერაბის შესანდობარი შესვა, თქვა მის დიდბუნებოვნებასა და სიკეთეზე. ტყვია, რომ ვინმეს ესროლა მისთვის და შემთხვევით აცდენოდა ის ტყვია მერაბს, მივიდოდა, ხელს დაადებდა მამაშვილურად, ალბათ და ეტყოდა - მოეშვი მაგას და წაიყვანდა სახლში როგორც მეგობარსო. ასეთი იყო მერაბი, მტრებიც კი ვერ ამბობენ მასზე ცუდს, დაუკვირდით როგორ იხსენებენო. შემდეგ მოიგონა ირაკლი კოსტავაც და ასევე შესვა მისი შესანდობარი. შეისვა მერაბის დედის - ოლღა დეიდას სადღეგრძელო. ზვიადმა თბილად მოიგონა იგი, აღნიშნა, რომ ეს ქალი დიდი უბედურების გამოვლის მიუხედავად, როგორი სულით გაუტეხავი და როგორი შემართების ადამიანია. სწორედ დედას ჰგავდა მერაბი, მისი ეს თვისება ჰქონდა გამოყოლილიო - გაუტეხელობა. ახლაც კი, ეს ქალი, ჩვენი მტრების რისხვაა და ეშინიათ მისიო. შემდეგ ყველას გვთხოვა ზვიადმა - დღეში სამი ადამიანი მაინც მიდით და მოიკითხეთ, გაამხნევეთ, ეს აცოცხლებს მას, ეს ახარებს, გთხოვთ, აუცილებლად მიხვიდეთ, მადლია მეგობრებოო. აგრეთვე, მოიგონა საქართველოსათვის თავდადებული, შეწირული ადამიანები... შემდეგ შეისვა სამღვდელოების წარმომადგენლების სადღეგრძელო; ასევე, ყველა წმიდას სადღეგრძელო, ქართული ეკლესიების სადღეგრძელო, მერაბის მეგობრების სადღეგრძელო... მღვდელმა თადეოზმა,(შემდგომ მეუფე თადეოზი), ადღეგრძელა ზვიადი, როგორც მერაბის პირველი და საუკეთესო მეგობარი. გაიხსენა, რომ ის ჯერ კიდევ მე-10 კლასელი, ბავშვი, დააპატიმრეს 5 თვით, თუ როგორ სდევნიდნენ და აწამებდნენ ორივეს. გვიამბო სასწაული სიზმარი - ჩვენება რელიგიურ დღეს, 10 ივლისს, ერთად იდგნენო ორივენი -ზვიადი და მერაბი, ხალხი ეხვიათ გარს, მუშტშემართულნი იდგნენ. უცებ საიდანღაც ხმა მოისმა - ზვიად, შენ ხარ დაუდეგარი, როგორც თერგი, ამაყი, ვითარცა მყინვარი და მშვენიერი როგორც საქართველო. სიზმარში, რაც სამგზის ითქმება, ის ყოველთვის ღვთითააო და მივხვდიო, ზვიადს მარტოდ მოუწევდა ჭაპანის ზიდვა, თუმცა მერაბმა როდი მიგვატოვაო. მიუახლოვდა, დაიჩოქა და პირჯვარი გადაწერა. ისევ გაიხსენა რელიგიური ჩვენება - სიზმარი, 23 ნოემბერს ხილული ზვიადზე, როცა ცხინვალში გაემართნენ და ოსებმა არ შეუშვეს, ზვიადი იდგაო, მაღლა წმ. გიორგი გამოისახა და სხივები გამოგზავნაო ზვიადზე, რის შემდეგაც ლექსიც დაუწერია და წაიკითხა ის, რომელიც თუ არ ვცდები ასე მთავრდება:-„მეამაყება გატანჯულ ქართველს შენი მოსვლა და შენი ბრძოლა.“

დაუვიწყარი სიტყვებით ადღეგრძელეს ზვიადი აფხაზეთის, რუსთავის წარმომადგენლებმა. პაატა ცუცქირიძემ, რომელიც 1978 წ. ქართული ენის საკითხთან დაკავშირებით იბრძოდა და მოითხოვდა აგრეთვე, ზვიადისა და მერაბის გათავისუფლებას. ზვიადმა გვამცნო, რომ ამ პიროვნებას სდევნიან, თავს დაესხნენ რამოდენიმე დღის წინ და ახლა მაინც გამოიპარა საავადმყოფოდან, რომ დღეს ჩვენს გვერდით ყოფილიყოო... თემურ ქორიძის მერე, სადღეგრძელო ავთო რცხილაძემ შესვა, რომელმაც აღნიშნა, რომ დიდი პატივია ჩვენთვის ზვიადის ეზოში ფეხის შედგმაც კი, იქ, სადაც მარხია დიდი კონსტანტინე და წმინდა საფლავებია, ეს დიდი პატივია, უნდა დავაფასოთ და არავითარ შემთხვევაში ცუდად არ უნდა გამოვიყენოთო. პროფესორმა მათიაშვილმა გაიხსენა თავის სტუდენტობისდროინდელი ერთი პროკლამაცია ზვიადის მიერ დაწერილი, რომელიც ვრცელდებოდა ქალაქშიო და აღნიშნა, რომ იმდროინდელი ვითარების გამო შენახვა ვერ გავბედეთო. ხელმოწერა არ ჰქონდა, მაგრამ მივხვდით ვისი ნაწერიც იყო, ვინც ოყოო ავტორი და წაიკითხა ის გმირული ლექსი-მოწოდება, რომელიც ეწერა ზვიადს პროკლამაციაში. ეს იყო 1956 წ. მარტის დღეები, როცა მომხდარი იყო 9 მარტი და არავინ იცოდა, კიდევ რა მოხდებოდაო... სუფრაზე მყოფმა ქუთაისელმა შაოსანმა ქალმა (დედით გამსახურდიამ), რამდენიმე საკუთარი ლექსი წაიკითხა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე... გურამ პეტრიაშვილმა შესანიშნავი სიტყვებით მოიგონა მერაბი, წაიკითხა ლექსი მასზე, ადღეგრძელა ზვიადი და შესანიშნავი მაგალითიც მოიხმო ჰაკი აძბადან, ბოლოს კი ამ ლექსით დაასრულა სათქმელი:

„შენ იზვიადე, ზვიადო.
მტერნი მოსჩანდნენ ჭიადო,
გაგვიძეხ, გზები გვიჩვენე
საცისკარ - საგანთიადო.“

ზვიადმა ყველას მადლობა გადაუხადა და თავმდაბლად განაცხადა, სანამ არ მოვკვდები ნუ იტყვით რა გამიკეთებია და ნუ მომაწერთ ყველაფერს, მერაბმა იცოდა თქმა: კაცი რომ მოკვდება, მერე უნდა თქვა მის განვლილ გზაზე ვინ იყო და რა გააკეთა, მის სიცოცხლეში არაო. რომ მოვკვდები, მერე განსაჯოს ხალხმაო - ეს იყოო მერაბის სიტყვები.

ზვიადმა ადღეგრძელა ქართველი ქალები, იქ მყოფნი გვადღეგრძელა - ყველას დაგლოცავთ, ჩვენს გმირ ქალებს გაუმარჯოს, რომლებიც ჩვენ არ ჩამოგვივარდებიან და ხანდახან გვჯობიან კიდეცო ამ ბრძოლაში. ავთანდილ რცხილაძემ გაიხსენა ისტორიულად ცნობილი ქალები - ნინო კაბადოკიელი, ნანა დედოფალი, ქეთევან წამებული, გვადღეგრძელა იქ დამწრენი... შემდეგ შესრულდა მერაბის საყვარელი „შავლეგო.“ ბოლოს კი „ჩემო კარგო ქვეყანავ“ დააგუგუნეს. ყველანი თვალზე ცრემლმომდგარნი, მუშტშემართულნი ვიდექით და გვწამდა მომავლის...

გმირის წლისთავი გმირულად გასრულდა... ჩვენ კი წინ ბრძოლა გვედო...

საქართველოს პატრონი ჰყავდა, საქართველოს იმედი ჰქონდა და ამ ბრძოლაში ზეციური მხედრობაც იცავდა...

**ლალი ბარქიმაშვილი**

(13 ოქტომბერი. 1990 წ).



# რ ე პ ლ ი კ ა

აფსუებს ყოველთვის ვძულდით, ორმაგი სიძულვილით ვძულდით და ვძულვართ „გააფხაზებულ“ ქართველებს, რომლებიც სეპარატისტების ავანგარდს წარმოადგენენ და აფსუების ყურმოჭრილი მონები არიან,ამას განსაკუთრებული მიზეზები აქვს და არ ჩამოვყვები მათ, ერთს კი ვიტყვი, ეს ტანდემი ყოველგვარი ქართულის მტერია. მათ, სძულთ ყველაფერი ქართული და სძულთ ქართველი ერი და ამ სიძულვილს აორმაგებს არასრულფასოვნების კომპლექსი, რომელიც მათ გააჩნიათ ქართველების მიმართ დაა ეს კომპლექსი ისე ღრმათაა ჩაკირული, რომ თავს ნუ მოვტყუებთ, ილუზორულადაც ნუ ჩავთვლით იმას რომ ისინი ქართულ სახელმწიფოში მოინდომებენ ცხოვრებას. აი ოსებისა კი გამკვირვებია, ის ხელოვნურად შექმნილი ავტონომიური ოლქი ლამის იყო ფორმალურად არსებობდა, ოსებს ისეთი გულითადი განწყობა ჰქონდათ ქართველების მიმართ, რომ მასობრივად იკეთებდნენ გვარებს და ქართველებად ეწერებოდნენ. არ იყო შოვინიზმის ნატამალიც კი და უცბად.... ახლა კი საქმე იქითკენ მიდის, რომ ლამისაა დაუძინებელ მტრებად წაგვკიდონ, აქ მარტო ოკუპანტი არაა შუაში, ამ შუღლის დასაწყისშივე ჩვენც დავუშვით (სწორი იქნება - დაგვაშვებინეს) საბედისწერო შეცდომები. მახსოვს, კარგად მახსოვს ცხინვალში პირველი მოსეპარატიზმო არაფორმალური გაერთიანება „ადამო ნიხასი“, რომ შეიქმნა ისინი საქართველოდან გამოყოფაზე ოცნებასაც კი ვერ ბედავდნენ, მაგრამ იმ დრონდელი ახლად ფეხადგმული თუ „ცეკას“ დაქვემდებარებულმა მას-მედიამ, თითქოს ამას ელოდაო, ისეთი ალიაქოთი ატეხა, რომ ქვეყანა წალეკა ოსების საწინააღმდეგოდ დაწერილმა სტატიებმა. ლამის იყო „სოც-შეჯიბრი“ გამოაცხადეს, ვინ უფრო მწვავე სტატიას გამოაქვეყნებდა ოსებთან მიმართებაში. ახლა კი თვალნათლივ ჩანს, რომ მთელი ეს კამპანია კარგად მოფიქრებული КГБ-ს მოწყობილი პროვოკაცია გახლდათ, რათა მათ მიერვე შემოგდებული ნაღვერდალი ცეცხლად აბრდღვიალებულიყო და აბრდღვიალდა კიდეც. არადა, ამ საკითხის თავშივე მოგვარება აუჩქარებლივ ისე შეიძლება მომხდარიყო, როგორც ბალტიის ქვეყნებმა გააკეთეს, როდესაც ასიათასიანი ინტერფრონტები, რომ იტყვიან „ტექნიკურად“ დაშალეს. სამწუხაროა, მაგრამ ეს ამბავი უკვე ჩავლილი მდინარეა, მაგრამ არ მინდა იგი იქცეს დიდი სიძულვილის ზღვად, რომლის ყველა ნიშნებია. თუ ეს მოახერხეს, მაშინ ჩავთვალოთ, რომ....

*P.S.* ***ეს ყველაფერი რომ მართული პროცესია, ამის საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოგიყვანთ: დიმიტრი გულია აფხაზური დამწერლობის შემქმნელი და აფხაზთა ილია ჭავჭავაძედ გამოცხადებული მოღვაწე, რომელსაც უზარმაზარი როლი მიუძღვის აფხაზური სეპარატიზმის დუღილად ქცევაში და რომელსაც კრემლში სულ ხელგაშლილნი ხვდებოდნენ და ჯილდოებს არ აკლებდნენ, როცა იგი კვდებოდა, ფურცელი და კალამი მოითხოვა და შიგ ჩაწერა-“ აფხაზი არის ქართველი!“***

**ნოდარ კობერიძე**

# საზღვარგარეთ უკანონო მიგრაციაში ხელშეწყობა სისხლის სამართლის კოდექსით დაისჯება




საქართველოს მოქალაქის უცხოეთში უკანონო მიგრაციის მიზნით პირობების შექმნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამოიწვევს. პარლამენტის წევრების მიერ მომზადებული ცვლილებების პროექტის ინიცირება ბიუროს უახლოეს სხდომაზე იგეგმება.

პროექტის მიხედვით, სისხლის სამართლის კოდექსს ახალი, სპეციალური მუხლი დაემატება, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყნის საზღვარზე უკანონოდ გადაყვანისთვის ან მისთვის უცხო ქვეყანაში უკანონოდ ყოფნისთვის შესაბამისი პირობების შექმნა და/ან ხელის შეწყობა გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ვადით - 3-დან 6 წლამდე.

იგივე ვადით სასჯელს გამოიწვევს საქართველოს მოქალაქის მიერ უცხო ქვეყანაში თავშესაფრის მიღების უფლების ბოროტად გამოყენებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

გარდა ამისა, ზემოთაღნიშნული რომელიმე ქმედების ჩადენა არაერთგზის, ორი ან მეტი პირის მიმართ ან ყალბი საბუთების გამოყენებით გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე, ხოლო ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენა - თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე.

სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების ინიციატორები არჩილ თალაკვაძე, ეკა ბესელია, მამუკა მდინარაძე, გიორგი ვოლსკი, კახა კუჭავა, ოთარ დანელია, გიორგი ხატიძე და ზვიად კვაჭანტირაძე არიან.

http://reinfo.e/hun-rihts/ite/6516-szvrret-uknono-irzishi-xeshexybob-sisxis-srtis-koeqsit-isjeb

# SOS!!! რა მოჰყვება სვანეთში მაღლივი კაშხლების მშენებლობას

როგორც ამერიკელი მეცნიერების 2012 წლის კვლევებით დადგინდა სვანების გენეტიკური კოდი იმ უიშვიათეს მოდელს განეკუთვნება, ვინც დედამიწაზე ერთ–ერთმა პირველმა შექმნა ცივილიზაცია. იუნესკომ მთლიანად უშგულის თემს და მის არქიტექტურას კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მინიჭა – ეს პროცესი გრძელდება, რათა მთლიანად სვანეთს მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი.

მიუხედავად ამისა, ცალკეული ჩინოვნიკები მაინც ცდილობენ სვანეთში მაღალკაშხლიანი ჰესების აშენებას:

პირდაპირი მნიშვნელობით დაიტბორება ათასობით ჰექტარი მიწა;

წყალქვეშ მოყვება მე–3, მე–4 ათასწლეულის უნიკალური კულტურა. უარყოფითი კლიმატური პირობების შედეგად საფრთხის ქვეშ მოყვება ადრე შუასაუკუნეების უნიკალური ჭედური და ფერწერული ხატები, ხბოს ტყავზე დაწერილი სახარება, ოთხთავები და ფრესკები;

პოტენციურ წყალსატევში გროვდება მძიმე მეტალები, განსაკუთრებით ვერცხლისწყალი, რომლებიც იწვევენ გულ–სისხლძარღვთა, ფილტვების (ასთმა) ძვალ–სახსროვან და სიმსივნურ, მძიმე დაავადებებს.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ტურიზმს მოაქვს უდიდესი შემოსავალი, რეკრეაციული ზონის განადგურება – დატბორვა–გაჩეხვა ავტომატურად სპობს ტურიზმის სფეროს;

წყალსატევები იწვევენ ქარების სიჩქარის მიმართულების, ტენიანობისა და ღრუბლიანობის მომატებას და კლიმატის მკვეთრ შეცვლას;




წყალსატევებში წყლის დონის მკვეთრი და მუდმივი ცვალებადობა, წყლის სიმძიმე (თითქმის მილიონამდე კუბური მეტრი წყალი), იწვევს მიწისქვეშა შრეების რყევას და მიწისძვრების პროვოცირებას (სვანეთი 9 ბალიანი სეისმურად აქტიური ზონაა),

კერძო კომპანიები ეცდებიან ძალზე სწრაფად და სარფიანად ამოიღონ ელ. გადამცემი ხაზების, შეცვლისა და რეკონსტრუქციის, დატბორილი გზებისა და სავარგულების, საავტომობილო ტრასების, დაზარალებული მოსახლეობის კომპენსაციაში გაცემული ფული, რაც ელ. ენერგიას მკვეთრად გააძვირებს.

მსგავსი პროექტების განხორციელება, გრძელვადიან პერიოდში გამოიწვევს ქვეყნისათვის გეოპოლიტიკური, მათ შორის, სამხედრო რისკების ზრდას.

რუსეთის უახლოეს მიზნებში ნამდვილად შედის კავკასიონზე ჩრდილოეთის საზღვრის სამხრეთ ნაწილში გადმოტანა, ხაიში – ლენტეხი – კვაისის მიმართულებით. ეს გეგმა რომ უმტკივნეულოდ განხორციელდეს, საჭიროა ენგურის ხეობის მოსახლეობისაგან დაცლა, რაც ხელოვნური წყალსაცავების გაჩენით ადვილად შეიძლება. შედეგად გაქრება, სულ მცირე შვიდიათას წლოვანი სვანური ფენომენი, რატომ მუსირებს მუდმივად სვანების აყრა-გადასახლება და არა ალტერნატიული ვარიანტების განხილვა და განხორციელება?!

2000 წელს მსოფლიო ბანკმა დააფინანსა საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი, რომელთაც დადეს მრავალგვერდიანი დასკვნა ხელოვნური წყალსაცავების და კაშხლების მავნებლობაზე. ეს მცირე ამონარიდია აღნიშნული დასკვნებიდან.

დროა დავფიქრდეთ!!!

# რა უნდა გვახსოვდეს რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1783-2008)

*საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ რუსეთის ხელისუფლების მისამართით გაგზავნილმა განცხადებამ საზოგადოების უდიდესი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. ბევრმა საუბარი დაიწყო რუსეთთან დიპლომატიური კავშირების აღდგენის შესახებ, ბევრს სწამს, რომ მოსკოვის დახმარებით შესაძლებელია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საკითხის გადაჭრა. აუცილებელია, კარგად გავიაზროთ რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების ისტორია, რისთვისაც ქვემოთ რამდენიმე დოკუმენტს და ფაქტს გაგახსენებთ. დასკვნები მკითხველმა თავად გამოიტანოს.*



1783 წელი. გეორგიევსკის ტრაქტატი, დადებული ერეკლე II-სა და ეკატერინე II-შორის.



ამონარიდი მეექვსე არტიკულიდან:

„უგანათლებულესსა მეფესა ირაკლის თეიმურაზოვიჩსა და სახლისა მისისამემკვიდრითა და მენაცვლეთა და ტომთა დაიცავს უცვალებლად სამეფოთა ზედაქართლისა და კახეთისათა; მესამედ, შინაგანსა ხელმწიფებასა მმართებელობასა თანაშეუღლვილსა მსჯავრსა და სამართალსა და შეკრებასა მისაცემელისა ხარკისასადაანებებს მისსა უგანათლებულესობასა მეფესა სრულსა შინა ნებასა დასარგებლობასა მისსა და დააყენებს მთავართა სამხედროსა და სამოქალაქოსათააღრევად, ვითარიცაღა იყო განწესებაი ერთა მათ ჰხსენებულთა“

ანუ, ერეკლე II და მისი მემკვიდრეები ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე დაცულნი იქნებოდნენ უცვლელად; ქვეყნის საშინაო საქმეების წარმართვა, სამართლის წარმოება და გადასახადების აკრეფა მთლიანად მეფის უფლებებში რჩებოდა.

## გეორგიევსკის ტრაქტატი

1801 წლის 12 სექტემბერი. იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ. ნაწყვეტი მანიფესტიდან:

„მივილებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მართებულობისა... დავანესო საქართველოსა შინა მმართებლობა... ხოლო ამისათვის გამმარჩევლემანჩვენისა ღენერალ–ლეიტენანტისა კნორრინღისა, რათა იყოს უპირატეს მმართებელადთქვენ შორის, მივეცით ჩვენ მას სრული მოძლვრება გამოაცხადოს მმართებლობა ესე საკუთრად სახელითა ჩვენითა და მოიყვანოს ძალსა და მოქმედებასა შინა ჩვენ მიერ დათხზული განწესებაი...“

ანუ, რუსეთის იმპერატორმა დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები, გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, ბაგრატიონთა დინასტიას წაართვა სამეფო ტახტი და ქართლ-კახეთის ტერიტორიის გამგებლობა ჩააბარა გენერალ-ლეიტენანტ კნორინგს.

## მანიფესტის გამოცხადება

1804 წლის 25 აპრილი. ელაზნაურის (იძულებითი) შეთანხმება იმერეთის მეფე სოლომონ II-სა და რუსეთის ხელისუფლებას შორის. შეთანხმების მიხედვით, იმერეთის სამეფო რუსეთის ქვეშევდომობაში შედიოდა, მაგრამ იმერეთში შენარჩუნებული იქნებოდა სამეფო კარი. სასამართლო უფლება მეფის ხელში რჩებოდა.

1810 წელს რუსეთის იმპერიამ იმერეთის სამეფო გააუქმდა. სოლომონ II დევნილობაში გარდაიცვალა.

რუსეთმა არც ქართულ სამთავროებთან (სამეგრელო, გურია, სვანეთი, აფხაზეთი) დადებული შეთანხმებები შეასრულა და მათი ანექსია ეტაპობრივად განახორციელა.

## საქართველოს ეროვნული საბჭო წევრები

1918 წლის 26 მაისი. ეროვნულმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, სადაც ეწერა:

„1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია დასაქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა… 4) საქართველოსდემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთანკეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრესახელმწიფოებთან და ერებთან“.

ნოე ჟორდანიას მთავრობა ძალღონეს არ იშურებდა საერთაშორისო საზოგადოების მიერ საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალურად აღიარების მისაღწევად.

1920 წლის 7 მაისი. დაიდო რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლებამ ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი ტერიტორიული მთლიანობა. რამდენიმე ნაწყვეტი ხელშეკრულების ტექსტიდან:

„რუსეთი ყოველ პირობის გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფოსდამოუკიდებლობას და თავისუფლებას, და თავის ნებით იღებს ხელს ყოველგვარსუვერენულუფლებებზე,რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხსა დაქვეყნის წინაშე (მუხლი I)… რუსეთი ვალდებულად ხდის თავს ხელი აიღოსსაქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე (მუხლი II)… სახელმწიფო საზღვარისაქართველოს და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე პსოუს გასწვრივასახჩის მთამდე; გადადის ხსენებულასახჩისადააგაპეტისმთაზედამიდის ყოფილშავი ზღვის, ქუთაისის და თფლისის გუბერნიების ჩრდილოეთის საზღვრითზაქათალის ოლქამდე და ხსენებულ ოლქის აღმოსავლეთ საზღვრით მიდის სომხეთისსაზღვრებამდე (მუხლი III, პუნქტი I).

ხელშეკრულების დადებიდან გავიდა 6 თვე…

1920 წ. 18 დეკემბერი. რუსეთის მე-11 არმიის სარდალი, გენერალი ჰეკერი საიდუმლოდ ატყობინებს სერგო ორჯონიკიძეს:



„მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ შეგვიძლია დაუბრკოლებლად ოკუპაციამოვახდინოთ მთელ საქართველოს ტერიტორიის სურამის ქედამდე, მაგრამ შემდეგჩემი ჯარები შეფერხდებიან… ამ პირობების (ჩამოთვლილია სამი პირობა – გ. ა.) დაჯარის ერთეულთა სიმტკიცის შემთხვევაში, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომკამპანია საქართველოს წინააღმდეგ შეიძლება მოთავდეს ექვსი კვირისგანმავლობაში“.

გადის რამდენიმე კვირა…



1921 წლის 15 თებერვალი. სტალინი – ორჯონიკიძეს: „ახლა გადმოგცემ ცეკასდაშიფრულ პასუხს. მანამდე კი გთავაზობ: ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი“.

25 თებერვალი. ორჯონიკიძე – ლენინს, სტალინს: „ტფილისზე წითელი დროშაფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

ამგვარად, რუსეთმა დაარღვია 7 მაისის ხელშეკრულება, მოახდინა საქართველოს ანექსია და დაამხო ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. საქართველოს ისტორიაში საბჭოთა პერიოდი დაიწყო (1921-1990).

1990 წლის 28 ოქტომბერი. მრავალპარტიულ არჩევნებში კომუნისტური პარტია დამარცხდა. საბჭოთა სისტემა საქართველოში მშვიდობიანი გზით დასრულდა. ხელისუფლებაში მოდის ზვიად გამსახურდის გუნდი („მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო„). 1990 წლის 14 ნოემბერს ახალმა ხელისუფლებამ ქვეყანაში გარდამავალი პერიოდის დაწყება გამოაცხადა, ხოლო 1991 წლის 9 აპრილს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა.

## ბორის ელცინი და ზვიად გამსახურდია

1991 წლის 23 მარტი. ყაზბეგში გაიმართა ზვიად გამსახურდიასა და ბორის ელცინის (რუსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე) შეხვედრა. ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც: 1) რუსეთმა ფაქტობრივად აღიარა „სამხრეთ ოსეთისავტონომიური ოლქის„ გაუქმება; 2) საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინადადება მიეცა, ოლქიდან გაიყვანოს იქ დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილები; 3) საბოლოო მიზნად დაისახა რეგიონში მშვიდობის აღდგენა და ა.შ.

*გაგრძელება გვ. 6*

## კულტურა

# ნიკოლოზ ბარათაშვილის განახლებული სახლ-მუზეუმი

მუზეუმებს ნებისმიერი ქალაქის კულტურულ და ტურისტულ ინდუსტრიაში განსაკუთრებული როლი აკისრიათ. ისინი ისტორიული და კულტურული მრავალფეროვნების და მდიდარი წარსულის ვიზუალიზაციის კერებს წარმოადგენენ. სამუზეუმო სივრცეებს შორის განსაკუთრებით პოპულარულია სახლ-მუზეუმები და მემორიალური სახლები, რომლებიც მართალია ისტორიული თვალსაზრისით ისეთ ფართო და ხანგრძლივ პერიოდებს არ გადასწვდება, როგორც არქეოლოგიური ან თუნდაც ეთნოგრაფიული მუზეუმები, რომლებიც ამა თუ იმ საუკუნის ან საუკუნეთა ყოფას პარადიგმის მასშტაბით წარმოგვიდგენს; თუმცა, მიუხედავად ამისა სახლ-მუზეუმებისადმი ინტერესი არანაკლებია დამთვალიერებელთა მხრიდან. ამის, მიზეზი ბუნებრივად არის ის ფაქტორი, რომ ყოველ ეპოქას ქმნიან ადამიანები თავიანთი მოღვაწეობით, შეხედულებებით, ცხოვრების სტილით, შემოქმედებით და სხვა. ეს გარემოება და მათი მემკვიდრეობა კი, ხშირად ამა თუ იმ ეპოქაზე ბევრად მეტს გვიყვება და თავად ისინი მეტად აღწერენ მათ თანამედროვე დროს, ვინემ მატიანეები, არტეფაქტები, ექსპონანტები და ა.შ. საქართველო, საბედნიეროდ არასოდეს განიცდიდა ისეთ ფენომენალურ ფიგურათა სიმცირეს, რომელთა სახლ-მუზეუმები დაუყვედრებლად იმსახურებდა ადგილს ჩვენ სოციალურ, ურბანულ თუ კულტურულ სივრცეში. შედეგად, საქართველო და მით უფრო მისი დედაქალაქი ნამდვილად არ უჩივის, არც ზოგადად სამუზეუმო სივრცეთა და მათ შორის, არც სახლ-მუზეუმთა სიმცირეს.

წერილის თემას რომ მივუახლოვდეთ... საუბრის თემა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმია. თუმცა, სანამ კონკრეტულად ამ მუზეუმის შესახებ ვიტყოდე, ორიოდე სიტყვით არ შეიძლება არ ითქვას, რომ აბსოლუტურად ყველა სახლ-მუზეუმი შექმნილია საბჭოთა პერიოდში, ანუ ოკუპაციის შემდეგ. აღნიშნული რეალობიდან გამომდინარე, ყველასათვის გასაგებია, რომ თუნდაც მისასალმებელი ქმედება - ამა თუ იმ მნიშვნელოვანი ისტორიული პირის სახლ-მუზეუმის შექმნა ერთგვარ პოლიტიკურ ნებას იყო დაქვემდებარებული. უფრო სწორედ კი, საბჭოთა იდეოლოგიას და წითელ კონიუნქტურას. ამასთანავე, ნიშანდობლივია რომ საბჭოეთი ხალხს უკრძალავდა აწმყოს განსჯას და მას გარდუვალ მოცემულობად სთავაზობდა, ხოლო რადგან იცოდნენ, რომ ადამიანი (თუნდაც ჩაგვრის პირობებში) დიდხანს ვერ შეძლებს ასე „მზამზარეული“ მოცემულობების „ყლაპვას“. საჭირო იყო რაიმე ალტერნატივა; და ეს ალტერნატივა წარსულში „მოგზაურობით“ და მისით სიამაყის უფლების „მინიჭებაში“ იპოვნეს. შესაბამისად, როცა წარსულის განდიდება და იქ „მოგზაურობა“ „ცოდვად არ ითვლება“ ამან წარსულის შესაბამისი პატივდების აუცილებლობაც მოიტანა, რისი ერთ-ერთი გამოვლინება სწორედ სახლ-მუზეუმების დაარსება იყო. მეორე ფაქტორი - მე-20 საუკუნის 30-იან წლებში „თანასწორობისათვის მებრძოლ“ სისხლიან ბელადს, მისივე პერსონის სიდიდის წარმოსაჩენად დასჭირდა ეჩვენებინა სრულიად საბჭოეთისათვის, 14 ოკუპირებული „ძმისათვის“ და საჭიროების შემთხვევაში მსოფლიოსათვისაც, რომ იგი წარმომავლობით კულტურული და დიდი ისტორიის მქონე ერის შვილია. ამიტომ, სწორედ 30-იანი წლებია, როცა ბელადის ამბიციით გარკვეული ხეირი მიიღო საქართველომ - უმთავრესი რუსთველის იუბილე და დმანისის არქეოლოგიური გათხრების დაწყება იყო, რამაც მართლაც ქართულ ისტორიაში ახალი ერა შექმნა. ამასთან ერთად კი, საბჭოთა რეჟიმის ბელადის ამ „ქვენაგრძნობების“ გამოისობით საქართველოში გაიხსნა ილია ჭავჭავაძის მუზეუმი ყვარელში 1937 წელს, საგურამოში 1951 წელს, აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი სხვიტორში (1939), დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი სიმონეთში (1945), ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი წინანდალში (1946), ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმი (სოფ. არჩეული. 1950), ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი (სოფ. ჯიხაიში. 1958), იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი (სოფ. ვარიანი. 1958) და ა.შ. თუმცა, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, 1937 წელს, ხსენებულ სახლ-მუზეუმებამდე გაიხსნა თავად სტალინის მუზეუმი გორში, მისივე სიცოცხლეში (ასეთიც ხდებოდა). ერთი სიტყვით, სახლ-მუზეუმების რიცხვს შეემატა მრავალი მწერლის, მეცნიერის, მსახიობისა და რეჟისორის, ალპინისტის... მუზეუმი. ადამიანს, რომელსაც არც სიცოცხლეში გაუმართლა და არც სიკვდილში, რომელიც ერთის მაგივრად სამჯერ დაკრძალეს (განჯიდან, ჯერ დიდუბის პანთეონში იქნა გადასვენებული, შემდეგ კი მთაწმინდის პანთეონში), რა გასაკვირია, რომ სახლ-მუზეუმების „რიგშიც“ ვერ აღმოჩნდა სათანადოდ პატივდებული - მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის უდიდესი ფენომენი, საკაცობრიო პოეზიის შემქმნელი, ქართული პოეზიის ევროპეიზმის დამამკვიდრებელი და ახალი აზროვნების ინიციატორი, რომელიც ეროვნულ ინტერესებს და პრობლემატიკას იაზრებდა არა ვიწრო სივრცის პერსპექტივიდან, არამედ საყოველთაო ჰუმანისტური იდეალების გადმოსახედიდან. ამიტომ, დრო პიროვნებისა, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა მისივე დიდი ბაბუის, განაჩენად ქცეული, გეორგიევსკს დადებული ტრაქტატის მართებულობა, რა გასაკვირია გვიან დამდგარიყო და, მის სახლ-მუზეუმზე ფიქრიც რეალური გამხდარიყო მხოლოდ ე.წ. „პერესტროიკის“ სიოს შემობერვის ჟამს. ასე რომ, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი მხოლოდ 1982 წელს გაიხსნა თბილისში, ჩახრუხაძის ქუჩა N 17-ში, სახლში სადაც 1942 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობდა თავადი მელიტონ ბარათაშვილი და მისი პირმშო, ქართული ლიტერატურის იმდროისათვის, ჯერ კიდევ არაღიარებული გენია ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმის არსებობა, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი და სასურველი მოვლენა იყო და ასევე რჩება. მნიშვნელოვანია მით უფრო იმ პირობებში, როცა პოეტის, მოაზროვნისა და მოღვაწის, ფოტოც კი არა გვაქვს შემორჩენილი და როცა, მისი ბიოგრაფიის არა ერთი ასპექტი დღემდე ბურუსითაა მოცული და როცა, მისი, თუნდაც მსოფლხედველობრივი საკითხები ჯერ კიდევ არაა პოლიტკონიუნქტურის გარეშე შესწავლილი - ამ ტიტანის პერსონა ძირითადად მხოლოდ რომანტიკოსი პოეტის ნიღბით არის წარმოდგენილი და გააზრებული. ამ ფონზე, მნიშვნელოვანი სამსახურიც შეიძლება გასწიოს სახლ-მუზეუმმა მისი ფიგურის მთელი სისავსით ამოხსნის მხრივ.

რაც შეეხება კონკრეტულად სახლ-მუზეუმს... ამ მუზეუმის არსებობა, ძირითადად ეროვნული და კულტურული პრესტიჟის საკითხად რჩებოდა წლების მანძილზე. ამას განაპირობებდა ის გარემოებაც, რომ ობიექტური მიზეზების გამო მუზეუმს არ გააჩნია მდიდარი კოლექცია და ექსპოზიცია - არ შემორჩენილა ბარათაშვილის მემორიალური ნივთები; მისი ხელნაწერების დიდი ნაწილი კი, 1982 წლისათვის უკვე იყო განთავსებული სხვადასხვა არქივებსა და მუზეუმებში. ამიტომ, ამ მხრივაც დიდი არ არის სახლ-მუზეუმის ფონდი, თუმცა, ბარათაშვილის ხელნაწერთა ნაწილი, საბედნიეროდ არის მის ექსპოზიციაში. ერთი სიტყვით, სახლ-მუზეუმი, მხოლოდ ხსენებული პრესტიჟის სტიმულირებას თუ ახდენდა და უკანასკნელ დრომდე არც დამთვალიერებელთა ჭარბი რაოდენობით გამოირჩეოდა. ერთადერთი, რაც მას გარკვეულ ხიბლს სძენდა იყო თავად მემორიალური სახლის თითქმის ორსაუკუნოვანი აურა და ადგილი, ურბანული მდებარეობა - ძველი თბილისის ჯერ კიდევ შემორჩენილი კოლორიტი.

2016 წელს თბილისის მუზეუმების რეორგანიზაცია გამოცხადდა, შეიცვალა თბილისის მუზეუმების მართვის მენეჯმენტი. თბილისის მერიაში შეიქმნა ცალკე სტრუქტურა - „თბილისის მუზეუმების გაერთიანება“, რომელშიც გაერთიანდა თბილისის ცხრა სახლ-მუზეუმი. აღნიშნული უწყება გახდა თბილისის სახლ-მუზეუმების მმართველი.

ამ რეფორმასთან დაკავშირებით დღესაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, პრეტენზიები და უკმაყოფილებანიც კი. თუმცა, მე როგორც ამ საკითხის დეტალებში ჩაუხედავი პირი, არაფერს და ვერც ვერაფერს ვიტყვი; ამასთანავე, ეს საკითხი წინამდებარე წერილის თემა სრულიად არ არის. „გაერთიანების“ შესახებ შემიძლია მხოლოდ ერთის თქმა; - როგორც სამუზეუმო სივრცეების სტუმარი და ამ სფეროთი დაინტერესებული პირი, ზოგადად ქართული კულტურის ხელშეწყობაზე ორიენტირებული და ხელოვნების სფეროს წარმომადგენელი ვთვლი, უმართებულო იქნება არ აღინიშნოს, რომ თბილისის სახლ-მუზეუმების მმართველობის საქმეში განხორციელებული ზემოხსენებული რეფორმის შემდეგ, საოცარი გამოცოცხლება შეინიშნება თბილისის ცხრავე სახლ-მუზეუმში. ისინი იქცა საჯარო თავშეყრის და საზოგადოებრივი დისკურსის ადგილებად, თემატური აქტივობებით დატვირთულ სივრცეებად და რაც არ უნდა პათეტიურად ჟღერდეს, ახალი სიცოცხლე შეიძინა. იმ პირობებში, როცა აღნიშნული მუზეუმები, საბჭოთა დროიდან მემკვიდრეობით გადმოცემული გაბერილშტატებიანი და ახალ ხელმოკლე რეალობაში უფუნქციოდ დარჩენილი სამეცნიერო ინსტიტუტების მსგავსად, ინერციით არსებობდნენ და არ ფლობდნენ არავითარ საინფორმაციო კომუნიკაციას აუდიტორიასთან, მათ შორის ზოგს სოციალურ ქსელებშიც კი არ ჰქონდა საკუთარი გვერდი, რათა კომპიუტერულ ეპოქაში დათვალიერების მსურველს სამუშაო საათები მაინც რომ გაეგო, განახლებად ინფორმაციაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. ასე რომ „თბილისის მუზეუმების გაერთიანებამ“ და მისმა მესვეურებმა საკმაოდ მოკლე დროში შეძლეს სახლ-მუზეუმთა გამართული ფუნქციონირების აღდგენა და ამ ცხრა სახლ-მუზეუმის, სასურველ და ცოცხალ კულტურულ სივრცეებად გადაქცევა. ეს, მით უფრო თვალშისაცემი აღმოჩნდა ბარათაშვილის სახლ-მუზეუმთან მიმართებაში. მოგეხსენებათ, გასული წელი ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო წელი გახლდათ - მისი დაბადებიდან 200 წელი აღინიშნა. ზუსტად, ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლისთავზე, მის დაბადების დღეზე განახლებული სახლ-მუზეუმის გახსნა შედგა. დღეს, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს, ჩახრუხაძის N 17-ში ნახოს ნიკოლოზ ბარათაშვილის განახლებული სახლ-მუზეუმი.

აი აქ, მივადექით მთავარ საკითხს - რას ნახავს იგი! სახლ-მუზეუმი ორი საგამოფენო დარბაზისაგან შედგება. პირველი დარბაზი (ოთახი) დათმობილი აქვს მე-19 საუკუნის ყოფის ამსახველ ექსპოზიციას, ინტერიერიც შესაბამისადაა მოწყობილი და გაფორმებული. წარმოდგენილია ეპოქის შესაბამისი ტიპოლოგიური ნივთები, ინვენტარი, ავეჯი და ა.შ. ეს ყველაფერი საკმაოდ ესთეტიურადაა ექსპონირებული და გარკვეულ პირველ ეფექტს უდავოდ ახდენს. თუმცა, იგივე ქართულ რეალობაში, არა ერთი მოღვაწის სახლ-მუზეუმს თუ გადავავლებთ თვალს, აშკარად თვალში საცემია ბარათაშვილის სახლ-მუზეუმის ამ დარბაზის ერთგვარი ბუტაფორიულობა. ეს გარემო →

# რა უნდა გვახსოვდეს რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1783-2008)

დასაწყისი გვ. 5

ხსენებული პუნქტები რუსეთს პრაქტიკულად არასდროს განუხორციელებია. სულ მალე, 1992 წლის 6 იანვარს, რუსეთის ფედერაციის სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერით, გამსახურდიას ხელისუფლება დაემხო. ქვეყანაში ქაოსის ხანგრძლივი ეპოქა დაიწყო.

1992 წლის 24 ივნისი. დაგომისის შეთანხმებას ხელი მოაწერეს ედუარდ შევარდნაძემ და ბორის ელცინმა. შეთანხმების მიზანს ცხინვალის რეგიონში მშვიდობის დამყარება წარმოადგენდა. რუსმა სამშვიდობოებმა ეს მისია „იტვირთეს“ და იქიდან მოყოლებული, საქართველოს ხელისუფლებამ რეგიონზე კონტროლი ფაქტობრივად დაკარგა.

## ელცინი, შევარდნაძე, იოსელიანი

1993 წლის 27 ივლისი. სოჭის შეთანხმება. ქართული მხარე კისრულობდა აფხაზეთის საომარი ზოლიდან ჯარისა და ტექნიკის გაყვანას, ხოლო რუსეთს უნდა გაეკონტროლებინა აფხაზების შეიარაღება და სამხედრო ძალები. საქართველომ აღებული ვალდებულება შეასრულა, რუსეთმა – არა. იმავე წლის 27 სექტემბერს სოხუმი აფხაზმა სეპარატისტებმა აიღეს.



საქართველოს ხელისუფლებას შეექმნა ილუზია, რომ დსთ-ში (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) გაწევრიანების შემთხვევაში ქვეყანა აღიდგენდა ტერიტორიულ მთლიანობას.

1993 წლის 3 დეკემბერს საქართველო მიიღეს ორგანიზაციაში, მაგრამ ამ ნაბიჯს ქვეყნისთვის სასიკეთო არაფერი მოუტანია.

2008 წ. 12 აგვისტო. ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება (ე.წ. 6 პუნქტიანი ხელშეკრულება). პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის ძალისხმევით გაფორმებულ დოკუმენტში გარკვევით ეწერა, რომ რუსეთი უნდა დაბრუნებოდა ომამდელ პოზიციებს. რუსეთი ამ ვალდებულებას არ ასრულებს.

დამოუკიდებელი საქართველოს ყველა ექს-მეთაური (ნოე ჟორდანია, ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი) საწყის ეტაპზე ცდილობდა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას და სადავო საკითხების მშვიდობიანად მოგვარებას, მაგრამ უშედეგოდ.

საქართველოს ოკუპაცია დღემდე გრძელდება...

**გიორგი არქანია**
თსუ მე-4 კურსის სტუდენტი.

დეკორაციას ან საგანგებოდ მომზადებულ პავილიონს უფრო წააგავს, ვინემ ორი საუკუნის მიღმა რეალურ პირთა სამყოფელს. მიუხედავად იმისა, რომ არსებითად ვერაფერს დაიწუნებ, შეგრძნების დონეზე - და მუზეუმების აღქმაში სწორედ შეგრძნებებს აქვთ მნიშვნელოვანი როლი შთაბეჭდილების მოხდენის თვალსაზრისით - რაღაცნაირი არაბუნებრივობის განცდა დაგყვება. ახალრესტავრირებული ავეჯი კი, ოდნავ უსულოდ გამოიყურება და უნებურად შეიძლება ანტიკვარული ნივთების ახალი ასლებით გატაცებული თანამედროვე „ბურჟუას" მისაღები მოგაგონოთ... მაგრამ მუზეუმს, რომელსაც არ აქვს მემორიალური ნივთები შემორჩენილი, ეს დარბაზი ამის ასანაზღაურებლად მთლიანობაში მაინც დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

მეორე დარბაზში კიდევ უფრო მეტია სახილველი. ბარათაშვილის ხელნაწერები და ასევე, მისი ეპოქის ნივთები ინტერესს ნამდვილად აღძრავს. ამასთანავე, რეაბილიტაციისას დამონტაჟებული, ექსპოზიციაზე მორგებული სპეციალური განათება კარგ ატმოსფეროს ქმნის, რომელიც ოდნავ იდუმალი, ინტიმური და მყუდროა. ექსპოზიციის კონცეფციიდან გამომდინარე აქცენტირებულია განათებული დეტალები და ამ სინათლეს მიყვები ბარათაშვილის სამყაროს შესაგრძნობად. განახლებული სახლ-მუზეუმის მეორე დარბაზის ექსპოზიციაში გამოყენებულია თანამედროვე კრეატიული ინდუსტრიის შესაძლებლობები, რაც ჩვენი რეალობისათვის ახალია, უცხო, შესაბამისად საინტერესო და მისასალმებელიც. 3D ანიმაციებითა და ჰოლოგრამებით შექმნილია ბარათაშვილის და მისი ეპოქის ცოცხალი, მოძრავი, ე.წ. გაცოცხლებული გამოსახულებები, ისინი განაწილებულია ნახევრად ბინდით მოცულ დარბაზში, რაც ერთი შეხედვით ლამაზი და მომხიბვლელია. ყოველ ასეთ გამოსახულებასთან კი, განთავსებულია ყურსასმენები. ისინი შეუძლია მოირგოს ნებისმიერმა დამთვალიერებელმა და გამოსახულების ცქერის პარალელურად მოისმინოს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის შედევრებად აღიარებული ლექსები, სადაც ცალკ-ცალკე გამოსახულებასთან ჟღერს „მერანი", „სულო ბოროტო", „ფიქრნი მტკვრის პირას", „საყურე". სულ ესაა რასაც მუზეუმი გვთავაზობს, რაც მიმაჩნია რომ რაოდენობრივად ცოტა ნამდვილად არაა, მაგრამ, არსებითად ეს ყველაფერი რა შთაბეჭდილებას ქმნის, ესაა საუბრის თემა.

მისასალმებელია სამუზეუმო სივრცეებში თანამედროვე ტექნოლოგიური ელემენტების შეტანა, მთავარია ეს ყოველივე როგორ, რა ხარისხითაა შესრულებული და შემოთავაზებული, თუ ტექნიკური, თუ შემოქმედებითი თვალსაზრისით. მოდით დავიწყოთ ერთ-ერთი 3D ანიმაციური გამოსახულებიდან, რომელიც - როგორც საგამოფენო დარბაზის კურატორი იუწყება, მე-19 საუკუნის ქალაქური ცხოვრების ამსახველ ანიმაციას წარმოადგენს. სინამდვილეში ეს არის ერთი კადრი, უცვლელი რაკურსით, სადაც ვხედავთ ანიმაციის სტილში კომპიუტერული გრაფიკით გაკეთებულ თბილისის N(ენ) ქუჩას, რომელზეც რამდენიმე ფეხით მოსიარულე მი-მოდის და კიდევ ეტლი ჩაივლის შესაბამისი „ხმაურების" თანხლებით; ამასთანავე, თითქოს შორიდან, ფონად მოისმის ქეიფისათვის მახასიათებელი ხმები (ხმას ვისმენთ ყურსასმენის საშუალებით და ეს ყველა ანიმაციის ყურებისას ასეა). ეს ყოველივე არასრული წუთის განმავლობაში გრძელდება და... პირველი შეცბუნება აქ გებადება... მე-19 საუკუნის ქალაქის ცხოვრების ამსახველი ანიმაცია არ უნდა გვენახა? ეს მხოლოდ ერთი გაელვება?.. ეს იმდენად მოკლე და არაფრისმომცველი, არაფრისმთქმელი, ყველანაირ შინაარს მოკლებული გამოსახულებაა, რომ ძნელია სახტად არ დარჩე. მითუმეტეს რომ ანიმაციის შესრულების ტექნიკური ხარისხიც არაა დამაკმაყოფილებელი, აბსოლუტურად ვერანაირ ეფექტს ვერ ახდენს და ეს ანიმაცია, მისი დინამიკით და პერსონაჟების მოძრაობის მანერით, საშუალო ტექნიკური ხარისხის (მე-20 საუკუნის ბოლო წლებსა და 2000-იანების დასაწყისში რომ შემოდიოდა ჩვენთან) კომპიუტერულ თამაშს გვაგონებს. უყურებ ამ გამოსახულებას და ფიქრობ, რომ ამის გაკეთებას ალბათ სჯობდა სულაც არ ეჩვენებინათ „მე-19 საუკუნის ქალაქის ცხოვრება"... თუმცა, აკი არც უჩვენებიათ. არა და, თუ ჩანაფიქრი უდავოდ მისასალმებელია, თან დღევანდელი ტექნოლოგიების პირობებში მართლაც რომ მშვენივრად შეიძლებოდა ამის მიღწევა, მაშ რაშია საქმე?.. ნუთუ ვერ გათვალეს განახლებული ექსპოზიციის შემქმნელებმა, რომ განახლებულ მუზეუმს სხვა „მადით" სტუმრობს დამთვალიერებელი და ამ ერთი, ყველა თვალსაზრისით „ნაცრისფერი" ფრაგმენტით ვერ დაკმაყოფილდებოდა; მით უფრო, როცა პირდები, რომ მე-19 საუკუნის ქალაქის ცხოვრებას აჩვენებ და რეალურად ხდება ერთი, ხანმოკლე (ერთი სრული წუთიც კი არა) გრაფიკული გაელვება, ისიც უშინაარსო და ისიც, საკამათო ტექნიკური ხარისხის. მცირე ჩანართის სახით ვიტყვი - ცალკე განხილვის თემაა, თუ რას წარმოადგენდა ბარათაშვილის თანამედროვე ქალაქური ცხოვრება... მაშინ, როცა სამარცხვინოდ გაყიდული შეთქმულების შემდეგ, ბოლომდე წაიქცა საქართველო... მაშინ, როცა სრული სტაგნაციაა საზოგადოებაში... მაშინ, როცა პირად კეთილდღეობას აყოლილი, ერთ დროს შეთქმულების მომხრენიც კი, სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, გაშმაგებულნი „ნადირობენ" საიმპერიო ხელისუფლების წყალობაზე და მედროვეობა წამყვანი საშუალებაა თავის დამკვიდრებისა... ამ დროს კი, „გრიალებს ყაბახი" და სალონებში, მეჯლისებზე ერთმანეთს ეჯიბრება ქართველობა ცარიზმის ერთგულებაში. თუ, მართლა იმ დროინდელი თბილისური ყოფის გაცოცხლება გვინდა, მაშინ კრიტიკული მიდგომის გარეშე ვერაფერს გავხდებით; თუ არა და გამოვა ზედაპირული სურათი, რომელიც ისტორიულ სურათს არა თუ ვერ შექმნიდა, პირიქით ისტორიულ რეალობას ბოლომდე მოწყდება... თანამედროვე მუზეუმებმა კი, დროა კრიტიკული მიდგომების სტიმულირებაც შეითავსონ...



კვლავ, სახლ-მუზეუმის ექსპოზიციას დავუბრუნდეთ. სანამ ბარათაშვილის ანიმაციათა სარკმლებთან მიხვალ, დარბაზში ყურადღებას იპყრობს დიდი ზომის ჰოლოგრამით გაკეთებული მორბენალი თეთრი ცხენი - იგი ყველაზე დიდი ზომის და მოცულობითი გამოსახულებაა. ბუნებრივია, მაშინვე ხვდები, რომ ეს „ტატოს მერანია". სწორედ „მერანთან" ისეთი შეუთავსებელია ეს პირდაპირი, პრიმიტიული, არ ვიცი რა შეიძლება დაერქვას... სიმბოლო, მეტაფორა თუ რა?.. ალბათ უფრო ილუსტრაცია... 90-იანი წლების ქართული ესტრადის მხატვრულ დონეს თუ გვაგონებს მხოლოდ. მიუხედავად ამისა, იკეთებ ყურსასმენს და ისმენ ტატოს გენიალურ ლექსს... თუმცა, რასაც უსმენ, ამაზე ოდნავ მოგვიანებით. შემდეგი გამოსახულებები, თავად ნიკოლოზ ბარათაშვილს „აცოცხლებს" სხვადასხვა გარემოში: სამუშაო მაგიდასთან წერს ლექსს, მტკვრის პირას განმარტოებული ფიქრს მისცემია, მისივე ლექსს კითხულობს, სავარაუდოდ რომელიმე სალონურ შეკრებაზე. ეს ანიმაციებიც არაფრისმთქმელი და ყალბიც კი არის. მსახიობი, რომელიც ბარათაშვილს ასახიერებს, აკეთებს სხვადასხვა გრიმასებს, იცვლის მიმიკებს, მზერით ცდილობს ითამაშოს ტატოს ფიქრები, შინაგანი განცდები და სამყარო, მაგრამ ეს იმდენად ილუსტრაციულია, პირდაპირ რომ ვთქვათ, არა თუ რაიმე ეფექტს ახდენს, წუხდები ყურებისას, რადგან არაბუნებრიობის შეგრძნება იმდენად მაღალია, ის პირობითობაც კი ვერაფერს შველის, რომ წინასწარ იცი, ანიმაციას უყურებ. 3D ეფექტი კი, სლაიდოსკოპის სივრცული გამოსახულების ხარისხს ვერ სცდება, რაც სამგანზომილებიანობის პაროდიას წააგავს. ბარათაშვილს ანიმაციებზე მსახიობი ნიკა ნანიტაშვილი „აცოცხლებს", იგი ნ. დუმბაძის სახ. მოზარდმაყურებელთა თეატრის წამყვანი მსახიობია და ვისაც სცენაზე უნახავს, იცის რომ საკმაოდ რთულ პერსონაჟებს და რთულ სცენიურ ამოცანებს წარმატებით ართმევს თავს, რაც დასტურია იმისა რომ ანიმაციების არადამაკმაყოფილებელ მხატვრულ ხარისხში მსახიობს ვერ დავადანაშაულებთ. აქ, მთავარი უზუსტობა სხვაგანაა საძებნელი და მიზეზის ძიებას, ისევ სპეციფიკამდე, ფორმასა და შესრულებამდე მივყავართ. ანიმაციების ბარათაშვილი - მსახიობი შესაბამისი გრიმით, საკმაოდ ჰგავს ლადო გუდიაშვილისეულ „ბარათაშვილს". ეს მოცემულობა შეიძლება გარკვეული თვალსაზრისით წარმატებად მივიჩნიოთ, თუმცა არის უფრო არსობრივი მხარეც. ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა და ერთგვარად მიღწევაც - მით უფრო, რომ მუზეუმის ფუნქცია სიახლეების შემოთავაზებაც არის და ამ მუზეუმს აშკარად აქვს ამის ამბიცია, კარგი გაგებით - ტატოს რეალურ სახესთან მიახლოებული პორტრეტის შექმნა, წარმოჩენა და დამკვიდრება, ამ საქმეში სხვადასხვა დარგის შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით. ლადო გუდიაშვილმა შექმნა მართლაც საუცხოო პორტრეტი ბარათაშვილისა, რომლისადმი იმდენად მაღალი მიმღებლობა გაჩნდა, რომ დღეს თითქმის ყველას გუდიაშვილის „ტატო"-სნაირი გვგონია ნიკოლოზ ბარათაშვილი. ეს შემოქმედისათვის დიდი მიღწევაა და ამისი უნარი, მხოლოდ დიდ ხელოვანთ თუ გააჩნიათ. მაგრამ ხელოვანი ქმნის მხატვრულ სინამდვილეს, ხოლო მუზეუმის მოვალეობაა ისტორიული სინამდვილის ჩვენება. ლადო გუდიაშვილს ვერავინ მოთხოვდა პასუხს, რატომ დახატა ტატო ისეთი, როგორიც დახატა, რადგან მის წარმოსახვაში იგი იმ სახით განსხეულდა. ხელოვანი ყოველთვის სუბიექტურია მის ხედვაში და ეს არის მისი ღირსებაც. აი, მუზეუმისადმი კი, შეგვიძლია ისტორიული სინამდვილის დაკმაყოფილების სურვილი გავაჟღეროთ. ბარათაშვილის თანამედროვენი როგორც აღწერენ, მაგალითად მისი გიმნაზიის მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი, ტატო (გუდიაშვილის პორტრეტისაგან განსხვავებით - გ.ს.), არ ატარებდა არც წვერს, არც ულვაშს, ქონდა სახის საერთო ქერა იერი და ნაბლისფერი თმა, კონტრასტს მხოლოდ მისი შავი თვალის ფერი ქმნიდა და სხვა დეტალები (იხ.: პ .ინგოროყვა, „თხზულებათა კრებული" I ტომი, გ/„საბჭოთა საქართველო", 1963 წ.. გვ. 258. კ. მამაცაშვილი, „ნიკოლოზ ბარათაშვილი (მასალა ბიოგრაფისაათვის)", გაზ. „დროება", 1881 წ., N 206). გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანი იქნებოდა ბარათაშვილის პორტრეტის მაქსიმალურად რეალურ აღწერასთან მიახლოებული სურათის შექმნა, რაც განახლებული მუზეუმის სავიზიტო ბარათად შეიძლება ქცეულიყო. ახალი სახე კი, ალბათ ტატოს გადააზრების საწყისადაც, რომანტიკულ საბურველს მიღმა, მისი აღქმისა და ახსნის დასაწყისად შეიძლებოდა ქცეულიყო. ნურავინ ჩათვლის, რომ ეს რაიმეგვარი ბრალდებაა მუზეუმისადმი ან მისი განახლებული კონცეფციის შემქმნელებისადმი; ეს სურვილია, თუმცა საჭირო და მნიშვნელოვანი სურვილი, რომელიც კიდევ ერთხელ ვერ განხორციელდა და მუზეუმმა ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა (რა ხნით არ ვიცი, რადგან ამას ნების გარდა, საკმაო მატერიალური რესურსი დასჭირდება, რისი საშუალებაც მუზეუმს არა აქვს, რეექსპოზიციის დროს კი ამისი გაკეთების მეტი შანსი იქნებოდა). ეს კი, ისტორიული და პოლიტიკური კონიუნქტურის გამო არასრულფასოვნად, კლიშეებით დამძიმებული ბარათაშვილის ბიოგრაფიის ხელახალი კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნებოდა.

შემდეგი... ანიმაციების ყურებისას, მოსასმენი ტატოს შედევრების აუდიო ჩანაწერები, რომელთა მხატვრული ხარისხი ასევე დამსახურებული კრიტიკის საგანი შეიძლება გახდეს (ლექსებს კითხულობს მსახიობი გიორგი კაჭახიძე). აშკარაა ისიც რომ მას არათავსებადი პირობები და ამოცანები ჰქონდა წაყენებული, რომ ჩანაწერები თან მხატვრული კითხვის პრინციპსაც უნდა დამორჩილებოდა და ამავე დროს უპრეტენზიო, ანუ კითხვის ფორმასაც ძალიან არ უნდა გასცდენოდა. ასევე, ჩანაწერების შექმნისას ვფიქრობ რომ საკმარისი დროც არ ჰქონდა მას მიცემული, ბარათაშვილის ურთულესი პოეზიის ნიმუშების აუჩქარებლად დამუშავებისათვის. გიორგი კაჭახიძე, კარგი მსახიობია, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ჩვენ ჯგუფელები ვიყავით და კარგად ვიცი მისი შესაძლებლობები, თუმცა ობიექტურობა მოითხოვს სათქმელი მაინც ვთქვა. ჩანაწერები დააზარალა ბარათაშვილის ზედაპირული გააზრებით დამკვიდრებულმა სტერეოტიპმა, რაც ტატოს პერსონას და მის ბობოქარ პოეზიას სენტიმენტალურ, ლირიულ-რომანტიულ ჩარჩოში ატევს. ამიტომ, ჩანაწერებს, ეს სტერეოტიპულობა და გრძნობათა-ბუნების უზუსტობა ძალუმად ეტყობა. ბარათაშვილი ხომ ის ავტორია, რომლის წაკითხვა არ გამოვა მხოლოდ განწყობის დაჭერით, ან რითმისა და მელოდიკის ხარჯზე, მხოლოდ პროფესიონალურად გამართული აზრობრივი აქცენტების საშუალებით... ბარათაშვილი ამ მხრივ უვერაგესი ავტორია, რომელიც მოითხოვს უდიდეს მობილიზებას, შრომას მისი არსის, სულის და ტემპო-რიტმის დასაურვებლად. ბარათაშვილის ლექსები თითქმის სცენიური მონოლოგებია, რომელსაც უნდა უზუსტესი დამუშავება, მისეული ლოგიკის და განვითარების ხაზის პოვნა. ამიტომ, მართალია გიორგი კაჭახიძე პროფესიონალი მსახიობია, მაგრამ მხოლოდ ეს, ყოველთვის არ კმარა ამ რანგის პოეზიის წასაკითხად. ამის პარალელურად კი, ეს ჩანაწერები ანიმაციასთან ერთად პრიმიტიულ ილუსტრაციას ქმნის ბარათაშვილის გამოსახულებებისას, ილუსტრაციულია ასევე ლექსებს ფონად დადებული მუსიკალური თანხლება, რომელიც განწყობის შექმნისათვისაა გაკეთებული, სინამდვილეში კი ლექსის აღქმას ხელს უშლის და მიმაჩნია უგემოვნო მუსიკალურ გაფორმებას უფრო წააგავს. ყოველივე ზემოთქმულმა, აუდიო-ეფექტსაც დაუკარგა ძალა. როცა გვყავს მხატვრული კითხვის ისეთი ოსტატი, როგორიც ელდინო სალარაძეა, რომელიც სრულიად განმაცვიფრებლად კითხულობს ბარათაშვილს, სასურველია გახსენებოდათ იგი მუზეუმის მესვეურებს. მავანი იფიქრებს ქალმა წაიკითხოსო? - მიმაჩნია ძალიან რაციონალური ნაბიჯი იქნებოდა. ჯერ ერთი ბარათაშვილის ანიმაციურ გამოსახულებას, როგორც კი ქალის ხმა დაედებოდა, ილუსტრაციულობას (და ილუსტრაციულობა ხელოვნებაში ყოველთვის მდარე ხერხად ითვლება) მინიმუმამდე დაიყვანდა; და, მეორე - ხმის გაიგივება ბარათაშვილთან ბუნებრივია ვერ მოხდებოდა, ამიტომ აქცენტი შინაარსობრივ მხარეზე იქნებოდა გადატანილი - ლექსის ამოკითხვაზე; ანუ, შეიქმნებოდა „გაუცხოების" ეფექტი, რაც აღძრავდა კრიტიკულ მიდგომას და რაციონალური გააზრების პირობას.

აი, ამ შთაბეჭდილებებით დავტოვე ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი დათვალიერების შემდეგ, მასზე ფიქრიც დიდხანს გამყვა, პირველ რიგში ბარათაშვილის ბედზე ფიქრი და შემდეგ მისი ბედის დღევანდელ დღეს თხრობის საშუალებებზე... ამიტომ გამიჩნდა სურვილი, ეს ფიქრი თქვენთვისაც გამეზიარებინა. „თბილისის მუზეუმების გაერთიანებას" და ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმს კი, მხოლოდ წარმატებას ვუსურვებ, იმედია ჩემი კრიტიკული სიტყვების მიღმა მათი მნიშვნელობის აღიარებასაც ამოიკითხავენ და კეთილგანწყობილი დამთვალიერებლის მოსაზრებას წინააღმდეგობად არ მიიღებენ. ხოლო თუ გაანალიზებენ კრიტიკულ მოსაზრებას, შეიძლება სამომავლოდ თუნდაც სულ მცირედით, სასარგებლოც კი იყოს, მით უფრო იმ პირობებში, როცა „თბილისი მუზეუმების გაერთიანების" მიერ, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

**გიორგი საყანელი**
*დრამის რეჟისორი,*
*საშემსრულებლო ხელოვნების მაგისტრი.*

# ბესარიონ გუგუშვილი სიცრუის ტირაჟირებას განაგრძობს!

2012 წლის დეკემბერში, ბესარიონ გუგუშვილმა გამოსცა წიგნი ცინიკური სათაურითა და ცინიკური დიზაინით „მკვლელობის დაკვეთა“. წიგნის გამოცემა კიდევ ერთი მცდელობა გახლდათ იმისა, რომ ბესარიონ გუგუშვილს განემტკიცებინა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობის“ თავისივე შეთხზული ვერსია. ჩვენ, საგაზეთო სტატიითა და განცხადებითაც, მაშინვე გამოვეხმაურეთ შენახული წიგნის გამოცემას; დღესაც მიგვაჩნია, რომ წიგნი და ბესარიონ გუგუშვილის სტატიებიც, რომლითაც გაყალბებულ-გამრუდებულია სიმართლე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი დღეების შესახებ, ემსახურება ერთადერთ მიზანს: **პასუხისმგებლობა აარიდოს ედუარდ შევარდნაძის, რუსეთის იმპერიიდან დაფინანსებულ ხუნტას, ზვიად გამსახურდიას დევნისა და მკვლელობისათვის, ხოლო თვითონ კი კვლავაც შეინარჩუნოს უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის გარანტიები ემიგრაციაში, საიდანაც იგი არასოდეს აპირებს დაბრუნებას!**

მას შემდეგ, რაც საქართველოს პროკურატურამ, 2016 წელს, როგორც იქნა, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების საქმე, „თვითმკვლელობის“ ვერსიიდან „მკვლელობის“ ვერსიად გადააკვალიფიცირა, ბ. გუგუშვილმა საკუთარი დესპანი, იოსებ ღუდუშაური მოავლინა თბილისს. ემიგრაციიდან მოვლენილი იოსებ ხუდუშაურის საგანგებო მისია გახლდათ საქართველოს პროკრატურაში გუგუშვილის ზემოხსენებული წიგნის წარდგენა, პარლამენტში გამოსვლა აღნიშნულ საკითხზე და წიგნის ეკა ბესელიასთვისაც გადაცემა, რათა პროკურატურამ და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომისიამ, ზვიად გამსახურდიას საქმეზე იხელმძღვანელონ გუგუშვილის წიგნით. იოსებ ღუდუშაური, საქართველოს პარლამენტში პირველი ვიცე-პრემიერის სტატუსით გამოვიდა და მოითხოვა ლეგიტიმური, კანონიერი (ანუ ბესარიონ გუგუშვილის) ხელისუფლების აღდგენის პროცესის დაწყება. აგრეთვე, საქართველოს პარლამენტმა დაიცვას ემიგრაციაში დევნილი ეროვნული ხელისუფლება გაზეთებითა (ძირითადად იგულისხმება ჩვენი გაზეთი) და ტელევიზიით წარმოებული დისკრედიტაციისაგან, შეწყდეს ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება „თვითმკვლელობის უტყუარი“ მტკიცებულების მოტივით. „უტყუარი მტკიცებულებების“ დოკუმენტურ „დასაბუთებად“ კი მიჩნეულ იქნას ბესარიონ გუგუშვილის წიგნი.



გუგუშვილი, საკუთრივ შეთხზული წიგნით, ეწევა რა სიცრუის ტირაჟირებას პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით, ზემოქმედებს საქართველოს პროკურატურაზე და საზოგადოებრივ აზრზეც. გუგუშვილი, დღემდე კატეგორიული წინააღმდეგია საქართველოს პროკურატურასთან თანამშრომლობასა და დაკითხვაში მონაწილეობაზე. მისი და ღუდუშაურის პოზიცია, აქამდე მკვეთრად რადიკალური იყო, რომ ისინი არ ცნობენ საქართველოს დე-ფაქტო ხელისუფლებებს, მათ არა აქვთ უფლება დაკითხონ კანონიერი ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი და, მითუმეტეს, ბრალი წაუყენონ მას! ამგვარი იმპერატიული მიდგომით, გუგუშვილ-ღუდუშაური ჩვენც გვამუნათებდა: „ვინ უნდა გამოიძიოს კანონიერი პრეზიდენტის მკვლელობა, უკანონო, ხუნტისმემკვიდრე ხელისუფლებამ?!“ ახლა კი რამ გამოწვია მათი დათბობა ხუნტისმემკვიდრე „ოცნების“ ხელისუფლებისადმი, გამოძიების მასალების სასამართლოსთვის გადაცემის შიშმა?! გუგუშვილი, საქართველოს პროკურატურის გამომძიებელს, სამართლებრივი დაკითხვის ალტერნატივად სთავაზობს ტელე-დებატებს შეუზღუდავი დროით, რაც არასერიოზული განაცხადია. საეთერო დროის ფინანსებს კი, ალბათ იმედოვნებს, რომ

ბ.გუგუშვილის წიგნი

„მკვლელობის დაკვეთა“



პრეზენტაცია

2012 წ. 26 დეკ., 17 სთ,

თბილისი, ლესელიძის 33

წიგნის მაღაზია „პარნასი“

მისი მადლიერი, რუსული და უცხოური, სპეცსამსახურები გადაუხდიან.

ყოველგვარი სენტიმენტების გარეშე ვაცხადებთ, რომ ზვიადი იმდენად მტკიცე და შეურყეველი გახლდათ თავის სარწმუნოებაში, „იძულებითაც" არ მოიკლავდა თავს, რამეთუ მას სავსებით გააზრებული ჰქონდა თავისი მოწამეობრივი ბრძოლა. მისი „თვითმკვლელობის“ ზღაპრების საქართველოში არასოდეს არავის სჯეროდა. საქართველოს პროკურატურამ კი, ხანგრძლივი და პროფესიული გამოძიების კვალდაკვალ გადააკვალიფიცირა პრეზიდენტის გარდაცვალების გარემოებების საქმე, მაგრამ „საქმის“ სასამართლოსთვის გადაცემის სახელისუფლო ნება დღესაც არ არსებობს. ამადაც, ბესარიონ გუგუშვილს, ჯერაც შეუძლია მშვიდად იყოს!

ფინეთის პროკურატურას, საქართველოს პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე ჰქონდა მცდელობა დაეკითხა ბესარიონ გუგუშვილი, რაზეც საკუთარი ქვეყნის ქართველი ემიგრანტისაგან, წერილობითი უარი მიიღო (იხილეთ დოკუმენტები):

**4. ფინეთის გამოძიების ბიუროს მიერ ბესარიონ გუგუშვილის ზვიად გამსახურდიას „მკვლელობის“ №7494802 საქმესთან დაკავშირებული დაკითხვა.**

**ფინეთის გამოძიების ბიუროს მკვლელობების განყოფილების მიერ ჩატარებული დაკითხვის ოქმები და დაკავშირებული დოკუმენტაცია.**

National Bureau of Investigation – Keskusrikospoliisi, Homicide Crime.

დაკითხვას უძღვებოდა უფროსი გამომძიებელი სუსანა პოროლა

*დაკითხვა ფინეთის კანონების შესაბამისად ჩატარდა*

*ელფოსტით, ინგლისურ ენაზე მიმოწერის საშუალებით*

@ 21.10.2015 10:31

გამარჯობათ,

ჩვენ მივიღეთ მოთხოვნა (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურორის სამსახურისგან) დაგკითხოთ, როგორც მოწმე ბატონ ზვიად გამსახურდიას (საქართველოს პირველი პრეზიდენტი 1991-1992) დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის საქმეზე.

ქართულ მხარეს სურს დაესწროს დაკითხვას.

კანონით დაშვებული არაა გადმოგცეთ ქართული მხარის ოფიციალური მოთხოვნის ასლი (საქმე №7494802), მაგრამ შემიძლია მოგაწოდოთ შეკითხვების ნუსხა, რომელზეც გვჭირდება თქვენი პასუხები.

დაკითხვისას გეყოლებათ მთარგმნელი. რომელი ენაა საჭირო, თქვენი მშობლიური ენა რუსულია, ქართული?

თუ თქვენ არ გსურთ ქართული მხარის დასწრება, ამის გადაჭრა შეუძლია ჩვენს მთავარ გამომძიებელ ინსპექტორს ბატონ ტუორასს, ასეთი საკითხებს გასწყვეტა მისი კომპეტენციაა.

ჩვენ შეგვიძლია მოვაწყოთ აუდიო დაკითხვა აქ, გამოძიების ბიუროში. ეს ყველაზე იოლი გზა იქნებოდა. შემდეგ, აუდიო ჩანაწერს ჩვენ გადავუგზავნიდით ქართულ მხარეს, ასე რომ მათ ექნებათ შესაძლებლობა მოისმინონ ყველაფერი.

თქვენი საცხოვრებლის მისამართს ქართულ მხარეს არ შევატყობინებთ.

საუკეთესო სურვილებით

*სუსანა პოროლა*

@ 21.10.2015 13:08

სუსანა პოროლას

გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩემი აზრი და მოთხოვნები.

*ბესარიონ გუგუშვილი*

საქართველოს მთავრობას მიღებული აქვს დადგენილება, ხელმოწერილი ვიცე-პრემიერის *ა.მარგიანის მიერ* (16 თებ. 1993), რომელშიც საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ზ.გამსახურდიას სიკვდილის თვითმხილველები არ მიიღებენ მონაწილეობას გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებულ არავითარ გამოძიებაში (პარაგრაფი 3. იხილეთ ქვემოთ).

მე მოვითხოვ ქართული მხრისაგან პატივი სცენ საკუთარ ვალდებულებებს და არ მივიღებ მონაწილეობას მათს პოლიტიკურად მოტივირებულ და ფალსიფიცირებულ „გამოძიებაში“ — მით უმეტეს ისეთ ვითარებაში, როდესაც რაიმე სერიოზული დასაბუთებებისა და დამაჯერებელი ფაქტების გარეშე — ზ.გამსახურდიას თვითმკვლელობა კლასიფიცირებულია როგორც მკვლელობა.

ასევე, საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს (ფაქტობრივი) მთავრობის ზემოთხსენებული დოკუმენტის შესაბამისად საქართველოში არასოდეს ჩატარებულა ზ.გამსახურდიას ცხედრის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, და ეს გარემოება ნებისმიერ გამოძიებას კანონიერ საფუძველს მოკლებულს ხდის.

სხვა მხრივ, მე მზად ვარ ვუპასუხო და ვისაუბრო ქართული მხარის ნებისმიერ შეკითხვებზე ღიად, საჯაროდ — საქართველოს ნებისმიერი პოპულარული სატელევიზიო არხის გამოყენებით“.

ბესარიონ გუგუშვილს, იძულებული ვართ შევახსენოთ, რომ იგი 1994 წლიდან აღარ არის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავრობის პრემიერ-მინისტრი და იგი უნდა დაიკითხოს, როგორც თვითმხილველი და მოწმე (იხ. მისი გადაყენების დოკუმენტი).

„საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის“ 104,23-ე, 123-ე და 124-ე მუხლებზე დაყრდნობით, 1994 წლის 1 აპრილის სხდომაზე მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება - „საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ„:

„საქართველოს უზენაესი საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან საქართველოს პრემიერ მინისტრი ბატონი ბესარიონ გუგუშვილი;

2. ეს დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

*საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დროებითი თავმჯდომარე ბ.ჩოლოყაშვილი*

*გროზნო, 1994 წლის 1 აპრილი.*

ბესარიონ გუგუშვილი, ასევე, ამავე პერიოდიდან, კრების გადაწყვეტილებით, გადაყენებულია წმ.ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარეობიდანაც, მისი საქართველოში არყოფნის გამო.

მაშასადამე, ბესარიონ გუგუშვილს არავითარი სამართლებრივი მოტივი არ გააჩნია, საქართველოს პროკურატურასთან თანამშრობლობაზე უარის თქმის შესახებ. კვლავაც მიგვაჩნია, რომ მის ინტერესებში უნდა შედიოდეს სიმართლის დადგენა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით, თუ მას არ აშინებს და აფრთხობს თავისი წილი დანაშაული ამ ისტორიული მკვლელობის დაკვეთაში...

**ლეილა ცომაია**

# „რატომ ქარგი აგიგია“ ანუ დიდოსტატის ხვედრზე

„ხელოვნება თავად უკვდავება, მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი.“ - ისევ ხმიანობს და ისევ მეორდება ხელოვანის ტრაგედიაც... ამჟამად, სამიზნე თავად მწერალი აღმოჩნდა, (თავის გმირივით), და ერთ დღესაც მოულოდნელად კვიმატი ოზრი გაკრთა, ვერ დაფრთხობდა, მაგრამ ითქვა ის, რაც სინამდვილეს არამცთუ არ შეეფერება, „საარაკო სისულელეა“, (მიხ. ჯავახიშვილისა არ იყოს).

ახალგაზრდებთან შეხვედრისას, კონსტანტინე გამსახურდია, ლევან გოთუა და ლევან სანიკიძე ათეისტებად გამოაცხადა დეკანოზმა ლევან მათეშვილმა (ვიდეომასალა ამ გამოსვლისა იუთუბზეა). ლევან გოთუაზე მიმართვის რა მას პროტესტით, შესწორდა და აშოლებულ იქნა. ძალიან უხეირული ფსევდობრალდებაა და ფაქტობრივი მასალით დადასტურებით. (გადაცემაც მივუძღვენი ამ თემას).

ახლა დაწვრილებით იმაზე, რაც სრულიად საპირისპიროს ადასტურებს:

„ნავალ, ვემთხვევი მაცხოვარის წამებულ სხეულს.“

(კონსტანტინეს ლექსიდან „მარია სტელლა“).

ცხადია, ათეისტი ამას ვერ დაწერდა. - „განა, მან არ გაუგზავნა თხოვნის ბარათი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში კალინინს, როდესაც მთავრობამ სიონის ტაძარს უზარმაზარი გადასახადი შეაწერა და ტაძარს დახურვა ემუქრებოდა? კალინინმა თხოვნა შეისმინა და გადასახადი მოახსნევინა.“ - მერაბ კოსტავას წერილიდან მწერალზე. გაუპიწვავად თქმული კი ადამიანს ღირსების შემლახავია და ცოდვაც... ახლა კი ის ფაქტები, რაც შესულია მე-20 საუკუნის ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო წიგნში, აკადემიკოსის - რუსუდან ნიშნიანიძის მიერ:

1. კონსტანტინემ ჯერ კიდევ მონაფეობისას, დადო ფიცი საფიჩხიის ეკლესიაში - სამშობლოს ხსნის რესტიტუციისთვის.

2. მან შექმნა პირველი საიდუმლო ორგანიზაცია „ცხრა ძმა,“ ასევე მონაფეობისას და ოცხელმა ისინა პატიმრობისგან.

3. კონსტანტინე გამსახურდიამ გადაუხადა საეკლესიო პარაკლისი გარდაცვლილ კლასიკოსს - გრიგოლ რობაქიძეს სვეტიცხოველში, სადაც მისვლა ვერ გაბედეს, მიწვევის მიუხედავად. მოძღვართან ერთად მხოლოდ მწერალი იდგა და ასევე, მწერლის და - ლიდა რობაქიძე. აღნიშნული ფაქტი არაერთ სამეცნიერო გამოცემაშია და კოლაუ ნადირაძის მოგონებაც ადასტურებს. დიდი ღირსების ამ დიად ფაქტზე, აგრეთვე, მერაბ კოსტავაც წერს წერილში - „გამოსათხოვარი.“ კონსტანტინემ გადაუხადა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი ექვთიმე თაყაიშვილსაც, სიონში.

„დიდოსტატის მარჯვენა“ კი ალეგორიული ხასიათის ნაწარმოებია და მწერალმა მხოლოდ ზერელე, ფორმალური მიდგომა გააკრიტიკა, რუსეთისგან ერთმორწმუნეობა ხომ გარეგნული ნიღაბი იყო მხოლოდ. ამ შემთხვევაში, ბერძენიც რუსის ალეგორიაა, (კრიტიკოსთა თანახმად). ქრისტიანობა, როცა საფარველია, მოჩვენებითია - ეს ხაზი გამოკვეთა... ერთდროულადაა რომანში: - დიდი ენერგიით დაძრული მშენებლობა სვეტიცხოვლის, რაიც ერის სულიერი ანაგობის სიმბოლოცაა და, მეორეს მხრივ, პასიურობა, ქვეგამხედვარობა, რაც გარედანვე შლიდა და არღვევდა საქართველოს. მართლაც, მწერლის ეპოქა ეს ხომ არ იყო თორნიკე ერისთავისა და გრიგოლ ხანძთელის დროინდელი აქტიური სულის საქართველო.

„დავით აღმაშენებელი“, „ზარები გრიგალში“ და „ფოტოგრაფი“ სჯობს გაიხსენონ მწერლის რელიგიური მსოფლმხედველობის დასადგენად. „ფოტოგრაფში“ ბოლშევიკს, ავმოქმედს, როცა მთავარი გმირი ეუბნება: - შენ შემაყვარე ღმერთი... ეს ძალიან მაცური გადაწყვეტაა მწერლისგან. იმდენად არაადამიანური და მხეცური იყო ბოლშევიკის ნამოქმედარი, ამან უფრო დაბადა ღმერთის წყურვილი და სწრაფვა უფლისკენ. წითელი სენის (წითელბატონებიც სიმბოლურია), მძვინვარებისას კი ჯვარს გამოსახავს მთავარი გმირი ყველა კარებზე, ჯვარი - გადარჩენის ნიშანი.

კვლავ მერაბ კოსტავას შეფასება: - „უამრავი მტერი და მოშურნე ჰყავდა კონსტანტინეს ცხოვრების მანძილზე. მათ აცოფებდათ მისი შინაგანი თავისუფლება და მოუსყიდაობა. მათი შავი ხროვა ხშირად აღძრულა მის მოსაშთობად... ებრძოდა საბჭოთა სახელმწიფო კონსტანტინე გამსახურდიას - დაპატიმრებით, მუქარით, მწერალთა კავშირიდან გარიცხვით;



უსაფუძვლო, მოსყიდული კრიტიკით, ჭორის ღრუბლებით.“ აქვეა პასუხი იმ მთავარ „ბრალდებაზე“, რომელსაც არაგულწრფელნი ანდა საქმეში ჩაუხედავნი, დღესაც იმეორებენ: - „საქართველოში არსებობს ინტელიგენციის პატარა ნაწილი, რომელიც ჩუმად გამოსთქვამს საყვედურს სიტყვის დიდოსტატის მიმართ. ეს ის ჯგუფია, რომელიც თავს ქრისტიანად რაცხავს, ხოლო გამსახურდიას წარმართ მწერლად მიიჩნევს. ასეთები „დიონისეს ღიმილით“ და „მთვარის მოტაცებით“ ხელმძღვანელობენ... (საუბარია სავარსამიძესა და ემხვარზე). მაგრამ ამგვარმა მსოფლჭვრეტამ ხომ მიიყვანა ეს გმირები კრიზისამდე? ხომ იყო ამ გმირების ტრაგიკული ფინალი მათივე მსოფლმხედველობის ლოგიკური შედეგი? ხომ შემოაღამდათ მათ თავიანთი ცხოვრების შუა გზაზე?. .ვინც დიდოსტატი არსაკიძის კათარზისს, მისი შინაგანი ფორმირებისა და სრულყოფის გზას ქრისტიანობის გარეშე განიხილავს, მას წარმოდგენაც არ გააჩნია ამ დიად ცხოვრებისეულ პრაქტიკაზე. კიდევ მეტიც, კონსტანტინე გამსახურდია სულ სხვა გზით და უფრო ახლო მოვიდა მწერლობაში ჭეშმარიტ ქრისტიანობასთან... თავისუფლების იმპულსით. შესაქმის პირველივე თავები გვამცნობენ, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი ხატად თავისად. თუკი ადამიანი ხატია ღვთისა, მასში უმთავრესი ღირსება შესაბამისად იგია, რაც უმთავრესია ღვთაებაში, ღმერთში კი უპირველესია სიყვარული, თავისუფლება და აქტიური შემოქმედებითი უნარი. არსაკიძეში ძალმოსილადაა წარმოჩენილი ამ უნართა გრადაცია... თავად უშინაგანესი ქრისტიანული აქტი: დიდოსტატმა ხომ შესწირა სული სვეტიცხოველს?... (ეს უკავშირდება გოლგოთის მისტერიასაც). აღარაფერს ვიტყვით მისი შემოქმედების მწვერვალზე „დავით აღმაშენებელზე“, სადაც მწერალი ქრისტიანობის საიდუმლოთა უფსკრულებს სწვდება, ამისათვის დაე, მომავალმა ილაღადოს.“ - დაასკვნის მერაბი აღნიშნულ წერილში და ესაა მართლაცდა, სეფე-სიტყვა მავანთათვის თუ მოყვრისათვის.

ყოველ კვირას, ჩოხით, ეროვნული სამოსით, ესწრებოდა წირვას სვეტიცხოველში კონსტანტინე - დენდი და რაინდი ქართული კულტურისა და სულიერების. გთავაზობთ საგულისხმო ამონარიდს მისი წერილიდან:-„ღმერთმა ინებოს, ჩემი ცისკრის ქვეყანა გაბრწყინებული და ლაზარესავით აღდგინებული მენახოს მარადჟამს, რამეთუ მრავალტანჯული ქართველი ხალხი ამ უდიდეს ბედნიერებას ნამდვილად იმსახურებს.“ (წიგნიდან - „კოლხური კოშკის ქრონიკები“).

„მთვარის მოტაცებაში“ ღმერთზე მას არაჩვეულებრივი სიტყვები აქვს გამოთქმული, საოცარი ხოტბაა და სასოება ამავდროულად: - „ღმერთი ფიქრსავით უხილავი, ცეცხლსავით ხელშეუხებელი, წყალსავით შეუმუსრავი, ქარსავით მიუღწეველი და ზღვასავით უფსკეროა.“ (კონსტანტინე გამსახურდია).

მან შექმნა მცნება მწერლობაში-„ჯვარცმული ქვეყანა“ და ეს სიტყვაც ნიშანდობლივია, აზრობრივადაც და სულიერი სურათ-ხატითაც.

იგი მოითხოვდა წმინდანად გამოეცხადებინათ ექვიმე თაყაიშვილი და ილია ჭავჭავაძე, (მათ გვერდით ასახელებდა ივანე ჯავახიშვილსაც. დღემდე ინახება ჩემს ოჯახში ეს საიუბილეო ნომერი მწერალზე, რომელშიაც ეს მასალაა).

აღსანიშნავია, ჟურნალ „კარიბჭისა“ და „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტის, კახა კენკიშვილის წერილიდან - „შორს კი შუქურად მოჩანს ღვთის წყალობა - ბერი გაბრიელი,“ ერთი ეპიზოდი მამა გაბრიელზე: „შინაურები რადგან ლოცვასა და მარხვას უშლიდნენ. ღამეებს სასაფლაოზე ან რომელიმე დაკეტილი ეკლესიის წინ ათევდა, ცივ ქვაზე მიწოლილი, მშიერ-მწყურვალი და აკანკალებული... ჩამოივლიდა თბილისის ქუჩებს, ქრისტე იწამეთ, გამოფხიზლდით, - ივედრებოდა. ერთხელ ქადაგებისას ჩოხოსანი მამაკაცი დასდგომია თავს... ჩოხოსანს მისთვის თავისი მისამართი მიუცია. როცა გინდა, მესტუმრე, ჩემი სახლის კარი შენთვის ყოველთვის ღიააო, უთქვამს. ის ჩოხოსანი კონსტანტინე გამსახურდია იყო...

ეს ჟურნალისტმა - კახა კენკიშვილმა ჩემს გადაცემაში სტუმრობისასაც გაიმეორა და, მით უმეტეს, თვალსაჩინოა, რომ მაშინ მოხდა მოხმობილი ფაქტი მწერლის მხრიდან, როცა იდევნებოდა წმინდა ბერი...

ცოტამ თუ იცის, რომ ოთხი ციხე გამოიარა დიდმა მესიტყვემ - მეტეხის, ლეფერტოვოს (რუსეთში), ლუბიანკას, ბუტირკის და გადასახლებულიც იყო სოლოვკის არქიპელაგზე - უმძიმეს პირობებში. მთელი ცხოვრება მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ და ესეც შეტანილია აკადემიურ გამოცემებში... საზოგადოება, როცა ბედნიერი არაა, მაღალი ცნობიერების მაინც უნდა იყოს, ეს აუცილებელი პირობაა. სიყვარულითაც ართმევდა თავს ყოველივეს...

იპოლიტე გამსახურდია საოცარ ფაქტებს იხსენებს თავის საავტორო წიგნში მწერალზე. გალში შეხვედრისას კულტურის სახლში, რომელიც დიდოსტატს მასპინძლობდა, გამოემცნაურა კონსტანტინე. ასე გაუცვნია. დიხაზურგაშიც მიუწვევიათ სასიქადულო მწერალი. საპატივსაცემო სუფრასაც მისხდომიან და ასეთ ფაქტსაც იგონებს:

„-აკაკი ამბროსოვიჩ! თქვა ერთ-ერთმა მასპინძელმა... ამ დროს გაისმა კონსტანტინეს ხმა:

-რას ნიშნავს ეს, ჩემო კეთილო, ქართული დაგავიწყდათ?!..“

საღამოს განყოფილებაზე, უნივერსიტეტში სწავლისას, სამსახურის ცნობა მოუთხოვიათ იპოლიტე გამსახურდიასთვის, დახმარებია კონსტანტინე. ხელმეორედ კი ჩაწერის გამო მიუმართავს, რათა ბინის აღრიცხვაზე დამდგარიყო და რაოდენ დიდ გულისხმიერება -კეთილშობილებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მწერალი შორეულ ნათესავს მუდმივად ჩაწერს ცოლ-შვილით. თანაც ჰკითხავს:

- რამდენი შვილი გყავს?

-ოთხი ბიჭი.

-კაცი შენ ყოფილხარ, ჩაგწერ, აბა, რას გიზამ... ოთხ მესაზღვრეს უზრდი სამშობლოს, მათ ბინა არ უნდათ?

მაშინვე კალინინის რ-ნის მილიციის საპასპორტო მაგიდის უფროსთან გაგზავნა ბარათით, საბინაო წიგნიც გადასცა და სამკუთხა ბეჭედიც. კონვერტი გაუხსნია, მწერლისგან წამოსულს და ეს წაუკითხავს:

„ბატონ ვლადიმერ კიტიას!

გთხოვთ, ჩამიწეროთ მუდმივად ჩემს კოლხურ კოშკში ნათესავი იპოლიტე იონას ძე გამსახურდია და მისი მეუღლე ლიანა ბუკოს ასული ყოლბაია.

პატივისცემით კონსტანტინე გამსახურდია.“

მთარგმნელობითი საქმიანობაც მეწადაო, თუმცა ვერ კიდებდა ხელს ინგლისურში არასაკმარისი ცოდნის და გაუწაფაობის გამო, მაგრამ შეიტყო რა მწერალმა ეს ამბავი, ზვიადი მოიხმო და კვირაში ორჯერ დრო დაანიშნინა იპოლიტეს სამეცადინოდ. (წიგნიდან: იპოლიტე გამსახურდია -„მოგონებები კონსტანტინე გამსახურდიაზე;“ გამომცემლობა „ალაშარა, სოხუმი-1991 წ. ). ვფიქრობ, აქ რაიმეს დამატება ზედმეტია, იმდენად აღმაფრთოვანებელი და თვალსაჩინო მაგალითია მაღალადამიანურობის.

ახლა ერთობლივ, დიდი კონსტანტინეს დამსახურებებსა თუ დევნაზე, რევაზ კვერენჩხილაძის წიგნს -„წამების გზას“ გავადევნოთ თვალი:

კონსტანტინე „ქართველ მწერალთა კავშირის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია. იგი იცავს სამშობლოს და ხმლითაც იბრძვის თურქი ასკერების წინააღმდეგ, 1918 წელს... მდგომარეობა რთულდება. 1923 წ. 15 მაისს საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა გასცა მკაცრი განკარგულება, რომლის მე-4 პუნქტიც ეს გახლავთ:

4. წინადადება მიეცეს განსახკომს - მოხსნას გამსახურდია უნივერსიტეტიდან.

(განსახკომი-განათლების სახალხო კომისარიატი).

მწერალი მაინც არაფერს თმობს და შეუპოვრადაც აგრძელებს ბრძოლას: -„როცა ერი პოლიტიკურ ფრონტზე მარცხდება, კულტურული საალყო წესები უნდა იყოს გამოცხადებული და კულტურული დიქტატურა.“ ამგვარია პოზიცია აქვს, მკვეთრი და თავადვეა „კულტურის ფრონტის“ ერთ-ერთი გუშაგი და ერთგული მეციხოვნეც. მამულიშვილ მწერალს მძიმე და გაუსაძლისი ტვირთი არგუნეს, ამადაც უწოდეს -„შინაური ემიგრანტი,“ მაგრამ რაკი სამშობლოსაც არ ულხინდა, მხნედაც იტანდა სადაგ დღეებს.

ზემდგომებმა მარჯვედ ჩაშალეს ივანე ჯავახიშვილის გადაწყვეტილებაც - გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ჰუმბოლდტის სახ. სტიპენდიის, სამეცნიერო მივლინების კანდიდატად, კონსტანტინე გამსახურდიას წარდგენა - გაგზავნის შესახებ. ამას უკვე პატიმრობის ხანაც მოჰყვა ზემოთხსენებულ ციხეებში...

თავიდან რამდენჯერაც იწყებს დიდოსტატი ბრძოლას, იმდენჯერ ახლდება ძველი იარაც. სიყვარულით მმოსავსა და სიმართლის მოლაშქრეს, არავინ აძლევს გასაქანს და მოგვიანებით, კვლავაც უხსენებენ მწერალს ძველ ბრალდებებს. მორიგი თავდახსმაც სახეზეა; კომპარტიის ცკ-ის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგემ - კარლო ორაგველიძემ ასე ჩამოაყალიბა მის მიმართ „ბრალდებანი„:

1. ქართველი ერის განსაკუთრებულობას ქადაგებს.

2.ამბობს: საქართველოში ნაციონალიზმი არ არისო. მაშ, პარტია ცდება, როცა ამბობს - არისო.

3.ნაციონალისტობაა, როცა გამსახურდიამ პლენუმზე თქვა: აფხაზეთის მეგრელმა რუსულად რატომ უნდა მელაპარაკოსო.

4.ასევე ნაციონალისტობაა, როცა ამბობს ბაღდათს მაიაკოვსკი რატომ უნდა ერქვას, როდესაც ქართველი მწერლის სახელი არც ერთ ქალაქს არ ჰქვიაო.

ძმა ალექსანდრეც დაუხვრიტეს 1937 წელს...

რა ქარტეხილებში არ მოექცა ჯიქურ მავალი, უტეხად მბრძოლი ურჩ ბედთან... ხვედრი უჩვეულო ერგო ზნეობრივ მაშვრალს. აკი, თავადვე წერდა - „დიდკაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები„... თუმცა, მისივ თქმულია: „ურმით დადის ბედისწერა ამქვეყნად, რაც უნდა ჩქარა ირბინო, მაინც წამოგეწევა ბოლოს.“

მომავლის იმედს კი უკვე ზვიადსაც გადასცემს და მას და მერაბს აფრთიანებს თავისუფლების მწვერვალებისკენ...

„ომი ყველა კაცს არ შეუძლია და ინტრიგობა კი ყველას ძალუძს“ (კონსტანტინე). მას მართლაც გადახდა ბრძოლა, რომელიც მხოლოდ გმირებს ერგება და ბრძოლის მედროშედაც შვილი არჩია...

დასასრულს, კვლავ იპოლიტე გამსახურდიას წიგნს დავუბრუნდები. საიდან აღარ ილებდაო კლასიკოსი მწერალი კორესპოდენციებს - "დელი, პარიზი, ლაიპციგი, კიევი... ეწერა კონვერტებზე"... საყოველთაო სიყვარული კი სამშობლოს ბედზე მჭმუნვარებას ვერ აქარვებდა. ერთ-ერთ სტუმრობისას იხსენებს, როგორ შეასხა გენიოსმა ხოტბა ენგურს და როგორ არ ეამა ენგურჰესის მშენებლობა... გაზეთ "სამშობლოს," 1971 წ. 10 დეკემბრის ნომერში, რომელიც მწერალ-აკადემიკოსის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მთლიანად კონსტანტინეს დაეთმო, მწერლის საოცარი ავტოგრაფიც მოხვედრილა, ულამაზესი სავედრებლივით სულისშემძვრელი:

"მე არსად მინახავს ასეთი თეთრი, აქატის ღრუბლები, არც ასეთი გამჭვირვალე ჰაერი, არც ბალახს, არც ნეშოს ასეთი სურნელება არ აუდის სხვაგან. მთელ ქვეყანას არ მოლანდებია ასეთი გათენება და შეღამება.

მზეო, საქართველოს მზეო, მომანიჭე მე შენი მზერა და შენებური ღიმილი, ნურც სიყვარულს დამაკლებ საქართველოს სურნელოვანო მიწავ.

ასე შემითვისე და შემიყვარე."

*კონსტანტინე გამსახურდია.*

1971. 15. X.

**ლალი ბარქიმაშვილი**

## არქივიდან

### პენ-კლუბის საერთაშორისო ორგანიზაციას
### კულტურის ძეგლთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს
### მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ყველა კეთილი ნების ადამიანს

საქართველოს ფაქტობრივი მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება, ოთხი წელია ეწევა ქართველი კლასიკოსი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას სახლ–მუზეუმის, კულტურის ძეგლის – „კოლხური კოშკის“ – ვანდალურ ნგრევას:

1992 წლის 15 მარტს, რუსეთიდან წარმოგზავნისთანავე, ედუარდ შევარდნაძემ, შეუსია ვანდალთა ხროვა „კოლხურ კოშკს“, რომლებმაც გადაწვეს იგი და მოსახლეობას არ მისცეს უფლება ჩაექროთ ალეშული ხანძარი. დაიწვა მწერლის უნიკალური ხელნაწერების, ბიბლიოთეკისა და ავეჯის დიდი ნაწილი.

შევარდნაძის ხელისუფლება დღემდე ახორციელებს „კოლხური კოშკის“ გადარჩენილი ნაწილისა და დამხმარე სათავსო–ნაგებობების ნგრევას. სისტემატურად ირბევა კლასიკოსი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიასა და მისი ოჯახის საფლავებიც კი. „კოშკს“ არა ჰყავს ოფიციალური დაცვა. ქართველმა საზოგადოებამ, გაზეთებით, არა ერთხელ მივმართეთ შევარდნაძეს, რათა შეეწყვიტათ „კოლხური კოშკის“ მიზანდასახული ნგრევა და დაეყენებინათ მცველი, მაგრამ – ამაოდ.

ახლახან, მწერლის დაბადების წინასაიუბილეო დღეებში, დაჩიჩქნეს აქამდე სასწაულად გადარჩენილი მწერლის მემორიალური დაფა და ბარელიეფი კოშკის კედელზე.

გთხოვთ, ჩვენთან ერთად აღიმაღლოთ ხმა ქართველი კლასიკოსი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას (როგორც მსოფლიო მწერლის) სახლ–მუზეუმის, კულტურის ძეგლის – „კოლხური კოშკის“ – დასაცავად და დაგვეხმაროთ, რომ მომავალ თაობებს, არსებული სახით მაინც შევუნარჩუნოთ ეს უნიკალური ნაგებობა.

*სრულიად საქართველოს ეროვნულ–პოლიტიკური ორგანიზაციის „ზვიადის პარტიის“ სახელით, პარტიის თავმჯდომარე,*

**მწერალი ლეილა ცომაია**

*საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი*

**ეთერ მგალობლიშვილი**

1996 წლის 30 აპრილი.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი   გ ვ ე რ დ ი

# პირველი სიყვარული



**მარიამ ნიკლაური**

სამი წლისაც არ ვიყავი, დედაჩემი მოსალოგინებლად ემზადებოდა და დედამისთან გამისტუმრა სოფელში. ჩემი ლამაზი და ტკბილი ნინო ბებო ჩაის ფაბრიკაში მსახურობდა, და მეც თავისივე სამსახურის საბავშვო ბაღში დავყავდი. მარტო ცხოვრობდა და შინ ჩემი დამტოვებელი არავინ ჰყავდა. ამიტომ დილაბინდზე ამდგარი და უკვე საქმით დაღლილი, სამსახურისთვის რომ გამოეწყობოდა თავისივე შეკერილი „შტამბოვკის“ თალხ კაბაში, როგორც ქვრივს შეჰფეროდა, მეც გამომაწყობდა, ამიტატებდა ხელში და ბაღში მიმარბენინებდა. საბავშვო ბაღი იქვე ჩაის ფაბრიკის ზღაპრულად გამწვანებულ ეზოს გვერდით იყო. ეს გამწვანება იმდროინდელია, როცა შავიზღვისპირეთს ევროპაში განსწავლული მებაღეები და ბოტანიკოსები სამოთხედ ქცევას უპირებდნენ რუსი იმპერატორის დავალებით. როცა ჩაის ჩინელები აშენებდნენ გურია-აჭარის მიწაზე, როცა ქუთაისს, სავარდოსა და სამაისოს, შოტლანდიელი ამწვანებდა და როცა ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს ყველაფერიც ოდესმე ისევე გაქრებოდა მიწისპირიდან, როგორც მძიმედ დაშვებული ნისლი ივანობისთვეში ან როგორც პირველი სიყვარულის სევდა... რა მცენარეს არ ნახავდით აქ, იმავე გამწვანების ზოლისას, რაც მწვანე კონცხის სანაპიროზე ირგვებოდა.

საბავშვო ბაღი ერთსართულიან ხის შენობაში იყო განთავსებული და მის გარშემოც ამ სანაქებო ბაღის განაპირა ტევრები დეკორატიული ხეებისა და ბუჩქების მწკრივებით დამშვენებულნი, ირგვლივ გამბანგველ სურნელს აფრქვევდნენ. ბებია ნაავადმყოფარი ქალი იყო და როცა ბაღამდე გასასვლელ კილომეტრიან გზაზე თავისი წყალნადგამი გვერდი ატკივდებოდა, სულ ცოტა ხნით დაბლა დამსვამდა და ყვავილების მოკრეფას იმიზეზებდა, მე თქვენ გეტყვით და იმერულ კოპწია შუკებში ყვავილს ვერ ნახავდი მოსაკრეფს. ღობებზე თეთრი ველური ვარდები ჰყავოდნენ, ღობის ძირებში კი, ველური ყვავილები, უსახელონი თუ სახელიანები, ბაიები და ვარდკაჭაჭები და ღიღილები და რა აღარ... დაიყვავილებდნენ და, მერე ფერად-ფერადი ფოთლები გვქონდა საკრეფი... ბაღში კი მივიდოდი და ჩემ საყვარელ ნაზი მასწავლებლისთვის მიმქონდა ბებოს გამოგონილი „გაუტკივარების თაიგულები“...

ახლახან მეცნიერებმა სიყვარული ავადმყოფობად აღიარეს. მე კი ამ მეცნიერული კლევისა და დასკვნის გარეშეც მშვენივრად ვიცოდი, მართლა საშიში ვირუსი რომ იყო სიყვარული. ვერაფრით დაიცავ თავს, არავინ იცის, რისთვის, როგორ და როდის შეგეყრება ხოლმე ეს ვირუსი, ან ვისგან გადაგედება, ხან რომ მთელი ცხოვრებით დაგაინვალიდებს მისი რთული ფორმა, ხანაც მსუბუქად და იოლად დააღწევ თავს. მაგრამ უკვალოდ არასდროს ქრება, როგორც ყვავილაბატონები. სულ რომ არაფერი ერთ პატარა ნიშანს მაინც დაგიტოვებს სადმე.

ბაგა-ბაღის ბავშვებს ერთად გვასეირნებდნენ ხოლმე ბაღის ლამაზ ეზოში რადგან ამ ეზოს ერთ მხარეს ბაგა იყო, მეორე მხარეს ბაღი.

„ბავშვი ტირის, მანიაა, ჩაი დუღს, მანიააა“ ეს ფრაზაც მახსოვს. ეტყობა, მანია ერქვა ბაგის ძიძას. და ეტყობა, მეც ვბაძავდი და ხშირად ვიმეორებდი ამ შეძახილს... ჰოდა, ეს მანია გარეთ გვასეირნებდა ხოლმე და მეც ერთ მშვენიერ დღეს ვიგრძენი საშინელი მოწყენა და გულის ტკივილი. იქნებ, გულისა სულაც არ იყო, იქნებ უბრალოდ სული მტკიოდა, გულთან ახლოს და იმდენად პატარა ვიყავი, სხვა ორგანოს სახელიც კი არ გამეგო, გული ვიცოდი, რადგან ბებო სულ ასე მეფერებოდა „ჩემო გულოო“ და ეს გული გამეგო. ჰოდა, ამტკივდა გულიც, სულიც, ამტკივდა დარდიც, ნაღველიც, სევდაც... ეს სიტყვებიც, რა თქმა უნდა, არ ვიცოდი მაშინ, მაგრამ ვიცოდი, რომ რაღაც ძალიან უცნაური ხდებოდა ჩემს თავს... ცოტა ხანში ბაღში გადამიყვანეს ანუ ერთი შენობიდან მეორეში, ეტყობა ამასობაში სამი წლისაც გავხდი... როდის გამიარა იმ დარდმა და იმ სევდამ, არ ვიცი, მაგრამ დღემდე მახსოვს, რა იყო იმ დიდი მოწყენის მიზეზი: ბაღისა და ბაგის ეზოში ბევრი ბავშვი თამაშობდა. მე ორი გამოვარჩიე, ორი ბიჭი, ისინი კი ბიძაშვილები ყოფილან და ალბათ ამის გამო, სულ ერთად იყვნენ, და ვინ იცის, ამიტომ მეც ერთიანად აღვიქვი მათი არსებობა. მერე სწორედ ამათგან ის ვირუსი შემეყარა, „მალვა“ რომ უხდება, ჰოდა, რაც მახსოვს ესაა, როცა თვეების მერე ჩემებთან დავბრუნდი, როცა დედიკოს, მამიკოს და ახლადგაცნობილ ძამიკოს სიყვარულით გული ვიჯერე, როცა ჩავჯექი ოჯახის ჩვეულებრივ რეჟიმსა და რიტმში და საღამოს ჩემს საწოლში მაწვენდნენ ხოლმე მშობლები, ზუსტად 9 საათზე, როცა დამაფარებდნენ ჩემს პატარ ლამაზ „ადიელას“ ვარდისფერი ირმებით, და მარტო ვრჩებოდი, ამ საბავშვო ნიკელის საწოლის „სასახლეში“, რომლის გვერდებზეც ჰამაკის ტიპის ძაფწნულები იყო გადაჭიმული მოაჯირებად, მახსოვს ჩემი ისევ ნაღვლიანი ფიქრები ერთადერთ სადარდელს უტრიალებდნენ, როგორ მიმეღო ცხოვრების უმთავრესი გადაწყვეტილება და მივმხვდარიყავი, რომელი მიყვარდა ამ ორიდან უფრო, რომელს უნდა გავყოლოდი ცოლად და თან საჩვენებელი თითით ვაწვალებდი ამ ძაფწნულებს, ვაწვალებდი, ჩემ კაფანდარა თითებზე ვიხვევდი, და მხოლოდ ძლიერი ტკივილის შემდეგ ძაფს უკანვე დავატრიალებდი და ვინთავისუფლებდი ნატკენ თითს და ისევ ხელახლა... ხან ამ ვარდისფერ მარხილში შებმულ ირმებს დავყურებდი და ალბათ ასეთ ტანჯვაში და თვითგვემაში დანთქმულს, ნელ-ნელა თვალზე რულიც მეპარებოდა...

ვინ იცის, რამდენ პატარას აწვალებს პირველი სიყვარული და მიაქანებს ვარდისფერი ირმების მარხილი ბავშვური გულის ტვირთით, ვინ იცის, რა ფერია ამ სიყვარულის სათავე, რა მდინარეებს და ქარბუქებს წამოიყრის გზებზე წლების მერე, როცა აღარც გახსოვს „სიყვარულის აცრა“ და გიკვირს რა გამძლე და ძლიერი გამოდექი, თავი არ მოაკვლევინე, არ დააჯაბნინე, გაუძელი, ატარე, ემეტოქე და სიყვარულითვე სძლიე...

ნეტა თქვენ რომელ მხარეში დააქროლებთ მარხილებს ახლა, ჩემო ვარდისფერო ირმებო...

ხომ უფრთხილდებით ბავშვების თითქოსდა უმიზეზოდ დასევდიანებულ გულებს?..

ხომ არ ტოვებთ მათ სადმე, მარტო, დიდ ქარბუქებში, პირველი სიყვარულის ამარა?..

# კოინდრიანი ეზო

ასეთ კოინდარს ვერსად ნახავდით. ვერც ეგეთ გლიცინიებს. არც ეგეთ სიმშვიდეს და სისუფთავეს. თითქოს აქ ხეს ფოთოლი არ წყდებოდა, არც ნაყოფი ლპებოდა და ცვიოდა ნაადრევად, მწიფობამდე, იმერული ნესტით თავგაბეზრებული. არც ქარი ქროდაო, გეგონებოდათ, ღობის აქეთ... მთელი სოფელი და მთელი იმერეთიც რომ მოგევლოთ, ესეთ ეზოს ვერსად გადაეყრებოდით. რა იყოს ეს, რა მდუმარების ოაზისი ამ ცოცხალ და ხმაურიან იმერულ სოფელში, ვერაფრით ახსნიდით. უშვილო ცოლ-ქმარი ცხოვრობდა აქ, დავითი და კლავდია. შორეული ნათესავის ობოლ ბიჭს ზრდიდნენ და ოჯახსაც თავისი წილი ბედნიერება ჰყოფნიდა. გვიან დაოჯახდნენ, მას მერე, რაც ომიდან დაბრუნებულმა დათიკომ გადასახლების 25 წელიც მოიხადა არარსებული დანაშაულისათვის, ხოლო კლავდიამ, ამ სოფლის ახალგაზრდა მასწავლებელმა დააფრთიანა თავისი ობოლი და-ძმები და მარტოდ დარჩა დედ-მამისეულ ქოხში. ერთ მშვენიერ დღესაც გადმოსახლდა სოფლის ერთი ბოლოდან მეორეში კლავდია, და დათიკოს ეზო-კარში უსაზღვრო სიმშვიდე და სათნოება მზითვივით მოიყოლა.

კლავდია თავისდაუნებურად იწვევდა ყველასაგან მოკრძალებას. 104 წლის მამამთილი, სოლომონი რომ გარდაიცვალა, ხალხმრავლობამ პირველად არია ეს ეზო თავისი სრულიად განსხვავებული ორთავე მხარით, არც მარცხენა-მარჯვენასავით რომ ესადაგებოდა და არც წაღმა-უკუღმასავით რომ ეწყობოდა ერთმანეთს. ეზოს შუაგულში, ჭიშკრიდან კარგა მოშორებით კოხტა ოდა სახლი იდგა ქვის ბირკვილებზე, აივნიანი, ცალ მხარეზე „ქუხნამიშენებული“, დამრეცი სახურავით და იდუმალი უკანა კარით. ეს წინკარისა და უკანაკარის ერთობა ქმნიდა ამ ეზოს ორივე მხარის ერთობასაც და ეზოს შუაგულში სამანივით ჩადგმულ სახლს კიდევ უფრო აიდუმალებდა. სახლის წინ სრული სიმშვიდე, ანგელოსური, იდილიური ყოფა, სახლის უკან კი...

ყველაზე ავი ძაღლი! ის დიდი ჯაჭვიც მახსოვს, ოდის უკან რომ იყო გაბმული „ქუხნის“ უკანა კარიდან და სოხანედან ჭამდე. ვერავინ გაბედავდა იქ გასვლას. სიკვდილი იყო თითქოს დაბმული იქ. ყველა ძრწოდა სოფელში ამ ძაღლის შიშით. იფიქრებდი იმ ობოლი ნათესავი ბიჭის, იმ ნაშვილები ბავშვის უკანვე წაყვანისა თუ ეშინიათ ასე, თორემ ამ ზნეკეთილმა ხალხმა, სიტყვა რომ ხმამაღალი არავისთან დასცდენიათ, რა შიში ნახეს ასეთი, ან ასეთი ჯიშის ძაღლი საიდან მოიყვანესო. ძაღლის მეტი რა იყო სოფელში და მათი ყეფა, რა უცხოგასაგონი ხმა იყო ხალხისთვის, მაგრამ დათიკოს და კლავდიას ძაღლი სულ სხვა იყო. ვერც იფიქრებდი ადამიანი, რა ძალას შეიძლებოდა მოესპო და გაექრო ამ სამოთხესავით ეზოს უკანა მხრის ჯოჯოხეთური სიავე. ან ის რა ჯაჭვი იყო ასეთი, მოუხსნელად რომ ეკიდა ძაღლს კისერზე და მაინც რომ არ აჩაჩანაკებდა, ვითომ ამირანის მჭედელების ნახელავი? ოდის წინ კი სულ ასე მწვანედ და სულ ასე სუფთად ბიბინებდა კოინდარი და ღობეს ჩაყოლებულ ბროწეულების ყვავილების სინათლეს ისხლეტდა, წამსვლელიც იცოდა და მომსვლელიც, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ უკანაკარამდე. იქით აკრძალული სამყარო იწყებოდა ყველასთვის!

ერთხელაც, მარიობისთვეში, როგორც იმერეთში იტყვიან, ძლიერი ჭექა-ქუხილის დროს, ყურთასმენა რომ არ იყო გრგვინვისა და წვიმის ნათქეშისაგან, ისეთმა მძლავრმა ხმამ დასცა სოფელი, უეჭველი იყო, რაღაც თუ ვიღაც დამეხა ცეცხლოვანმა შოლტმა, ცას რომ გასაჭენებლად ურტყამდა უჩინარი მერისხვის ხელი. ისე დაზანზარდა ყველაფერი, გეგონებოდათ, მიწა ჩატყდა და ჩაიტანა ხმელიო. დამეხა და, კიდეც მიწყნარდა ნელნელა უჩინარის რისხვა... წვიმამაც მალევე გადაიღო, ჭექა-ქუხილმაც. თანდათან სოფლელებიც გამოეფინენ და ყველა გადარჩენით გახარებული გარშემო იყურებოდა, ვის ან რას შეიძლებოდა მეხის მსხვერპლად გადაჰყროდნენ, თუმცა არც კივილი, არც ხანძრის კვამლი არსაიდან, არც მათი ჩახანძრული და ჩანთქმული ეზო და ყანები, ყველაფერი ადგილზევე დახვდათ, გალუმპული და აცახცახებული, გაწვრილებული და შეშინებული... ყველამ თანდათან ამოისუნთქა, და მალევე მოედო სოფელს ხმა, რომ მეხს სწორედ ის ავი ძაღლი მოუკლავს, დათიკოს ბროლია! ჭის გვიმთან ეგდო საბრალო, დამწვარ-დანახშირებული, ვინ იცის თავისი სველი გრძელი ბეწვით და ძაღლური შეუმცდარი გუმანით იგრძნო აღსასრული და სახლს ახლოს არ გაეკარა იმ თავსხმაში, რომ ცეცხლი სახლსაც არ წასდებოდა... მერეღა მიხვდა პატრონი, რატომ არ შეეფარა ძაღლი „ქუხნის“ უკანა სოხანეს, თუმცა მის ერთგულებაში არც არა დროს შეპარვია ეჭვი.

ის დღე იყო და ის დღე, ეს წინა და უკანა ეზოები, ერთმანეთისაგან ისე რომ განსხვავდებოდნენ, როგორც სოფლელები და ამ ეზოს დიასახლისი, მუდამ თეთრად დაწინწკლული შავი კაბა რომ ეცვა, ყელთან თეთრი, გახამებული საყელოთი, ხმას რომ არასდროს აუწევდა, მისი ნაუბრის გასაგებად, სმენა რომ უნდა დაგეძაბა, ბოლოსდაბოლოს, თითქოს შეერთდნენო ამ ცეცხლოვანი გვირისტით, ერთმანეთს ხელი გაუწოდეს, ერთნაირად დამშვიდდნენ, ჩადუმდნენ, ჩაადნენ ხელებში იმერულ ხვატსა და რბილ ზამთრის სითეთრეს, თოვლითა და ნაადრევი ტყემლის ყვავილებით ერთდროულად და ერთნაირად მოგაზაფხულეს.

ყველა ციხე ტყდება, ყველა მრისხანება ქრება, ყველა სიავე განიმქვრევა...

და დროც ასე კლავდიასავით უხმოდ და წყნარად გადადიოდა ამ ეზოზე. ჯერ დათიკო წავიდა, მერე კლავდიამ დატოვა სკოლა, თავისით, უგანგაშოდ, უხვეწნელად, მერე მათმა გაზრდილმა მიაშურა შორეული ქალაქის გზას.

მაგრამ მე ახლა არც კოინდრიანი ეზოს გამო და არც ძაღლური ერთგულების შესახებ ვყვები ამ ამბავს.

მე ახლა მასწავლებელზე მინდოდა მეთქვა, როგორც სრულიად გამორჩეულ ადამიანზე ადამიანთა შორის, დაბადებით მასწავლებელზე, კლავდიაზე...

ეგ იყო, კიდევ კარგა ხანს, ყოველ შაბათს თეთრ გახამებული საყელოს გამოკიდებდა ხოლმე აივანზე, მავთულის გაჭიმულ თოკზე. ჯერ თეთრი მიტკლის პატარა ქათქათა ნაჭერს გაფენდა, მერე ამ მიტკალზე – საყელოს, მერე ისევ მიტკლის მეორე ნაჭერს გადააფენდა ზევიდან და ფრთხილად ხის სარჭით დაამაგრებდა, უნებურად თოკს ან სარჭს რომ არ დაელაქავებინა საყელო... ყოველ შაბათს ასე.

თითქოს დავალებისთვის ბეჯითი და ერთგული მოსწავლის მიერ გადაშლილი ფურცელი, ქათქათა, სუფთა.. ორშაბათისთვის ახამებდა... თუმცა კლავდიას წინწკლებიანი კაბა უკვე წლები იყო ჩამოუხსნელად ეკიდა „„შიფანერკაში“, მხოლოდ გამზეურებისას აფრიალებდა ამ კაბის კალთებს ცხელი ქარი, ხან გაზაფხულის და ხან შემოდგომური მზისსურნელი რომ ჰქონდა გარეული ისევე შეუმჩნევლად, როგორც კლავდიას ბოლო მოსწავლეებს – ჭაღარა თმაში...

მერე ესეც დამთავრდა.

ბოლო დავალებებით შეივსო სითეთრე...

ფურცელიც დასცვივდა დროს, აღარც ზავის ალამი სჭირდებოდა ვინმეს. ადამიანები დიდი ხნის წინ დამარცხებულიყვნენ ამ ცხოვრებასთან ბრძოლაში, აღარც დავალება იყო დასაწერი, რადგან ბოლო გაკვეთილიც დიდი ხნის წინ დაიწერა თემაზე „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო“, წინა და უკანა ეზოებშიც კარგა ხანია, ერთნაირი მყუდროება დაჰფენოდა და სამანებსაც მოჰბეზრებოდათ თავიანთი სასამანოთა შეუვალობა...

მხოლოდ თეთრი საყელო ფრიალებდა და ფრიალებდა ბოლო გაკვეთილისთვის, რომელზეც კლავდია იმ ნამზეური წინწკლებიანი კაბით და იმ გახამებული საყელოთი უჩუმრად, უხმოდ წავიდა კოინდრიანი ეზოდან...

ისევ კოინდრიანში, უთუოდ...

# ლიტერატურული გვერდი



## მეგი მოლოდინი

### მიძინებული საქართველო

გძინავს, საქართველოვ, მზეს,
მაგრამ მთვარიანს,
რარიგ მენატრები, მღიმარი, თვალღია...
ღვთისფრად გარინდულა წარმტაცი
სხეული,
დარი რომ გშვენოდა,
ღვთისმშობლისკაბიანს...
გძინავს საქართველოვ, ვით ფშავის
მინდიას,
გძინავს, ვით სისხლშემხმარ
შუბლნათელ ილიას,
სუდარა გითბია ქეთევან დედოფლის,
თამარის ვარსკვლავი ტკბილ ღაწვზე
გინთია...
გძინავს შვლის ნუკრივით ბალახზე,
ვაჟას ცრემლს,
ვით კაბადოკიელს, ვაზის ჯვრად
გადამწნელს,
აკაკის ,,გამზრდელს" და მოკვეთილ
ალუდას,
მაია წყნეთელს და დაცემულ მარაბდელს;
გძინავს გულსაკლავად, მწყაზარსახიანო,
მყინვარწვერს დარდი ტეხს,
უშბაც ნაღვლიანობს,
გთხოვ, მიწა იგრძენი და ზეცას ახედე,
მოწყენილ ზღვის ტალღებს უხმე,
მადლიანო...

გძინავს, საქართველოვ, მზის ტანი
დაგლლია,
რარიგ მენატრები, მღიმარი... თვალღია...

### ძმების ოსანა

ერთფიქრიანი მზერა...
ერთსულ და ერთხორც ენთოთ,
ყრმობა სიმართლის ღმერთთან -
მტერს ნურასოდეს ვეყმოთ!
ერთი აზრი და გულთქმა,
ფიცი მაცხოვრის ხატთან,
საკრალი რწმენით სუნთქვა,
ხლება აღთქმულის კართან.
ქრისტესმიერთა გზნებით
ჩამორისხება ზართა,
წინ გასავლელი გზების
ბედისწერისგან ათვლა...
ბრძოლის ყიჟინა რაშებს,
ვინ თქვა რული და სევდა,
თავისუფლების მაყრებს
ჰანგი შავლეგოს სდევდათ...
ცით ჩამოჰყავდათ ქაშვეთს
ჯარი დროშების, ქართთა,
ცრიდა საწუთრო სანთლებს,
მსახვრალ სისხლისფერ ჟამთა
და გარდაიხსნა ზეცა
ზე მოკაშკაშე ფერთა...
ისმის ოსანა ძმების -
ლოცვა დამაშვრალ ძეთა!..
ერთფიქრიანი მზერა...
ერთსულ და ერთხორც ენთოთ,
ყრმობა სიმართლის ღმერთთან -
მტერს ნურასოდეს ვეყმოთ!

### დიოსკურიას

გადავურბენდი ფეხშიშველი, შენს
სველ ნამსხვრევებს
და წყლულ-იარებს მოგირჩენდი
ასულხმობილი,
ქვის სარეცელზე დავიგებდი მთვარეს,
გამოხსნილს,
მერე კი მზის ძეც მომაგნებდა,
ქარვით შობილი...
მედეას ჩრდილის ცრემლი გალტობს
ღაწვთ ფიქალოზე
და ჯვარცმულ ნაპირს გაკრული ხარ,
ვით ანდრომედა,
მოგიცურებდი ვით იალქანთ,
დილის ტაროსებს,
პოსეიდონის დაკარგული ზღვის
სამოთხედან...
საუკუნეებს გამოუსხლტი ციხის ცისკარო,
ძუძუმტეობდი, ყვაოილობდი
მოძმის სამკერდედ,
ვინ აგიხვია დღეს თვალები,
ტკბილად მსხივარო,
შენი უბიდან მარგალიტებს
ქორნი აბნევენ...
სვავნი კორტნიან დაისრული
ყელის წარწერებს,
,,სებასტოპოლისს" რომ
განგრევდა არაბ-ოსმალო,
რომაულ შუბებს ეფშვნებოდი
ბერძენთ ნაგები,
დღეს კი შენს სევდას ჩრდილოელი
ფლიდი ,,ქომაგობს" ...
მრავლისმომსწრე ხარ, ციხე-მახვშო,
კოლხთა მიწაზე,
ფრთებდალეწილი ფასკუნჯივით
მზერა დაგლია,
თუმც მხცოვან სხეულს ოდენ
იმ დღის ხსოვნა გიწამებს,
დევნილთა გემი ,,რეკვიემით"
ზღვამ რომ არწია...
ტალღის მიქცევას გააყოლე
თვალნი გამზრდელის
და მონატრება ცხუმის შვილთა
კრთება რიჟრაჟზე,
როცა მაისი აღარ გვაწვიმს ოლეანდრების
და თეთრი კვალიც იკარგება
წაშლილ ქვიშაზე...
გადავურბენდი ფეხშიშველი,
შენს სველ ნამსხვრევებს
და წყლულ-იარებს მოგირჩენდი
ასულხმობილი,
ქვის სარეცელზე დავიგებდი მთვარეს,
გამოხსნილს,
მერე კი მზის ძეც მომაგნებდა,
ქარვით შობილი...

### ჰიმნი ქართულ ანბანს

*,,..შენ სიძველის გმოსავს ნელი ხავსი,*
*ქვაზე ჭრილი ხარ ჩუქურთმის მსგავსი "*
***გალაკტიონი***

ა - რაკო, სულხანის... საბასი,
ბ - ალადავ ხევსური მთქმელისა,
გ - ადარე ტანძიელს, გადაღლილს,
დ - არდსა და საფიქრალს ერისას...
ე - სტუმრე ლაზარეს პირითა
ვ - აჟას, მზეს რომ სწვდა კალმითა,
ზ - ეგარდმო შენითა რუსთველმა
თ - ავთავი შეგვიკრა ქარვითა...
ი - ჩქეფე მარგალიტთ ჩანჩქერად,
კ - ანდლებად აენთე მნათობებს,
ლ - ალის და ზურმუხტის ქნარებად
მ - ადლი და ხარება გვათოვე...
ნ - ინოს და ანდრიას ლოცვების
ო - სანა აჟღერე ტაძართა ...
პ - აპათა მირონად მოცვარდი
ჟ - ამთა და ქარტეხილთ ნაბზართა...
რ - ვალის მზით გვიხატე კედლები
ს - „უროთი“, „ვაზით" და ,,დოქებით“,
ტ - აოს და ბეთლემსაც ვედრებით
უ - ტკბესი ანბანით ვპოვებდით...
ფ - იქალოვ, შუბლისა ხელმწიფის,
ქ - ართული აზრის და ხელისა,
ღ - ულუნო აკვნებთან დედების,
ყ - ალამო ოპიზართ ძმებისა...
შ - ორეულ დანამულ ეტრატთა
ჩ - ანგო, მამკობელო უფლისა,
ც - ინცხალო ქართულად ნათქვამო,
ძ - იძავ, ძედ მოსული სტუმრისა...
წ - ერილო, მიჯნურთან, ნესტანის,
ჭ - ირთა გადამტანო, ნაწვიმთა,
ხ - ახულის ხატებზე ჩვენი მწე
ჯ - ვარცმულს, ვით ცრემლები, დასცვივდა...
ჰ - ადიშის ოთხთავმა დაგიცვას !!!..

*14. 04. 2016*



## ნინო გაბუნია

### ქვიშის სიტყვები

ის ჩუმად იჯდა
და ქვიშაზე რაღაცას წერდა,
უცხო სიტყვები შემოხაზა
მიწაზე თითით,
ის ჩუმად იჯდა
და ქვიშაზე რაღაცას წერდა,
ზეთისხილის მთის ტალანებზე
ჩამოწვა ბინდი.
მოვყავდი მსაჯულთ.
- ცოდვილია! ცოდვილს სიკვდილი!
ცა შეტორტმანდა
ალესილი განაჩენივით.
და სიყვარულის დავუპურე
ვისაც შიმშილი,
ცივი ქვით ხელში მოდიოდა
დანარჩენივით.

*

-მკვდრებმა დამარხეთ თქვენივ
თავი,
თავად დამარხეთ!
ამომეზარდნენ ლავიწებზე
ზეთისხილები.
-მკვდრებმა დამარხეთ თქვენივ
ცხადი,
მკვდრებმა დამარხეთ!
ამომეხატნენ შავ თვალებზე
ზეცის ხალები.

*

შენ, სურვილივით სანატრელო,
სიცოცხლევ ჩემო,
შენ სიკვდილივით გარდუვალო
ჩემო სასჯელო,
შენ, ვინც ვერასდროს ვერ გაიგე
სამოთხის გემო,
შენ, ჩემი ბნელი ჯოჯოხეთის
ალის ამთებო.
შენ, სატრფოვ ჩემო,
ნუთუ შენც ხარ? შენც ამ
ჯალათებს
ლოდად ქცეული ნუთუ მოსდევ,
შენც მასამართლებ?
შენც ქვისფრად მიმზერ
და არ მჯერა, რადგან
მაჯებზე
ჯერაც მატყვია შენი სუნთქვის
მცხუნვარე კვალი,
ჯერაც მარტყია წელზე შენი
სურვილის რკალი.
(ხილვათ ბორგვაში ათიათას
ჩემსავით ქალის
ჩამესმის მოთქმა
- წყევლად მექეც,
გიხილე როცა...)

*

მკვდარი დამმარხე,
შენი მკვდარი, შენვე დამმარხე!
ეს სიყვარული მომახვიე ცეცხლის
სუდარად.
მკვდარი დამმარხე,
შენით მკვდარი, ცოცხლად დამმარხე
ან ამ განაჩენს აღსრულება მეტად
უნდა რად?

*

ის კი, ის უცხო,
ის მდუმარე წერდა რაღაცას,
და ირხეოდა მის გარშემო
ფრთათა ზეფირი.
და ასე უცხოდ ახლობელმა,
ასე სხვაგვარმა,
წამით შემხედა, მომანათა
ზეცის ელფერი.
-მოგვყავს ცოდვილი!
ცოდვილია ეს ქალი რაკი
წმინდა კანონით დაისაჯოს
სიკვდილით!
-რაბი!
და ის, ქვიშაზე უცხო სიტყვებს
ჩუმად რომ წერდა,
თითქოს უეცრად, ჩაფიქრდა და
გაფითრდა, შეკრთა,
სხეულში ცრემლის სამსჭვალივით
მომესმა -,,რახილ!“
და მე ვერ მივხდი, როგორ
ვგრძნობდი
ამ უხმო ძახილს.

*

-მკვდრებმა დამმარხეთ თქვენგან
მკვდარი,
მან კი მისმინოს!
მკვდრებმა დამმარხეთ თქვენგან
მკვდარი,
მან მომირჩინოს
ეს მკვდრად შობილი სიყვარული,
მან მომიჩრდილოს
ამ ნაგვალევი სულის სახლი
გადამირჩინოს!

*

და გაიელვა - „უცოდველმა ესროლოს
პირველ!“
შეახმათ სიტყვა, შეაქვავდათ მრისხანე
პირებს.
ცამ გაიმღერა - „უცოდველმა
ესროლოს პირველ!“
ქვების სიმძიმით მოიზნიქა ცისფერი
სივრცე.

*

-მკვდრებმა დამმარხეს მათგან მკვდარი,
ცოცხლად რომ მნახეს,
და ამეშალნნენ ულურჯესი სიზმრის
ტალღები,
-მკვდრებმა დამმარხეს მათგან
მკვდარი, ცივად შემახეს
ერთდროს ვნებებით მორკალული
ცხელი მკლავები.

*

და როცა მზიდან ამოფრენილ წითელ
მერცხლებად
მოედნენ ბაღებს ზეთისხილის
მწუხრის ტიხრები,
მოვიდა ბავშვი, წაიკითხა ის რაც ეწერა,
მოვიდა ბავშვი და დამარცვლა ქვიშის
სიტყვები.

ლიტერატურული კვლევანი

# „ვეფხისტყაოსნის“ რიცხვითი მეტყველება



## ნინო ტარყაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირის, ტარიელის სახელი, როგორც ბატონი ზვიად გამსახურდია ყოფს, ფაქტობრივად, წარმოადგენს კომპოზიტს და იშიფრება შემდეგნაირად: ტარ – მხსნელი და ელი – უფალი. ამ სიტყვას სხვა მრავალგვარი განმარტებაც აქვს: „სპარსულში ტარ ფუძე ღვთაებრივის და ხშირად ქრისტიანულის აღმნიშვნელია. Tarixu-gum საღვთო წიგნის სახელწოდებაა, Tar-isa, Tarsa სპარსულ ქრისტიანულ ეკლესიას ეწოდება, Tarsa – ქრისტიანს. ტარ ფუძიანი სახელები გვხვდება ბუდიზმშიც. ტარა ბუდიზმში მხსნელი არსებაა, ზეციური, შვიდთვალა. ტარა-ბაი ინდურ მითოლოგიაში ვარსკვლავეთის ქალწულია, რომელიც არასოდეს ბერდება, ჯადოსნურად მღერის. ტარა-ნი ჰინდის ენაზე ტიტულია მაცხოვრისა, მზისა. ძველეგვიპტური Tarot ნიშნავს ოკულტური სიბრძნის არკანთა კრებულს, ტოტის საღვთო წიგნს.“ და სხვა. იგივე ტარ-ისა და ელ-ის კომბინაცია გვაძლევს ტარიელს, საღვთო გზას, ზეციურ საწყისს, ვარსკვლავეთის ღმერთს, პანტოკრატორს, ლოგოს, ღმერთ მამაკაცს.“(იხ. ზ. გამსახურდია. „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“). საინტერესოა, ამ სიტყვას აქვს თუ არა რაიმე რიცხობრივი დატვირთვა და რამდენად კავშირშია ის მის შინაარსობლივ გამოხატულებასთან? აღსანიშნავია, რომ „ტარ“ ქართულში წარმოადგენს ასო-ბგერა „ტ“-ს სახელს და მისი რიცხვითი მნიშვნელობაა 300. 300 მცირე ჰემატრიით არის იგივე სამი და სამასიცა და სამიც საკრალური რიცხვებია. Uუფალი არის სამება ერთარსი და განუყოფელი. ტარ საღვთო გზაა და ამიტომაცაა მისი რიცხვითი მნიშვნელობა შესაბამისად დიდი სამიანი, ანუ სამასი. ტარიელის სახელი ამ რიცხვით რომ შემთხვევით არ არის განსაზღვრული, ამის დასტურს იძლევა ის ფაქტი, რომ ტარიელი გადაწყვეტს სამას კაციანი მებრძოლთა რაზმით აიღოს ქაჯეთის ციხე. მსოფლიო ისტორიაში, რიცხვი 300 თავისი საკრალური მნიშვნელობით არაერთხელ გათამაშდა(სამასი ბიბლიური გმირი, სამასი სპარტანელი მებრძოლი) მათ შორის ქართულ ისტორიულ სინამდვილეშიც: 300 არაგველი, 300 ლაზი წმინდანი და სამწუხაროდ, ნაკლებ ცნობილი 300 დუშელი გლეხი, რომელთაც თავი გაწირეს მარაბდის ბრძოლაში.

საინტერესოა, განვსაზღვროთ, რამდენია თინათინის, ავთანდილისა და ნესტანის რიცხვითი მნიშვნელობები? ვფიქრობ, ამის განსაზღვრაში დაგვეხმარება ავთანდილისა და როსტევანის ცნობილი ნადირობის სცენა. მეფე როსტევანისა და ავთანდილის ნადირობის შემდეგ პოემის ავტორი გვამცნობს: „ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ათჯერ ოცია, / მაგრამ ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია.“ ამ სტროფიდან ვიგებთ, რომ როსტევანს, დაუხოცავს 100 ნადირი, ხოლო ავთანდილს – 120. შესაბამისად, როსტევანის რიცხვი 100 –ია. ავთანდილის – 120. 100 მცირე ჰემატრიით არის იგივე ერთი 1+0+0=1.

ძველი აღთქმის ხალხებმა იცოდნენ, რომ ღმერთი იყო ერთი. ამის შესატყვისია ქართული სახელწოდება ღმერთისა – ღმ **ერთი**. ღმერთი შეიცავს რიცხვით სახელს, ერთს.

ახალ აღთქმაში კი ჩვენ ვიგებთ, რომ ღმერთი ყოფილა სამება ერთარსი და განუყოფელი. ახალ აღთქმაში ღმერთი სამობითაა და ტარიელიც, მცირე ჰემატრიით სამია. ავთანდილის რიცხვია 120. მცირე ჰემატრიით 1+2+0=3. ავთანდილის რიცხვიც სამია. როგორც დავინახეთ, 120 და 300 იდენტური რიცხვებია, რადგან ორთავეს მცირე ჰემატრია სამია და ამიტომ, ავთანდილი და ტარიელიც იდენტური გმირები არიან. თუმცა, ტარიელი მაინც მეტია ავთანდილზე, ისევე როგორც 300 მეტია 120-ზე და ამიტომ ტარიელისკენ რუსთაველის უფრო მეტი სითბო და სიყვარული მიემართება. ავთანდილი და ტარიელი ახალი დროს, შეიძლება ითქვას, ახალი აღთქმის გმირები არიან. როსტევანი ძველი აღთქმის გმირია. ძველი აღთქმის აზროვნება უნდა შეიცვალოს ახალი აღთქმის აზროვნებით. ამიტომაც წერს ავთანდილი როსტევანს(იხ. „ანდერძი ავთანდილისა როსტევანის მეფის წინაშე, ოდეს გაიპარა“): „რაზომცა სწყრები, შემინდევ შეცვლა თქვენისა მცნებისა,/ ძალი არ მქონდა ტყვედ ქმნილსა მე მაგისისა თნებისა.“ რამდენია თინათინის რიცხვითი მნიშვნელობა? თინათინი არის იგივე ათინათი. მის შესახებ ბატონი ზვიად გამსახურდიაც წერს. დავუკვირდეთ სახელს ათი ნ ათი. გვაქვს ორი ათიანი. ათისა და ათის ნამრავლი გვაძლევს ასს. 10X10=100. ათისა და ათის ჯამი გვაძლევს 20-ს. 10+10=20. თუ ამ მნიშვნელობებს შევკრებთ მივიღებთ 120-ს 100 + 20 =120. ეს თინათინის რიცხვითი მნიშვნელობაა და ის იდენტურია ავთანდილის რიცხვითი მნიშვნელობისა. 120=120. ამიტომაც თინათინი ერგება ავთანდილს. მათი რიცხვითი მნიშვნელობები ერთია. შესაბამისად მათი მნიშვნელობა ერთია და ისინი ეკუთვნიან ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ თინათინის მნიშვნელობა მივიღეთ როსტევანის რიცხვითი მნიშვნელობის და 20-ის შეკრებით. ესეც სიმბოლურია. თინათინი როსტევანის ასულია და ავთანდილი როსტევანზე ოცით მეტია. ამიტომ თინათინი ავთანდილის სატრფოა. მივყვეთ ლოგიკას. თუ თინათინის და ავთანდილის რიცხვითი მნიშვნელობები ტოლია, შესაბამისად ტოლი უნდა იყოს ნესტანისა და ტარიელის რიცხვითი მნიშვნელობები. ტარიელის რიცხვითი მნიშვნელობა ვიცით, ის არის 300. შესაბამისად, ნესტანის რიცხვითი მნიშვნელობაც უნდა იყოს 300. 300+300=600. ნესტანისა და ტარიელის მნიშვნელობათა შეკრებით მივიღეთ არასაკრალური რიცხვი 600. ამ რიცხვის შესატყვისი სიტყვები ქართულში გვაქვს ტარტაროზი. ტარ(300)+ ტარ(300)=600. ტარტაროზი ეშმაკს ჰქვია. ანალოგიურად უარყოფით დატვირთვას ატარებს სიტყვა ტარტარი. იგი ენის ავად ტარებას ნიშნავს. ამიტომაც რთული შეყვარებულობის პერიოდი ჰქონდათ ჩვენს ნესტანს და ტარიელს. თუმცა მათი ცოლქმრობა უკვე ტკბილი და სალხინო იყო და ბუნებრივია ამასაც აქვს თავისი ახსნა. როდესაც ტარიელი და ნესტანი შეყვარებულები იყვნენ, მათი მნიშვნელობები უნდა შეკრებილიყო და ჯამში ვიღებდით არასაკრალურ რიცხვს, 600-ს. ხოლო როცა ისინი შეუღლდნენ, ისინი იქცნენ ერთ სულ და ერთ ხორც. წარმოადგენდნენ ერთმანეთის ნახევრებს და ამიტომ ცოლ-ქმარის რიცხვითი მნიშვნელობა ცალკ-ცალკე და ერთადაც არის 300.

როგორია ფარსადანის და სარიდანის რიცხვითი მნიშვნელობები? სარიდანი ინდოეთის ერთი მეშვიდედის მფლობელია. იგი იგივე გვარის მატარებელია, რა გვარისაცაა ფარსადანი. სამწუხაროდ, იგივე გვარის მატარებლობლობა, ვფიქრობ, არასწორად გაიგო პავლე ინგოროყვამ. მან იფიქრა, რომ რადგან მეთორმეტე საუკუნისათვის საქართველოს მეფეთა გვარი იყო ბაგრატიონი, ფარსადანის მხატვრული სახის ქვეშ ბაგრატოვანი მეფე იგულისხმებოდა. სარიდანიც და ტარიელიც, რადგან იგივე გვარისანი იყვნენ, შესაბამისად, ისინიც ბაგრატიონები უნდა ყოფილიყვნენ. ტარიელის საფარველქვეშ კი, მისი აზრით, ავტორი საკუთარ ისტორიას აქსოვდა და აქედან წარმოსდგა პავლე ინგოროყვას ჰიპოთეზა შოთა რუსთაველის ბაგრატიონობის თაობაზე. მე ვფიქრობ, რომ იგივე გვარი სულაც არ არის აუცილებელი ნიშნავდეს ერთი და იგივე სამეფო გვარის მფლობელობას. იგივე გვარი შესაძლოა ნიშნავდეს, იგივე სამეფო მადლის მატარებლობას და რადგან ფარსადანს ჰყავდა ქალი, რომელზეც ლეგიტიმაცია ვერ გავრცელდებოდა, იგივე სამეფო მადლის მატარებელი შეიძლებოდა გამხდარიყო მხოლოდ ტარიელი, როგორც მეფის ერთადერთი ვაჟიშვილი და მეფე ფარსადანის აღზრდილი, რომლის მამაც ინდოეთის ერთი მეშვიდედის მფლობელი იყო. ანუ, ტარიელი, თავისი რანგით იყო უკვე იმნაირივე, იმ-**გვარი**-ვე, იმავე სამეფო მადლის მატარებელი, როგორიც იყო ფარსადანი. აი, ამას ნიშნავს პოემაში: „თვით იგივე გვარი არსა.“ საინტერესოა, რომ თვითონ გვარი, ბაგრატიონი, თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, მოდის სიტყვა პანტოკრატორიდან. პანტოკრატორი – პანკრატიონი – ქართული ჟღერადობით ბაგრატიონი და ფაქტობრივად ეს გვარი არის თანამდებობის აღმნიშვნელი და ნიშნავს მეფეს. რადგან პანტოკრატორი, უფალია, მეფეა და მღვდელმთავარი, დიდი მეუფე. მეფე, მეუფეს შეკვეცილი ფორმაა. ასე თვლის დიდი ივანე ჯავახიშვილი. ანუ, ფართო გაგებით, ყველა სამეფო მადლის მატარებელი ადამიანი, ერთი და იგივე გვარისაა და პანკრატიონ-ბაგრატიონია. ამიტომაცაა, რომ თავისი კანონიერი სამეფო უფლების აღიარებისათვის ტარიელისათვის მაინცადამაინც საჭირო და აუცილებელი არაა ნესტანის ცოლად შერთვა. ეს მხოლოდ სასურველია და არა აუცილებელი. ამიტომ ეუბნება მოთმინების ფიალა-ავსებული ტარიელი ფარსადანს: „შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე,/ ინდოეთი ჩემი არის“-ო. ფარსადანს აქ შეესაბამება რიცხვი ერთი, ისევე როგორც როსტევანს. სარიდანს კი რიცხვი შვიდი. სარიდანს ვაჟიშვილი ჰყავს. Fფარსადანს – ქალიშვილი. ინდოეთის სამეფო სამართლის წესით, ჩანს, ქალის გამეფება არ შეიძლება. ამ წესს, ფარსადანიც იცავს. ჯერ ტარიელს ზრდის სამეფოდ და შემდეგ ხვარაზმშას ძეს იწვევს მეფედ. რადგან სარიდანს ვაჟიშვილი ჰყავს, მისი ერთი მეშვიდედი ამოტრიალდება და ხდება შვიდი. ფარსადანის მნიშვნელობა რომ ნაკლები უნდა იყოს სარიდანისაზე, ამას სახელთა მნიშვნელობაზე დაკვირვებაც გვამცნობს: ფარსადანი – ფარსი – სიყალბე. სარიდანი – სარო, იგივე ალვა, სამოთხის ხე. ავთანდილი, რუსთაველი გვამცნობს, რომ „საროსა მჯობი ნაზარდია.“ უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგივეა ტარიელი, ისინი ხომ იდენტური გმირები არიან.

საინტერესოა, რომ ერთმა მკვლევარმა ავთანდილი გაშიფრა როგორც ავთან ზრდილი. ანუ, ავი როსტევანია. ისევე როგორც ფარსია ფარსადანი.

საინტერესოა ასმათის რიცხვითი მნიშვნელობაც: **ას მ ათი.** დაშიფრვის მეთოდით თუ ამოვაგდებთ სიტყვიდან „მ“-ს, ვიღებთ ასათს. ასათი ძველ სამყაროში ბედნიერების მომტან რიცხვად იყო მიჩნეული. მართლაც პოემაში, ვხედავთ, რომ ასმათი დაა, სამი გმირის მაკავშირებელია. პოემის გმირები მის გარშემო ტრიალებენ და რომ არა ის, პოემის სიუჟეტი მოირღვევა. აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაში „და“ არსებითი სახელიცაა და კავშირიც. ასმათის ფუნქციური მნიშვნელობა პოემაში იგივეა.

ბოლოს გვინდა შევეხოთ მესამე გმირს – ფრიდონს. მისი სახელი ორი ნაწილისაგან შედგება: ფრი-ფრენა და დონი. „დონ“ ასო-ბგერა „დ“-ს სახელია და ნიშნავს ოთხს. მეოთხეებს ძველ საღვთო ლიტერატურაში უწოდებდნენ სამოთხისათვის განკუთვნილებს, ანგელოზებრივი ცხოვრებით მაცხოვრებლებს. პოემაში სამ გმირთაგან მართლაც მხოლოდ ფრიდონს არ ჰყავს მეორე ნახევარი, რადგან ის მეოთხეა. ვფიქრობ, ამაზე მიგვითითებს მარცვალი „ფრი“. იგი ხომ ანგელოზს მიმსგავსებულია. ანგელოზები კი დაფრინავენ და ფრთები აქვთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თითოეული სტროფის ფორმა „სამოთხის“(სამი ოთხთან. იხ. წერილი ამავე ნომერში) პრინციპს იმეორებს. სტროფში ოთხი სტრიქონია, მესამე და მეოთხე სტრიქონები „და“ კავშირითაა გადაბმული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ესაა შეფარდება სამი მთელისა ოთხ მთელთან.

დასასრულ, მოკლედ შევაჯამებ ჩემს სათქმელს: „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს თავისი მკვეთრად განსაზღვრული რიცხვითი მნიშვნელობები გააჩნიათ, რაც შესატყვისობაშია მათ ფუნქციურობა-მნიშვნელოვნებასთან. შოთა რუსთაველმა მათი რიცხვითი მნიშვნელოვნების აღმოჩენა ჩვენ, მკითხველს მოგვანდო. მან ხომ ეს დიადი პოემა ყველაფერთან ერთად, ჩვენი გონების სავარჯიშოდ, ანუ საჭოჭმანებლადაც შექმნა. დიახ, მკვლევარი მოსე ჯანაშვილი, გვაწვდის სიტყვა „საჭოჭმანებლის“ ინგილოურ მნიშვნელობას და თვლის, რომ (1923 წლის გაზეთი „ტრიბუნა“) ის საყაყანოს, (ანუ სამსჯელოს – ნ. ტ.) ნიშნავს.

# შოთა თორელი — ავტორი „ვეფხისტყაოსნისა“

**ჩვენი** უკვდავი პოემის, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორობის საკითხი, ქართველებს, საუკუნეებია, გვაღელვებს. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში რუსთველოლოგთა ერთმა ჯგუფმა (იხ. ნ. ნათაძე. ს. ცაიშვილი. „შ. რუსთაველი და მისი პოემა“. 1966წ. ) წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ შოთა რუსთაველი უნდა ყოფილიყო შოთა თორელი, გიორგი მესამეს თანამებრძოლისა და თამარ მეფის დროინდელი მანდატურთუხუცესის, ჭიაბერის უფროსი ძე. ჩემი მიზანია უკვე არსებული ვარაუდის გამყარება-დამტკიცება იმ ახალი წყარო-დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე, რომელთა არსებობა აღნიშნული მკვლევარების ნაშრომებში წარმოდგენილი არ არის და სადაც პირდაპირ არის გაცხადებული, თუ ვინ იყო შოთა რუსთაველი. წერილში, აგრეთვე დამატებით წარმოვადგენ სხვა დოკუმენტებსაც, რომელიც კიდევ უფრო გაამყარებს ჩვენს მტკიცებულებას.

ვიდრე წერილის დასკვნით ნაწილთან მიახლოებისას ამ მთავარ წყარო-დოკუმენტს წარმოვადგენდე, მანამდე, მოკლედ მიმოვიხილოთ ის ფაქტები, რომლებმაც ზემოაღნიშნულ მეცნიერთა ჯგუფი, სწორ ვერსია-ჰიპოთეზამდე მიიყვანა.

შოთა რუსთაველი პოემის პროლოგში თავადვე გვამცნობს საკუთარ ზედწოდებას:

„მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი,

ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი.“

ვეფხისტყაოსნის ავტორის ზედწოდებისა და სახელის ხსენებას (რუსთაველი შოთა) ჩვენ ძალზე ხშირად ვხვდებით მომდევნო ხანის ქართულ მწერლობაშიც იხ. XVI–XVII საუკუნეების ქართველი მწერლების სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილის, თეიმურაზ პირველის, იოსებ ზილიხანიანის უცნობი ვერსიის ავტორის, არჩილის ცნობები და ა.შ.

აღიარებული თვალსაზრისით რუსთველი ნიშნავს რომელიღაც ციხის, სამფლობელოს პატრონს. შუა საუკუნეების საქართველოში ასეა ნაწარმოები გვარები: ჯაყელი, თმოგველი, სურამელი, ფანასკერტელი და ა. შ. როგორც ცნობილია, საქართველოში ამ სახელწოდების რამდენიმე პუნქტი არსებობს. რომელთა შორის აღსანიშნავია ძველი ციხე ქალაქი რუსთავი, თბილისის მახლობლად და სამხრეთ საქართველოში, მესხეთში არსებული სოფელი რუსთავი.

ტრადიციული შეხედულებით, შოთა რუსთაველი იყო სამხრეთ საქართველოდან, XII საუკუნისათვის როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე კუთხიდან, მესხეთიდან, კერძოდ, ახალციხე-ასპინძის გზაზე მდებარე რუსთავიდან (ამჟამად გადარჩენილია მხოლოდ ციხის ნანგრევები).

1. ყველა ხალხური გადმოცემა, რომლებიც კი არსებობს დიდი პოეტის ცხოვრებაზე, მიუთითებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მესხეთიდან წარმომავლობას. (იხ. ი. მეგრელიძის გადმოცემები რუსთაველის შესახებ. 1951 წ. ).

2.„ვეფხისტყაოსნის“ პირველ ინტერპოლატორთა და გამგრძელებელთა შორის ჩვენ ვხედავთ სწორედ მესხეთის მკვიდრთ. „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელების პროზაული ვარიანტი მიეწერება თმოგვის ციხის (მესხეთში) პატრონს სარგის თმოგველს.

3.ამ შეხედულებას იმთავითვე მხარს უჭერდნენ ე. წ. აღორძინების ხანის XVII–XVIII ს.ს. მწერლები, კერძოდ მეფე-პოეტი არჩილი რუსთაველს სამხრეთ საქართველოს მკვიდრად თვლიდა.

4. მესხეთში „ვეფხისტყაოსნის“ განსაკუთრებულ გავრცელებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამჟამად უძველესი ნაწყვეტი პოემიდან მონასტრის კედელზე მე-15 საუკუნის ხელით მიწერილი (იხ. ვ. ცისკარიშვილი „ჯავახეთის ეპიგრაფიკა“) აღმოჩნდა მესხეთის ტერიტორიაზე. ე. წ. ვანის ქვაბებში. აქვეა აღმოჩენილი პოემის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ხელნაწერის ფრაგმენტიც.

5. სახელი შოთა გავრცელებული ყოფილა მესხეთის ფეოდალთა წრეებში. მაგალითად ამაზე მეტყველებს აძიკვის წარწერა, სადაც მესხ დიდებულებთან, თორელებთან ერთად მოხსენიებულია ამავე გვარის წარმომადგენელი შოთა.

6. ამავე რიგისაა მესხეთში, ქვაბისხევის მონასტერში ახლახან აღმოჩენილი XII საუკუნის ფრესკა. აქ გამოხატულია ჭაბუკი ფეოდალი, რომლის სახელია შოთა(ნ. ბერძენიშვილი. ტ. I) დასასრულ, ამ საკითხისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მასალებსაც, საიდანაც დოკუმენტურად დასტურდება, რომ შოთა ფლობდა ვეზირის მაღალ თანამდებობას.

ჟამთა სიავეს გადარჩენილ XII – XIII საუკუნეების ქართულ მატიანეებსა და ძველ სიგელ-გუჯრებში თუ ეპიგრაფიკულ ძეგლებში, სწორედ ამ ხანებში, მოხსენიებულია რამდენიმე „შოთა“. ბუნებრივად ისმის კითხვა: ხომ არ არის რომელიმე მათგანი ჩვენი პოეტი შოთა რუსთაველი.

. თეიმურაზ ბაგრატიონს და პავლე ინგოროყვას რუსთაველი მიაჩნდათ თბილისის ახლოს მდებარე ციხე-ქალაქ რუსთავის მკვიდრად. პავლე ინგოროყვას აზრით, ჰერეთის ერისთავი შოთა კუპარი იყო ჩვენი პოეტი შოთა რუსთაველი. როგორც არაერთხელ აღინიშნა, მკვლევარის მიერ წამოყენებული დებულებები არ არის სათანადოდ დასაბუთებული. ჰერეთის ერისთავები არ ფლობდნენ რუსთავს. ჰერეთის ერისთავთაგან არცერთს არ სჭერია მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა. ხოლო შოთა კუპარი თამარის შემდგომდროინდელი მოღვაწე ჩანს.( იხ. დ. მუსხელიშვილისა და ნ. შოშიაშვილის წერილები. – ჟურნალი ცისკარი 1965, N2 და N9).

არსებობს სხვა ჰიპოთეზაც: გამოთქმულია მოსაზრება „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ შოთა ართავაჩოს ძისა და შოთა რუსთაველის იგივეობის შესახებ. თუმცა, ეს შესაძლებლობა მოხსნილია შემდეგი გარემოების გამო; შოთა ართავაჩოს ძეს მონაწილეობა მიუღია თამარის მამის, გიორგი მესამეს წინააღმდეგ შეთქმულებაში და როგორც ჩანს, იგი ამ წელსვე სიკვდილით დაუსჯიათ. ყოველ შემთხვევაში, იგი შემდეგ აღარ ჩანს წყაროებში. ასევე დღეს უარყოფილია ზარზმის მონასტრის წარწერაში მოხსენიებული შოთა ყოფილ ხურსიძის რუსთაველის სახელთან დაკავშირების ცდა.

რუსთველოლოგიაში კარგად ცნობილი **ჭიაბერის სიგელი.** რომელიც ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გამოაქვეყნა თედო ჟორდანიამ (ქრონიკები, ტომი პირველი.), როგორც ცნობილია, დაწერილი თამარის ეპოქას მიეკუთვნება და წარმოადგენს შეწირულობის აქტს. **ციხე-ქალაქ ჟინვანის (მთიულეთში, საარაგვოზე) პატრონი ჭიაბერი შიო-მღვიმის ძველ-ქართულ მონასტერს სწირავს გლეხის ოჯახს (მიხითარაძეებს). ჭიაბრის დაწერილს ხელს ურთავს მეფე თამარი. ქართლის კათოლიკოსი. თვით მანდარტურთუხუცესი ჭიაბერი. წარწერას ამოწმებს ვინმე შოთა, რომელსაც, როგორც ჩანს, ეს საპატრონო მემკ-**

*გაგრძელება გვ. 14*

# „მამას თავის მოსაკლავი არაფერი სჭირდა"

## ამონარიდები დემურ დვალიშვილის უბის წიგნაკიდან:



• 1993 წლის ოქტომბერში, ჩემი წამოსვლის შემდეგ, გაიცა 200-მილიარდი კუპონი ნაღდი ფულის სახით, რამაც გამოიწვია მკვეთრი ინფლაცია და ზრდის ტემპმა დაახლოებით 50-60%-ს მიაღწია...

• საბაზრო ურთიერთობების გადასვლა უნდა მოხდეს ეტაპობრივად, ნაკლებად მტკივნეულად ხალხისათვის, ადამიანის ფაქტორის, ქვეყნისა და მომენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოუმზადებელი მოსახლეობის დიდი ნაწილი აღმოჩნდება საბაზრო სტიქიის მორევში, რასაც რეციდივებიც დღეს უკვე შეინიშნება. ამოქმედდება ჯუნგლის კანონი — ვინც გაუძლებს გადარჩება და იცხოვრებს, სხვებს კი რა მოუვათ, ეს არავის აინტერესებს...

• 1993 წლის სექტემბერში გამოჩნდა იმის ნიშნები, რომ კრედიტებს არაკანონიერად გასცემდა ეროვნული ბანკის ზოგიერთი თანამშრომელი. ჩემი ღრმა რწმენით, ვერავინ გაბედავდა მსგავს ქმედებას, თუ მათ არ ეყოლებოდათ მფარველები. ჩემთვის ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ასეთი მფარველები იყვნენ მინისტრთა კაბინეტში.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დემურ დვალიშვილი 1994 წლის 9 სექტემბერს გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. ოფიციალური ვერსიით, შსს-ში დაკითხვაზე მისულმა დვალიშვილმა ცეცხლსასროლი იარაღით მოიკლა თავი. გარდაცვლილის ოჯახი 20-წლიან დუმილს არღვევს.

ნინო დვალიშვილი, დემურ დვალიშვილის ქალიშვილი: - ამ საკითხზე ლაპარაკი დღესაც მიჭირს, მაგრამ თენგიზ სიგუას და სხვების ცილისმწამებლურმა განცხადებებმა მაიძულა, ხმა ამომეღო. ინფლაცია, რომელიც ეროვნული ბანკიდან მამას წამოსვლის შემდგომ დაიწყო და კატასტროფულ მასშტაბს მიაღწია, თურმე მხოლოდ დვალიშვილის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ბრალი ყოფილა. შემდეგ წამოიწია სხვა ვერსიამ, უნდათ, რომ ეს ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გაუცემელ ანაბრებს დაუკავშირონ. მამა ფიზიკურად ხომ გაანადგურეს, ახლა მისი ოჯახის მორალურად განადგურებას ცდილობენ.

**- თქვენმა დედამ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მოიპოვეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მალალჩინოსნების მიერ გაცემულ კრედიტებზე.**

- ლაპარაკია მინისტრთა კაბინეტის ყოფილი წევრების - თენგიზ სიგუასა და რომან გოცირიძის - რეზოლუციებით გაცემულ სოლიდურ კრედიტებსა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადარიცხულ თანხებზე. ეროვნულ ბანკში არის ყველა ინფორმაცია, რა ოდენობის სესხები გაიცემოდა მათი ნებართვით, ვისზე და რომელ ქვეყნებში. ე.წ. ჟურნალი და „შავი სია", რომელიც თურმე მამას ჰქონდა, სიგუას მოგონილია.

მამას მკვლელობა დიდი ხნით ადრე იყო დაგეგმილი. მას ხშირად უწევდა მივლინებით საზღვარგარეთ გამგზავრება. ერთხელ ჩეხეთში იმყოფებოდა ვიზიტით და როგორც ითქვა, აპირებდნენ, რომ თვითმფრინავი, რომლითაც იგი საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო, აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოეგდოთ. ამის შემდეგ თვითმფრინავი საიდუმლო მარშრუტით დაბრუნდა თბილისში. ხშირად ყოფილა მუქარის ზარები: მაგას შუბლს გავუხვრეტთ, ქუჩაში გავაგორებთო.

ჩემი ვარაუდით, ყოფილი მალალჩინოსნების საქმიანობის შესახებ მამას ჰქონდა ისეთი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნება-გახმაურებაც მათ ხელს არ აძლევდათ.

მამას თავის მოსაკლავი არაფერი სჭირდა, არც იარაღი ჰქონია. რაც შეეხება მის მისვლას შსს-ში, უთხრეს, რომ რაღაც საკითხების გარკვევა აინტერესებდათ. ტელევიზიით იმავე დღეს გავრცელდა ვერსია, თითქოს მამამ იარაღი პიჯაკის ჯიბიდან ამოიღო. არადა, რეანიმაციაში სანიტარი შეესწრო, როგორ ცდილობდნენ მისი პიჯაკის ჯიბეში იარაღის ჩადებას. როგორც ჩანს, არ ჩაეტია და შემდეგ განაცხადეს, დვალიშვილმა იარაღი შარვლის სარტყლიდან ამოიღოო. საქმე ისე დახურეს, იარაღის წარმომავლობა გაურკვეველი დარჩა. მამას იარაღი ერთი წლის ჩაბარებული ჰქონდა, ბანკის სეიფში იდო. გარდა ამისა, შემავალი და გამავალი ჭრილობა ადასტურებდა, რომ ტყვია შორიდან იყო ნასროლი. ეს ინფორმაცია ახლობელმა ექსპერტმა მოგვაწოდა.

***- რა დარღვევები აღმოუჩინა გამოძიებამ მამათქვენს?***

- დარღვევები რომ ჰქონოდა, დააპატიმრებდნენ. მისი მოადგილე ფიჩხაძე, რომელიც უკანონოდ გასცემდა კრედიტებს, მაშინ უკვე დაკავებული იყო. მამას მკვლელობის შემდეგ ეს ადამიანი ისრაელში გამოჩნდა.

ველოდები, როდის შეიტანს საჩივარს ბიზნესმენთა და ფინანსისტთა ასოციაცია. ამის შემდეგ ჩავერთვები პროცესში და მოვითხოვ გამოძიებას, რა ხდებოდა ეროვნულ ბანკში მამას მისვლამდე და მისი წამოსვლის შემდეგ. მკვლელობის საქმის გამოძიების დაწყებაზე კი იურიდიული კონსულტაციების შემდეგ მივიღებ გადაწყვეტილებას.

***- მაინც ვის ადანაშაულებთ მამის მკვლელობაში?***

- ამაზე მაქვს ერთი პასუხი - ჩემთვის თენგიზ სიგუა მამის მკვლელთან ასოცირდება. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ყველაფერი ის, რასაც სიგუა 1993 წლის დასაწყისიდან აკეთებდა...

ლაპარაკობენ 1992-93 წლებში ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე, რაც თითქოს დაკავშირებულია გაუცემელი საბჭოთა ანაბრების თემასთან და რატომღაც არ ითვალისწინებენ იმხანად ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, რა ხდებოდა 1992 წლის იანვრიდან ეროვნულ ბანკსა და საბანკო სისტემაში. ნახონ, რა რაოდენობის კრედიტი გაიცა ნაღდი ფულის სახით 1993 წლის ოქტომბრიდან და ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შესახებ შემდეგ ილაპარაკონ. მამა არასოდეს გაურბოდა პასუხისმგებლობას, ამბობდა - შესაძლოა, მეც შემეშალა, რაღაც ბოლომდე ვერ გავთვალე, არ არის გამორიცხული, ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას მცირე დოზით რაღაც უარყოფითი გავლენა მოეხდინა ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე, მაგრამ გარწმუნებთ, ეს იყო უმნიშვნელო და არა განმსაზღვრელიო.

ნინო დვალიშვილის განცხადებებზე კომენტარი ყოფილ პრემიერ თენგიზ სიგუას ვთხოვეთ:

- აჯობებს, ჟურნალისტებმა ცოტა თავი შეიწუხოთ, წაბრძანდეთ ბიბლიოთეკაში, გაეცნოთ 1993 წლის პრესას, ძირითადად - „საქართველოს რესპუბლიკას", რომელშიც ქვეყნდებოდა ყველა დადგენილება. დაუდეთ დვალიშვილებს ეს მასალა და უთხარით, რომ კრედიტების 90% გაცემულია დემურ დვალიშვილის მიერ.

შევარდნაძე ურეკავდა დვალიშვილს - დეპუტატები რომ მოვლენ, გაეცი კრედიტიო. დეპუტატები კრედიტს თავისთვის კი არ იღებდნენ, სხვადასხვა ფირმას შუამავლობდნენ. მას კი ეს ყველაფერი ჟურნალში ჰქონდა აღრიცხული. ცნობილი იყო, რომელ ფირმების სახელზე იყო გაცემული კრედიტები, მაგრამ არ უნდოდათ გამჟღავნებულიყო ვინ იყო გასვრილი ამ საქმეში და ამიტომაც გადამალეს ჟურნალი.

ჟურნალში რეგისტრირებულია ყველა დეპუტატი, ვინც დვალიშვილთან კრედიტის სათხოვნელად მიდიოდა. ეს ჟურნალი დღემდე გამქრალია. როდესაც საპარლამენტო სპეციალურმა კომისიამ დვალიშვილი პარლამენტში დაიბარა და მოსთხოვა ჟურნალი, პროკურატურამ არ გადასცა. ჟურნალი უნდა მოსთხოვონ იმჟამინდელ პროკურორ ბაბილაშვილს, ვინაიდან პროკურატურამ ის შსს-დან ამოიღო. დვალიშვილი შევარდნაძემ გამოიყენა და შემდეგ მოსაკლავად გაიმეტა, პასუხიც იმას მოსთხოვონ, მე რას მერჩიან!

***წყარო/Source: http://geo.ambebi.ge//samartali/75142-demur-dvalishvilis-ojakhi-20-tslian-dumils-arghvevs-***

# შოთა თორელი — ავტორი „ვეფხისტყაოსნისა“

*დასაწყისი გვ. 12*

**ვიდრეობად მიუღია. „ქ. მე შოთაჲ, ჩემს ჟინოვნის ქონებასაცა შინა ამას ვამტკიცებ, ვითა ამასა შიგან სწერია.“ დაწერილის მეორე მხარეს არის სხვათა ხელისმოწერაც(თედო ჟორდანიას აზრით, ესენი უფრო გვიანდელი მინაწერებია, ხოლო ს. კაკაბაძე მას შოთას ძმებად მიიჩნევს.)**

ვიდრე შევეხებოდეთ აქ მოხსენიებული შოთას ვინაობას, ორიოდე სიტყვით თვით ქიაბერის შესახებ; იგი ქართლის ცხოვრებიდან ძალზე ცნობილი პიროვნებაა და, რაც მთავარია, დაწერილისა და მატიანეთა ცნობები აქ ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს. ქართლის ცხოვრებით ქიაბერი თამარის მამის, გიორგი III-ის გაზრდილი და მისანდო პიროვნებაა. თანამდებობით მეჯინიბეთუხუცესი (გავიხსენოთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სადაც პოემის ავტორის ბიოგრაფიული ელემენტები უდავოდ უნდა იყოს ჩაქსოვილი, ტარიელს მეფე ფარსადანი „ვითა შვილს,“ ისე ზრდის.) იგი ერთ-ერთი იმ ერთგულთაგანი იყო, რომლებიც მხარში ედგნენ თამარის მამას უაღრესად კრიტიკულ მომენტში, როცა 1178 წელს მის წინააღმდეგ გამოვიდა ტახტის მემკვიდრე, მისივე ძმისწული დიმიტრი(დემნა). თამარის დროს ქიაბერს ახალი აღზევება მიუღია. თამარმა მას უბოძა მანდატურთუხუცესის მაღალი თანამდებობა(„ისტორიანი და აზმანი“): „და განაჩინა და უბოძა ქიაბერს მანდატურთუხუცესობა და მისცა არგანი ოქროთა ხელთა მისთა“. — ბასილი ეზოსმოძღვარი — და შემდგომად ამისა, მოიყვანეს ქიაბერი, კაცი მართალი და ერთგული, და მისცეს მანდატურთუხუცესობა“). ამ დროის თითქმის ყველა სახელოვან ბრძოლაში ჩანს ქიაბერი, ხან მეწინავეთა შორის. ხან როგორც მახარობელი, გამარჯვების მაცნე. 1190-იან წლებში მეფის კარზე გამართულ დიდ დარბაზობაზე, მისთვის მიუბოძებიათ ახალი მამულიც. „ქიაბერსა მანდატურთუხუცესსა მიუმატეს და უბოძეს ჟინვანი, ქალაქი და ციხე მრავლითა მთიულეთითა“.

ამავე დაწერილიდან უნდა ვიფიქროთ, რომ ქიაბერის შემდეგ ხელისმომწერი არის შოთა, მისი უფროსი ვაჟი, რომელსაც მემკვიდრეობად მიუღია ჟინვანის სამფლობელო, რასაც ადასტურებს მისსივე სიტყვები: „ჩემს ჟინოვნის ქონებასაც შიგა,“ ე.ი. როცა მე ჟინვანს ვფლობდიო, ამასთან ქართლის ცხოვრებიდან იმასაც ვტყობილობთ, რომ ქიაბერს ჰყავდა ვაჟები, (ქიაბრის ძენი), რომლებიც სხვა ახალგაზრდა დიდებულებთან ერთად დაულოცავთ თამარის კარზე.

გავყვეთ ქიაბერისა და მისი ახალგაზრდა ვაჟის, შოთას ამბავს.

როგორც ირკვევა, შემდეგში ქიაბერისათვის მანდატურთუხუცესობა სხვა თანამდებობით შეუცვლიათ. რადგან ბასიანის ომის დროს 1204 წლისათვის მანდატურთუხუცესად ჩანს შალვა ახალციხელი(იგივე შალვა თორელი). მაგრამ აქვე დაცულია ისეთი ცნობა, რომელიც გარკვეულ სინათლეს ჰფენს ქიაბერისა და მისი ვაჟის ვინაობას. ირკვევა, რომ ქიაბერი, რომელიც ამ ომში წინამებრძოლთა შორის იყო, ეკუთვნოდა თორელთა საგვარეულოს. ამ ადგილას ვკითხულობთ: წინამებრძოლად(ბასიანის ომში) იყო ზაქარია მხარგრძელი, ამირსპასალარი, და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი შალვა და ივანე. დაღათუ შალვა მანდატურთუხუცესი იყო, ქიაბერი და სხვანი თორელნი. მაშასადამე, აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ შალვა და ივანეს მსგავსად(შალვა და ივანე ახალციხელები სხვა წყაროებითაც თორელებად ჩანან) ქიაბერიც თორელთა საგვარეულოს წევრია და ისევე როგორც მხარგრძელებს, სამეფო ლაშქარში მათაც ყოველთვის მეწინავეთა შორის დგომა ევალებოდათ. ქიაბერის თორელობა მატიანის აღნიშნული ცნობის საფუძველზე ეჭვმიუტანელი ფაქტია. ამდენად თორელი ჩანს მისი ვაჟიც, აგრეთვე ჟინვანის მფლობელი-მემკვიდრე შოთაც.

ძვირფას მკითხველს კიდევ ერთხელ მოვახსენებ, რომ ზემოთმოყვანილი არგუმენტები ის არგუმენტებია, რომლებმაც ასევე ზემოაღნიშნულ მეცნიერთა ჯგუფი სწორ კვალზე დააყენა და გამოათქმევინა, ჰიპოთეზა, რომ შოთა ქიაბრის ძე არის შოთა რუსთაველი. თუმცა, ასეთი დოკუმენტი, სადაც ეს იქნებოდა პირდაპირ დადასტურებული, მათ არ წარმოუდგენიათ.

იყო თუ არა შოთა ქიაბერის ძე თორელი, შოთა რუსთაველი? ვფიქრობ ამ კითხვაზე პირდაპირ გვცემს პასუხს ჩემს მიერ მოძიებული დოკუმენტი, რომელსაც ზემოხსენებული ჰიპოთეზის ავტორები არ იცნობენ:

შოთა რუსთაველი რომ იერუსალიმში წავიდა და იქ გარდაიცვალა, დასტურდება ტყავზე დაწერილი წიგნი **„სინოდიკონიდან,“**: რომელიც **თელავის მაზრის სოფელ კურდღელაურის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინამძღვარმა მღვდელმა დიმიტრი ნიკოლოზის ძე დეკანოზიშვილმა გადასცა ისტორიკოს მოსე ჯანაშვილს. შემდგომში მოსე ჯანაშვილი წერდა: „ამ წიგნში 22 ფურცელია. წიგნის პირველი გვერდი მთლიანად შეჭვარტილია. თავში ოთხი სტრიქონი გადალეულია. აგრეთვე ბოლოშიაც 2-3 სტრიქონი. შუა-გულში უშნო ასომთავრულით, რომელიც მერმინდელ ავქსონს გაუცხოველებია თუ გადმოუწერია, ვკითხულობთ: „ქ. თამარ მეფე გარდაიცვალა ქორონიკონსა ჩსიგ(1212 წ.) იანვარსა, პარასკევსა. იქ მესხი ქიაბრისძე, მგოსანი შოთა რუსთაველი წარვიდა იერუსალემს და მუნ გარდაიცვალა ქორონიკონსა ჩსით (1219წ.)მაისსა ა-სა, დღესა ოთხშაბათსა (თუ ხუთშაბათსა?)—შეუნდვენ ღ-ნ. ოდეს ესე დაიწერა იყო ჩსკა (1221წ.) შეუნდვენ ღმერთმან მიქელს“( გაზეთი „სახალხო ფურცელი“ 1917 წ. N773, გვ.2.).**

ამ დოკუმენტში ხაზგასმულად არის ნათქვამი, რომ მესხი ქიაბრისძე, მაშასადამე, პატივცემულ ავტორთა მიერ მოძიებული მასალით, ქიაბერის უფროსი ძე, შოთა თორელი, ეს იგივე მგოსანი შოთა რუსთაველია. აქვე წარმოვადგენ სხვა დოკუმენტსაც, რომელიც აგრეთვე შოთა რუსთაველისა და ჟინვანის ადგილის მფლობელის, შოთა ქიაბერის ძის იგივეობას გვიდასტურებს: **გაიოზ იმედაშვილის „რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში“ შესულია გიორგი საძაგლიშვილის წერილი,** რომელიც დამოწმებული აქვს მკვლევარს, **იოსებ გოგატიშვილს**: ავტორი აღნიშნავს, რომ ყოფილი ქალაქი ჟინვანი, რომელიც მურვან-ყრუმ დაანგრია VII საუკუნეში, ამჟამად პატარა დასახლებაა და შედის სამთავისის ეპარქიაში. აქ როგორც ირწმუნებიან, იყო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის, შოთა რუსთაველის მამული, რომელიც მან გადასცა შიომღვიმის ლავრას.“ მაშასადამე ხალხური გადმოცემით, ჟინვანის მამული შოთა რუსთაველის საკუთრება ყოფილა. რუსთველოლოგიაში ცნობილი მანდარტუხუცეს ქიაბერის მიერ გაცემული დოკუმენტით კი ვგებულობთ, რომ ამ მამულის მეპატრონე ყოფილა შოთა, მისი ძე. მაშასადამე, აქედანაც გამომდინარეობს, რომ შოთა რუსთაველი, იგივე შოთა ქიაბერის ძეა, რასაც კურდღელაურის სინოდიკონზე მიწერილი წარწერიდან პირდაპირ ვგებულობთ.

საკითხს, თუ რომელი რუსთავიდან შეიძლებოდა მიეღო სახელწოდება რუსთაველი შოთას, ჩვენ საგანგებოდ სხვა წერილში შევეხებით.

აქვე ვფიქრობ, ურიგო არ იქნება თუ მცირედ მიმოვიხილავთ, მეთორმეტე საუკუნის ერთ-ერთ ვრცელ თორის საფეოდალოს:

თორი შუა საუკუნეების ერთ-ერთი ვრცელი საფეოდალო იყო. ვახუშტის ცნობით: „ვგონებ თორელთა სამთა ამათ ხეობათა — სადგერს, გუჯარეთის და მტკვრის ხეობას. ამჟამად თორის სახელით შემორჩენილია ერთი პატარა უკაცრიელი სოფელი, რომელიც ძველი საფეოდალო ტერიტორიის ნაშთია.“

არქეოლოგ ლევან მუსხელიშვილის აზრით, თორელები უძველესი ქართული საგვარეულოს, სამძივართა შთამომავლები უნდა იყვნენ.

„სამძივართა გვარი უკვე X საუკუნიდან მაინც იხსენიება ჩვენს წყაროებში. მაგალითად: ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილ ანდრია მოციქულის მიმოსვლაში ნახსენებია დედაკაცი ვისმე ქურივი სამძივარი, რომელიც თურმე აწყურში ცხოვრობდა. ძველქართულგვარეულობას სამძივრებს, თორის დაუფლების შემდეგ მიუღიათ თორელობა. ისტორიაში კარგად ცნობილი კრავაი ჯაყელი, რომელმაც ყუთლუ არსლანის გამოსვლის დროს თავს იდვა მოციქულობა, დიდი გამრეკელ-თორელის მეუღლეა და მისი შვილების აწ მყოფთა სამძივართა დედა. თორელები მათ ეწოდათ, როგორც თორის მფლობელებს. შემდგომ თორელთა საგამგეო, როგორც ვნახავთ ძალიან გაფართოვდა და თორელებს ყველგან ვხედავთ მმართველ-გამგეებად. თამარის დროს თორელები განსაკუთრებით აღზევებულნი ჩანან. ამ სახლის ერთ-ერთი უფროსთაგანი შალვა თორელი მეჭურჭლეთუხუცესობასა და მანდარტუხუცესობასთან ერთად, ვითარცა ერისთავთ-ერისთავი ფლობს სხვადასხვა ტერიტორიებსაც. მაგალითად, შალვა თორელობასთან ერთად მოიხსენიება ახალციხელადაც. ასევე იწოდება მისი ძმა ივანეც. ასევე იწოდება ერისთავთ-ერისთავი გამრეკელ — ლობიარი, რომელიც აგრეთვე თორელი იყო და ამ ზედწოდებას ფლობდა ლობიეთის სამფლობელოს პატრონობის გამო.“ იხ. ნ. ნათაძისა და ს. ცაიშვილის ზემოხსენებული წიგნი.

**ზემოთმოყვანილი დოკუმენტები ჩვენ ნათლად წარმოგვიჩენს, რომ შოთა რუსთაველი არის იგივე შოთა ქიაბრისძე თორელი.** ისმება კითხვა რა თანამდებობა ეკავა მეფის კარზე შოთა რუსთაველს, იგივე შოთა თორელს? იგი რომ ნამდვილად მეფის კარზე მოღვაწეობდა ამას თავადვე გვამცნობს პოემის პროლოგში:

„ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა,
მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი“

ხალხური გადმოცემა გვეუბნება, რომ შოთა იყო საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი. მაშასადამე, ჩვენთვის ამჯერად გარკვეულია შემდეგი: თამარის დროს თორელთა საგვარეულოში მოღვაწეობს დიდვეზირის, ქიაბერის ვაჟი, შოთა თორელი. ახლა საკითხი ეხება იმას, შეეძლო თუ არა ქიაბერის ვაჟს, შოთა თორელს, მიეღო მეჭურჭლეთუხუცესობა და აგრეთვე რუსთველის ზედწოდება.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ სახელო მეჭურჭლეთუხუცესისა, თამარის დროიდან მოკიდებული, ეპყრა სამხრეთ საქართველოს ორ დიდ საგვარეულოს: თორელებსა და ჯაყელებს. მაგალითად, ქართლის ამირა აბუსალანის შემდგომ, მეჭურჭლეთუხუცესი არის შალვა თორელი 1205 წლამდე. ხოლო ჯაყელებმა ეს სახელო უფრო გვიან, 1220 -იანი წლებიდან შეიძინეს. როგორც მკვლევარმა ნ. შოშიაშვილმა გაარკვია, 1205-1220 წლებში მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა ვაკანტურია. ამდენად, ნამდვილად იყო შესაძლებლობა, რომ ეს სახელო შეეძინათ მანამდე მანდატურთუხუცესად მყოფ ქიაბერს ან მის ვაჟს, შოთა თორელს. სხვა პრეტენდენტი ამ ხანებში, წყაროების მიხედვით, არ ჩანს. მეთორმეტე საუკუნეში საქართველოს რომ ნამდვილად ჰყავდა მეჭურჭლეთუხუცესი შოთა, ამას ვგებულობთ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოსახსენიებელიდან: მე-13 საუკუნის პირველი მეოთხედისათვის შეუტანიათ მოსახსენებლი **შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა** (სრული ტექსტი: „ამასვე ორშაბათსა, აღაპი შოთაჲსა მეჭურჭლეთუხუცესისაჲ ვინ შეცვალოს, შემცაცვალებულ არს სჯულისაგან ქრისტეანეთაჲსა) იხ. ე. მეტრეველი. მასალები „იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის.“ მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ჩემს მიერ მოძიებული **1897 წლის გაზეთი „ივერია“** „არაბეთის ისტორიკოსი არკანშანდი სწერს, რომ როდესაც სალადინმა იერუსალიმი აიღო და დამკვიდრდაო, საქართველოს მეფემ ორი წარჩინებული ადამიანი — ერთი სალაროთ უხუცესი და მეორეც სხვა გამოგზავნა და 20 000 დრაჰკანათ გამოისყიდეს მონასტერი და გააახლესო. ეს იყო 1196 წ. და როგორც ჰგონებენ, ეს სალაროთ-უხუცესი შოთა უნდა ყოფილიყო. რადგანაც აქ დროცა და ისტორიის მიერ შოთას შესახებ გადმონაცემი ამბავიც ერთი-მეორეს ეთანხმება. ამას გარდა, სხვა ისტორიული ცნობა, რომელიც უკეთესადა ჰფენდეს ნათელს აღნიშნულს საგანს, ჯერ არ მოგვეპოვება.“

ლევან მენაბდე, „ძველი ქართული მწერლობის კერები“ ტომი. II, თბილისი. 1980.წ. გვ. 96-97. წერს: ეგვიპტის სულტან სალადინის (სალაჰ-ად-დინი) მიერ იერუსალიმის დაპყრობის (1187) შემდეგ მონასტერი კვლავ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. თამარის მეფობის ხანაში (1184-1213) მონასტერს არაერთხელ გაუწიეს დახმარება, ხოლო 1192 წელს საგანგებო ელჩობა მიავლინეს მისი მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალი მნიშვნელოვნად განაპირობებდა ჯვრის მონასტრის პრივილეგიების შენარჩუნებასა და მის შემდგომ დაწინაურებას(ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.11,ქ. თბ.1987, გვ.664.) არაბი ისტორიკოსის ბაჯა ად-დინ იბნ შადადის (1145-1234) ცნობით, 1192-1193 წლებში თამარმა სალადინს 200 000 დინარიც შეაძლია და მუსლიმთა მიერ 1187 წელს მიტაცებული ჯვრის (რომელზეც მაცხოვარი აცვეს) და (აგრეთვე მიტაცებულ) ქართულ სავანეთა დაბრუნება სთხოვა. არ ჩანს, რომ თამარმა ამ დროს დიდ წარმატებას მიაღწია, მაგრამ მომდევნო ხანაში რომ საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველების უფლებრივი მდგომარეობა საგრძნობლად გააუმჯობესა, ეს უდავოა.“ როგორც ვხედავთ, არაბი ისტორიკოსები შადადი და არკანშანდი, ორივენი ეხებიან სულტან სალადინის მიერ ჯვრის მონასტრის მიტაცებისა და გარკვეულ საფასურად მისი გამოსყიდვის მცდელობის ფაქტს. თუ თამარმა 1192-1193 წლებში სთხოვა სალადინს ქართულ სავანეთა დაბრუნება, 1196 წელს, ნამდვილად შესაძლებელი იყო თამარს ორი წარჩინებული ადამიანი გაეგზავნა და მათ გამოესყიდათ და განეახლებინათ მონასტერი.

ანუ, არაბი ისტორიკოსის ცნობით, მეთორმეტე საუკუნეში, თამარის დროს, ნამდვილად გაიგზავნა პიროვნება, სალაროთუხუცესი, ანუ მეჭურჭლეთუხუცესი, რომლის მიერაც გამოსყიდულ და განახლებული იქნა ჯვრის მონასტერი. მონასტრის განმაახლებელ მომხატველად კი ჯვრის მონასტერში გამოსახულია დიდგვაროვანი, რომელსაც ამკობს წარწერა: „ამის დამხატავსა, შოთას, შეუნდვნეს ღმერთმან, ამინ. !“ ხოლო პორტრეტის ქვემოთ, იმგვარადვე მიწერილია „რუსთველი“. არსებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ, მეთორმეტე საუკუნეში, მეფე თამარის მიერ ჯვრის მონასტრის გამომსყიდველ-განმაახლებლად გაგზავნილი საქართველოს სალაროთუხუცეს-მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილა შოთა რუსთაველი.

ფრესკაზე შოთას საერო მეწამული ფერის სამოსი მოსავს. იგი მუხლმოდრეკილია ორი წმინდანის — **იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის** წინაშე. იოანე დამასკელი ცნობილი საეკლესიო პოეტია. ამდენად, ეს კომპოზიცია სათანადოდაა გააზრებული..

შენიშნულია, რომ რუსთაველი თავის ბიოგრაფიულ ელემენტებს თავის გმირთა ავთანდილისა და ტარიელის ბიოგრაფიაში აქსოვს.

შოთა გვეუბნება: „ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირსპასალარისა.“ შოთა ქიაბრის ძის მამა — ქიაბერი, მართლაც იყო გარკვეული პერიოდი საქართველოს ამირსპასალარი. 1189 წელს მას მეფე თამარმა უბოძა ამირსპასალარობა. სპასპეტი კი სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ნიშნავს როგორც მხედართმთავარს, ასევე „მრავალთა ზედამდეგს“ (იხილეთ 1991 წლის გამოცემა . ტომი მეორე. გვერდი 108.) იგივე საბას განმარტებით, „ზედამდეგი“ ნიშნავს „ზედ მოურნეს,“ ხოლო „ზედმოურნე“ ნიშნავს საქმის გამგებელს. (იხ. ტომი პირველი. გვერდი 278.) შევკრიბოთ აღნიშნული განმარტებები და მივილებთ, რომ სპასპეტი ნიშნავს მრავალ საქმეთა გამგებელს. ავთანდილი პოემაში მართლაც მრავალ საქმეთა გამგებელად გვევლინება. ამ აზრს გვიდასტურებს აგრეთვე სტროფი 1253. (იხილეთ „ქართული მწერლობის“ მეოთხე ტომი. 1988 წლის გამოცემა.)

„გგონივარ ვინმე ვაჭარი, პატრონი ქარავანისა;
მე ვარ სპასპეტი მაღლისა მეფისა როსტევანისა,
თავადი სპისა დიდისა, მათისა შესაგვანისა.
მაქვს პატრონობა მრავლისა საჭურჭლე-ზარადხანისა.“

დიდი სპის თავადობა და პატრონობა მრავლისა საჭურჭლე-ზარადხანისა, ვფიქრობ იგივეა რაც მეჭურჭლეთუხუცესობა.

საინტერესოა, ასევე ისიც, რომ გვარი თორელი და „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირის სახელი გარკვეულწილად თანხვდება ერთმანეთს: თორელი —თორიელი—თარიელი —ტარიელი.

ბოლოს, დასკვნის სახით, მინდა შევაჯამო მეცნიერთანამშრომლების მიერ უკვე მოძიებული და გაანალიზებული მასალები, რომელთა საფუძველზეც მათ გამოთქვეს ვარაუდი, რომ შოთა რუსთაველი, ეს იგივე შოთა ქიაბრის ძე თორელია, მეთორმეტე საუკუნის საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი. და ჩემს მიერ გაზეთ „სახალხო ფურცელში“ (1917წ. @N 773 გვ.3.) გამოქვეყნებული მასალა, საიდანაც ვგებულობთ, რომ კურდღელაურის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მფლობელობაში არსებულ „სინოდიკონზე“ 1221 წელს ვინმე მიქელს გაუკეთებია მინაწერი, და ამ მინაწერის თანახმად, მგოსანი შოთა რუსთაველი არის მესხი ქიაბრისძე, რომელიც თამარის გარდაცვალების შემდგომ წასულა იერუსალიმში და იქ გარდაცვლილა 1219.წ. მაისში. ოთხშაბათ თუ ხუთშაბათ დღეს. ხოლო ასევე ჩემს მიერ მოძიებული 1897 წლის გაზეთ „ივერიის“ მასალისა და უკვე არსებული მასალების შეჯერების საფუძველზე ჩვენ შეიძლება დავასკვნათ, რომ შოთა ქიაბრისძე, იგივე თორელი არის საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი და რაც მთავარია, უკვდავი პოემის, „ვეფხისტყაოსანის“ ავტორი შოთა რუსთაველი.

დასასრულ მინდა ვთქვა, რომ მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთ პერიოდულ გაზეთში, სამწუხაროდ, ახლა ველარ ვიხსენებ რომელში, ნამდვილად ამოკითხული მაქვს, რომ მაისის თვეში საქართველოში, ძველად თურმე იმართებოდა ხოლმე დღესასწაული შოთა რუსთველის საპატივსაცემოდ.

„ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღთან და აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი რუსთავიდან წარმოსდგა მისი ზედწოდება, ჩემს შეხედულებას სხვა დროს მოგახსენებთ.

შოთას ჰქონია რომანი იოსებ მშვენიერზე. მისი ქრელი სამოსი იგივე ვეფხისტყაოსანია.

რომელი რუსთავიდან მიიღო ზედწოდება შოთა თორელმა, მესხეთის, კახეთის რუსთავიდან? მესხეთში მდებარე რუსთავი პირდაპირ თორელთა საგანმგებლო მამულში შედიოდა. აქედან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია, რომ ის სწორედ შოთა თორელის საგანმგებლო ყოფილიყო. დიდი ალბათობაა, აგრეთვე იმისა, რომ შოთა თორელი თანადროულად ფლობდა თბილისთან ახლო მდებარე ქალაქ რუსთავსაც. არ არის, რომ თბილისის სამეფო კარზე სამსახურში მყოფ ქიაბერს და მის გამორიცხული ვაჟს, შოთას თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავის მფლობელობაც მიეღოთ და აქედან მიეღო შოთა თორელს რუსთველობაც. პრეცენდენტი, რომ ჟინვანის მფლობელს თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავიც ჰქონოდა ხელთ, ნამდვილად იყო. მაგალითად, მეჭურჭლეთუხუცეს აბულასანს ხელთ ეპყრა ორივე ეს სამფლობელო. მაგრამ წყაროებით, ამ ხანებში, თბილისის რუსთავს სხვა პატრონი ჰყავს — ზაქარია მხარგრძელი, რომელმაც რუსთავი შეიმატა 1191 წლიდან (იხ. ქართ. ცხ. ტ. II, გვ. 55) და ჩვენ არ ვიცით, რამდენ ხანს ფლობდა იგი ამ ადგილს. ადვილი შესაძლებელია, თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავის მფლობელი შეცვლილიყო. თუმცა, რასაკვირველია, მეტი ალბათობით, შოთა თორელთა საგამგებლოში მყოფი მესხეთის რუსთავის მფლობელი იქნებოდა.

# მუდმივად „მღვიძარი“ მძინარე არმია

ჩინურ ცივილიზაციას არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ ადამიანის ამბიციები და შესაძლებლობები უსაზღვროა. ეს განსაკუთრებით კარგად იგრძნობა, როცა საკუთარი თვალით ხედავ საუკუნეების ან ათასწლეულების წინ მცხოვრები ადამიანების მიერ აგებულ გრანდიოზულ მონუმენტებს. დროთა განმავლობაში ასეთი ერთეული მონუმენტები მთლიანად ცივილზაციის სახე და სავიზიტო ბარათი ხდება. ადამიანის მიერ შექმნილი ერთ-ერთი ასეთი შედევრია ტერაკოტას არმია, რომელიც სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს. ტერაკოტას არმიას ხშირად მსოფლიოს მერვე საოცრებადაც კი მოიხსენიებენ და არც თუ ისე უსაფუძვლოდ. ის ხშირად იწვევს დამთვალიერებლების, მეცნიერების გაოცებას.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ჩინური ცენტრალიზებული სახელმწიფოს შემქნელი ცინ შ' ხუანგტი 2200 წლის წინ გარდაიცვალა, მისი აკლდამა გასული საუკუნის ბოლომდე მიუკვლეველი იყო. 1974 წლის 29 მარტს, ჩინეთში, შაანსის პროვინციის დედაქალაქ სიანის გარეუბანში, ხანგრძლივი გვალვის გამო რამდენიმე გლეხმა გადაწყვიტა ჭის გაჭრა. თხრის პროცესში ნიჩაბი მოულოდნელად მყარ საგანს მოხვდა, რამაც გლეხების გაკვირვება გამოიწვია. შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ეს მყარი საგანი თიხისაგან დამზადებული ადამიანის თავი იყო. თიხის ნაკეთობების ფრაგმენტები მიმდებარე ადგილებში ადრეც აღმოუჩენიათ, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა ცუდ ნიშნად მიიჩნევდა მიწიდან ამოღებულ ნამტვრევებს და მათ ისევ მიწაში აბრუნებდა. საბედნიეროდ, ეს სამი გლეხი არ ენდო ცრურწმენებს და თიხის თავი ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებს გადასცეს. შედეგად, სიანში მოიწვიეს არქეოლოგთა ჯგუფი და გათხრების სერიების ჩატარების შემდეგ აღმოაჩინეს უნიკალური ძეგლი ჩინეთის პირველი იმპერატორის ცინ შ' ხუანგტის სამარხის კომპლექსი.

ძვ.წ. 256 წელს ცინის სამეფო ოჯახში დაიბადა ვაჟი სახელით ჭაო ( ინგ ) ჭენგი. 13 წლის ასაკში, მამის გარდაცვალების გამო ის ცინის სამეფოს ტახტზე ადის. მცირეწლოვნობის გამო რეალური ძალაუფლება მინისტრების ხელში აღმოჩნდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, შემდგომ სრულწლოვანი მეფე ჩამოიშორებს ყველას ვინც ძალაუფლებაში შეეცილება, საკუთარ დედასაც კი გადაასახლებს. საკუთარ სამეფოში ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ ინგ ჭენგი თავის უსაზღვრო ამბიციებს სხვა ჩინური სამეფო-სამთავროებისაკენ მიმართავს და ძვ.წ. 230-221 წლებში ერთმანეთის მიყოლებით დაიპყრობს მათ. ძვ.წ. 221 წელს პირველად ისტორიაში ჩინეთი გაერთიანდება ერთ პოლიტიკურ ერთეულად. საკუთარი მიღწევებით კმაყოფილი ინგ ჭენგი აღარ დასჯერდა მეფის „უბრალო“ წოდებას, რამეთუ ვერცერთი სხვა უწინდელი მმართველი ვერ შეედრებოდა მას. ამიტომ, სპეციალურად თავისთვის შექმნა ახალი ტიტული- „ხუანგტი“ ანუ იმპერატორი. მისი ახალი სრული სახელი იყო ცინ შ' ხუანგტი, რაც ითარგმნება, როგორც ცინის პირველი იმპერატორი.

ცინ შ' ხუანგტიმ არა ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა, რომელიც მიზნად ისახავდა ახალი უზარმაზარი იმპერიის კონსოლიდირებასა და სწორად მართვას. კანონები მართალია იყო რაციონალური, თუმცა მათ თან ახლდა სასტიკი სასჯელები, უმცირესი ქურდობაც კი სიკვდილით ისჯებოდა. ცინის იმპერიის ადმინისტრაციის ზოგადი სტრუქტურა შემდეგში გახდა საფუძველი იმისა, რომ ცინის დინასტიის დაცემას ჩინეთის დაშლა კი არა, არამედ ახალი ხანის დინასტიის ( ძვ.წ. 202- ახ.წ. 220 ) ჩამოყალიბება მოჰყვა. პირველი იმპერატორის დროს აშენდა რამდენიმე გრანდიოზული ნაგებობა. მათგან ყველაზე ცნობილი ჩინეთის დიდი კედელია. თუმცა, ცინ შ' ხუანგტის მხოლოდ თავისი სახელის უკვდავყოფა არ სურდა. მან სიკვდილის დამარცხებაც მოინდომა. იმპერატორს ავადმყოფურად ეშინოდა სიკვდილის. ამიტომ, თავის გარშემო შემოიკრიბა არაერთი მეცნიერი და ალქიმიკოსი. მრავალ მათგანს დაავალა შორეული ადგილებისაკენ წასვლა უკვდავების ელექსირის საპოვნელად, ნაწილი მეცნიერებისა კი მის კარზე დარჩნენ და უკვდავების ელექსირის დამზადება დაიწყეს. იმპერატორმა არაერთი უცნაური შემადგენლობის სითხე დალია და საბოლოოდ ძვ.წ. 210 წელს, როცა იმპერიის შემოვლას ატარებდა, მოულოდნელად გზაში გარდაიცვალა. სავარაუდოდ, სწორედ ერთ-ერთი ასეთი „უკვდავების ელექსირის“ მიღების გამო.

გასაკვირი არაა, რომ ისეთი პიროვნება, როგორიც ცინ შ' ხუანგტი იყო წინასწარ იზრუნებდა საკუთარი სამარხი თავისი გემოვნების შესაბამისად აგებულიყო. მისი აკლდამა, ან მასშტაბების გამო უფრო სწორი იქნება ვთქვათ ნეკროპოლისი ძვ.წ. 246-209 წლებში იგებოდა და იმპერატორის გარდაცვალების დროს ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ძველ ჩინეთში სწამდათ, რომ გარდაცვლილის სულს იმქვეყნიურ სამყაროშიც შეეძლო ამქვეყნიური სიამოვნებებით ტკბობა. ამიტომ, იმპერატორისათვის სამარხად ნამდვილი მინისამყარო შექმნეს. ჯერ კიდევ ხანის დინასტიის დროინდელი ისტორიკოსი ს' მა ციენი ( ძ.წ. 145-86 ) წერს, რომ პირველი იმპერატორის სამარხის ჭერი მოოჭვილია მარგალიტებით, რომლებიც ციურ სხეულებს განასახიერებენ, იატაკზე არის ბრინჯაოში გამოკვეთილი ჩინეთის რუკა, იანძისა და ხუანხეს განასახიერებენ ვერცხლისწყლის მდინარეები. უშუალოდ აკლდამა, რომელიც მთა ლი-ს შიგნით არის, ჯერჯერობით ხელუხლებელია. არქეოლოგები უახლოეს მომავალში არ აპირებენ მის გახსნას, რადგან შიშობენ, რომ სამარხის შიგნით არსებული ჰერმეტულობის დარღვევა გამოიწვევს აკლდამაში ნივთების დაზიანებას. მაგრამ, ბურღებისა და ზონდების მეშვეობით რამდენადმე გამოიკვლიეს მთა ლის სტრუქტურა და დაადგინეს, რომ მთის შიგნით არის 30-40 მეტრი სიმაღლის სიცარიელე. მთის ნიადაგის შესწავლით დაადგინეს, რომ აქ ვერცხლისწყლის შემცველობა უჩვეულოდ მაღალია, რაც ადასტურებს ს' მა ციენის მონათხრობს.



პირველი იმპერატორის სამარხი მხოლოდ აკლდამით არ შემოიფარგლება. არქეოლოგებმა ზონდების გამოყენებით შეისწავლეს იმპერატორის სამარხის მიმდებარე ტერიორია და დაადგინეს, რომ ცინ შ' ხუანგტის აკლდამის გარშემო მიწისქვეშ უზარმაზარი კომპლექსია მოწყობილი, რომლის ფართობი დაახლოებით 98,5 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. ასევე ნიშანდობლივია, რომ გარშემო მდინარეზე დამბები ისეა აგებული, რომ წყალმა სამარხს პრობლემები არ შეუქმნას. კომპლექსის უდიდესი ნაწილი დღემდე გაუთხრელია და არქეოლოგებს კიდევ მრავალ სიახლეს უმზადებს.

ამ სტატიაში არ მიმოვიხილავთ დაწვრილებით ნეკროპოლისის მთლიან სტრუქტურას. არამედ, ვისაუბრებთ ამ დიდი კომპლექსის ყველაზე ცნობილ ნაწილზე ტერაკოტას არმიაზე. გარდაცვლილი იმპერატორის სული იმქვეყნად მარტო რომ არ ყოფილიყო, ნეკროპოლისში მას ჩააყოლეს ადამიანის ფორმის უამრავი ტერაკოტას-გამომწვარი თიხის ფიგურა. ისინი საოცარი ოსტატობითაა შესრულებული, ფიგურები დაყოფილია დანიშნულების მიხედვით, აქ შეხვდებით აკრობატებს, საიმპერატორო კარის მოხელეებს, მოსამსახურეებს და რა თქმა უნდა თიხის არმიას, რომელსაც იმპერატორი უნდა დაეცვა ცოცხალი არსებებისა და ავი სულებისაგან. სამარხში არსებული ტერაკოტას ათასობით ფიგურიდან, თითქმის ყველა დამტვრეულ მდგომარეობაში აღმოაჩინეს. საქმე ისაა, რომ მათ დასაწყობად ჯერ ამოთხარეს 5-6 მეტრის დიდი ორმოები, ფიგურების ჩალაგების მერე დაახლოებით სამი მეტრის სიმაღლეზე ორმო გადახურეს და ზედ მიწა დააყარეს. დროთა განმავლობაში ხის სახურავი ჩამოიშალა და მიწის ფენა ქანდაკებებს დაეცა. დღესდღეობით არსებული მთლიანი ჯარისკაცის ფიგურები მეცნიერების მიერ ნატეხების შეერთების შედეგია.

აღმოჩენის შემდეგ დაიწყო რესტავრაციის ურთულესი და შრომატევადი პროცესი. ასეთი მასშტაბის და ასეთი მრავალფეროვანი კომპლექსის გაკეთება საკმაოდ რთულია, საინტერესოა თუ როგორ მოხერხდა მისი შექმნისას ტექნიკური რესურსისა და სამუშაო ძალის განაწილება. ტერაკოტას არმია განაწილებულია სამ უზარმაზარ ორმოში. აღმოჩენილია მეოთხე მსგავსი ორმოც, თუმცა ის ცარიელია. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ იმპერატორის გარდაცვალებისას ჯერ კიდევ დაუსრულებელი იყო სამარხი. პირველი ორმო ყველაზე მეტად შესწავლილი და აღდგენილია. აქ 1000-ზე მეტი ტერაკოტას ფიგურა ბრძოლისათვის მწყობრადაა დალაგებული. მეომრები იყურებიან აღმოსავლეთისაკენ. უკიდურეს ფლანგებზე შეტრიალებულნი არიან და სამხრეთსა და ჩრდილოეთს უყურებენ. უკანა რაზმი ზურგს აქცევს არმიის დანარჩენ ნაწილს და დასავლეთს უყურებს. ამგვარად, ჯარისკაცები ოთხივე მიმართულებას აკონტროლებენ იმპერატორის დასაცავად. მეორე ორმოში დაახლოებით ხუთასამდე ფიგურაა, მაგრამ უმეტესობა დამტვრეული და აღუდგენელია. არქეოლოგებმა ასე განგებ დატოვეს ისინი, რათა ტურისტებმა ნახონ თუ როგორ მდგომარეობაში აღმოაჩინეს არმია. მესამე ორმოში მხოლოდ 68 ფიგურაა. სპეციალისტების ვარაუდით, ეს ფიგურები განასახიერებენ ოფიცრებსა და სარდლებს.

არქეოლოგების შეფასებით სამარხში სულ უნდა იყოს 8000-მდე ტერაკოტას ჯარისკაცი, მაგრამ მათი მხოლოდ მცირე ნაწილი, დაახლოებით 2000 არის გათხრილი და აღდგენილი. ფიგურები ჩვეულებრივი ადამიანის ფორმებში ჯდებიან. მუხლზე დაჩოქილი მოისრები 123 სანტიმეტრია სიმაღლით. მაღალი რანგის სარდლები კი 198 სმ-ს აღწევენ. თიხის მეომრების სახის ნაკვთებიც კი ძალიან ჰგავს ცოცხალი ადამიანისას. სახის ინდივიდუალური ფორმები, განსხვავებული ვარცხნილობები, ეს ყველაფერი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. მკაცრადაა დაცული პროპორციები. მეცნიერები ფიქრობენ, რომ გამოყენებულია ათი ძირითადი სახის ტიპი, რომლებთაც ინდივიდუალურობის მისაცემად გამოწვის შემდეგ თიხით ამატებდნენ წვერს, ულვაშს, წარბებს. ტერაკოტას ფიგურები იმდენად ახლოსაა ადამიანის პროპორციებთან, რომ მეცნიერთა შორის გაჩნდა თეორია ტერაკოტას არმიის შექმნაში ბერძენი ოსტატების მონაწილეობის შესახებ. თუმცა ეს ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდია.

მეომრები იყოფიან კატეგორიებად, ისევე როგორც იყო ცინის არმიაში. აქ არიან დაჩოქილი და ფეხზე მდგარი მოისრები, ქვეითები, მეეტლეები, კავალერია, ცხენები, ოფიცრები, სარდლები. სხვადასხვა კატეგორიის მეომრები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ჩაცმულობითა და სიმაღლით. ყველაზე დაბალი არის მოისარი, მას მოჰყვება ქვეითი, შემდეგ მეეტლე და ბოლოს ყველაზე მაღალი სარდლების ფიგურები. მოისრებს ჯავშანი თითქმის არ აქვთ. უბრალო ქვეითებს აცვიათ (რა თქმა უნდა აქ იგულისხმება, რომ ტანსაცმელი თიხაშია გამოკვეთილი) მძიმე ტუნიკები. გამოიყოფა მძიმედ შეჭურვილი ქვეითებიც. ყველაზე კარგი საჭურველი ოფიცრებსა და სარდლებს აქვთ, მაგრამ აქაც რანგების მიხედვით განსხვავდება საჭურვლის სიმძიმე და დეკორატიულობა. აღსანიშნავია, რომ არცერთ მეომარს მუზარადი არ ახურავს. ამ ფაქტს ისტორიკოსები სხვადასხვაგვარად ხსნიან. ზოგის აზრით ეს მეომრების სიმამაცის ნიშანია. სხვათა თქმით ცინის დინასტიის მეომრებს არ სჭირდებოდათ მუზარადი, რადგან იმ პერიოდში ისეთი იარაღები გამოიყენებოდა ბრძოლაში, რომ ძირითადი დარტყმები მიდიოდა მკერდისა და მუცლის ნაწილზე. ნაწილი მეცნიერებისა ფიქრობს, რომ მუზარადების დახურვის შემთხვევაში ფიგურების ინდივიდუალური ნაკვთები დაიფარებოდა, შესაბამისად ისინი არ გამოიყენეს. კომპლექსი ნამდვილი სასახლეა, იმპერატორს სურდა სიკვდილის შემდეგაც ჰქონოდა ფუფუნება, მაშინ სჯეროდათ, რომ იმპერატორზე შურისძიებას მტერი საიქიოშიც მოინდომებდა, სწორედ ამიტომ საჭირო იყო იმპერატორი სიკვდილის შემდეგაც დაეცვათ. ყოველი ფიგურა ხელით ადგილობრივი თიხისგან გამოიძერწა, გატეხილი ფიგურები ცხადყოფენ რომ იდებოდა თიხის რამდენიმე ფენა და ასე იქმნებოდა უდიდესი კომპლექსი. მეომრებს თვალის ფორმაც კი განსხვავებული აქვთ, ასევე ყურებიც, ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ იმპერატორს სურდა საიქიოში ნამდვილ ჯარისკაცებს დაეცვათ.

ცინ შ' ხუანგტის სამარხი განსაკუთრებულია იმითაც, რომ 2200 წლის განმავლობაში ის გაუძარცვავი დარჩა. მართალია I საუკუნეში შედგენილი „ხანის წიგნის“ მიხედვით ცინის დამხობის შემდეგ ერთ-ერთმა სარდალმა სიანგ იუმ დაარბია და გაძარცვა ცინ შ' ხუანგტის აკლდამა, მაგრამ გათხრების შედეგად ეს არ დასტურდება. ის ფაქტი, რომ სამარხში უამრავი საბრძოლო იარაღია შემორჩენილი ადასტურებს, რომ ის არ გაუძარცვავთ. თავდაპირველად ყველა მეომარი შეიარაღებული იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში იარაღების ხის ნაწილები დალპა და დაიშალა. მსგავსი ბედი ეწია ხის ეტლებსაც, რომელთაგან მხოლოდ ბრინჯაოს გადასაბმელი ნაწილებია დარჩენილი. თუმცა, მეტალის ნივთები დღემდე შემორჩა. იარაღი საგანგებოდ დამზადდა ტერაკოტას არმიისათვის. მასზე თხელი და თანაბარი ნაჭდევებია დატოვებული, არქეოლოგებმა 40000-მდე შუბისთავი, ისრისთავი, არბალეტის ნაწილები და ხმლები აღმოაჩინეს გათხრებისას. არბალეტი ევროპაში შუა შუასაუკუნეებიდან გამოიყენება აქტიურად. ჩინეთში კი არბალეტის უძველესი ნაშთები ძვ.წ. მე-6 საუკუნით თარიღდება, ძვ.წ. მე-4 საუკუნიდან კი უკვე აქტიურად გამოიყენებოდა არმიებში. ტერაკოტას არმიის იარაღებიდან განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს ხმლები. ორი ათასწლეულის გასვლის შემდეგაც კი ეს ხმლები უჟანგავია და კვლავაც ძალიან ბასრი. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ამის მიზეზია ხმლის ზედაპირის დაფარვა ქრომის ოქსიდით. აღსანიშნავია, რომ ქრომის ოქსიდით მეტალის ზედაპირის მოპირკეთება თანამედროვე მსოფლიოში ამერიკაში 1937 წელს აღმოაჩინეს.

ტერაკოტას ყველა ფიგურა შეღებილი იყო, რაც მათ კიდევ უფრო „ცოცხალს“ ხდიდა. მაგრამ, როცა ტერაკოტას არმია გათხარეს და შიდა ჰერმეტული სივრცე დაირღვა, პიგმენტები რეაქციაში შევიდნენ ჰაერში არსებულ ნაწილაკებთან და ნელ-ნელა ჩამოიშალნენ. არქეოლოგები ამიტომაც ფრთხილობენ კომპლექსის სხვა ნაწილების გახსნას, შიშობენ, რომ ჰერმეტულობის დარღვევა იქაც გამოიწვევს არტეფაქტების დაზიანებას. დღესდღეობით ტერაკოტას მეომრები ნაცრისფერია, თუმცა ზოგიერთ მათგანს ჯერ კიდევ აქვს შემორჩენილი ძველი ფერის ნაწილი. სხვა ყველაფერთან ერთად ეს აღმოჩენა იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ ბევრი საინტერესო რამ გახდა ცნობილი იმდროინდელი პერიოდის შესახებ, ვიგებთ მეომრების როგორი ჩაცმულობა არსებობდა, ასევე-რა სახის იარაღს იყენებდნენ. ცინის დინასტიაზე მანამდე მწირი იმფორმაცია იყო შემორჩენილი, რადგან მატიანეს დიდი ნაწილი სხვადასხვა მიზეზთა გამო განადგურდა.

დღესდღეობით ცინ შ' ხუანგტის აკლდამის გარშემო მოწყობილია მუზეუმი. ტურისტებს შეუძლიათ იხილონ გათხრილი და აღდგენილი ნაწილი იმ უზარმაზარი პროექტისა, რომელიც პირველმა იმპერატორმა დროის დასამარცხებლად ააგო. შესაძლებელია საკუთარი თვალით ნახოთ იმპერატორის დასაცავად მუდმივად „მღვიძარი“ მძინარე არმია. ამ საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლის მიმართ ინტერესი უფრო და უფრო იზრდება და უამრავი ადამიანი სტუმრობს მას.

თსუ სტუდენტები:
**ოთარ ჭიღლაძე**
**ალექსანდრე მაჭავარიანი**

(ავტორებს გამოყენებული ლიტერატურა მითითებული აქვთ - რედ.)

# ორშაბათშიიდან ორშაბათამდე, ანუ საქართველოს მწერალთა კავშირის დელეგაციის ვიზიტი ისრაელში

**ნოდარ კობერიძე**



რას არ გაიგებდით ისრაელში სტუმრად ჩასულ ჩვენს მოქალაქეებზე, ებრაელი მებაჟეები და პოლიციელები ისე ექცევიან, როგორც პირუტყვებსა და ველურებსო და ლამის საბუთების შეუმოწმებლად გამოკეტავენ ერთ ნესტიან ოთახში, უკან დასაბრუნებელ ბილეთს თავის ხარჯზე აღებინებენ და მერე, ვითომცა მგლების ხროვას, ისე ყრიან ქვეყნიდანო. არ დაგიმალავთ, ოდნავ ვღელავდით საპასპორტო კონტროლის წარმომადგენელს პასპორტებს რომ ვუწვდიდით(დელეგაციაში სამნი ვიყავით;საქართველოს მწერალთა კავშრის თავმჯდომარე ბაღათერ არაბული, თქვენი მონა-მორჩილი და ჩოხატაურის სატყეო მეურნეობის ყოფილი დირექტორი, სახალხო მთქმელი, ბარდი და აშუღი, კოტე თავართქილაძე). გავუწოდეთ და წინ ღიმილის ყვავილნარის მინდვრის ხალიჩა გადაგვეშალა, რა ჩხრეკა, რა გამოკითხვა, რა საბუთების გაძლიერებული კონტროლი, უბრალოდ მიგვანიშნეს გასასვლელისკენ, როგორც ძვირფას სტუმრებს ისრაელში ჩამობრძანებულებს. მართლაც „სიმ-სიმ"-ს ძახილის გარეშე გაიღო მოსაცდელის კარიბჭე და...

და დაიწყო ერთკვირიანი ფესტივალი ძმობისა!

პირველი, რამაც მთელს ტანში დაგვაჟრიალა ბაღათერისა და მისი 16-წლის უნახავი დის ქალბატონი ეთერის შეხვედრა გახლდათ. ამან განწყობის რენომე საოცრად გაზარდა და დაიწყო მართლაც გულთა კავშირის შეხვედრა ძმებთან. აეროპორტიდან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი გამოვედით და მანქანებს მივაშურეთ. დავბინავდით სასტუმრო „ბათ-იამში", რომლის მაგიდა გადაჭედილი გახლდავთ ათასგვარი ნუგბარებით. შუა ღამე გარდასულს დავეშვიდობეთ ერთმანეთს და თან შევთანხმდით, ხვალინდელი დილა დიდ შოთა რუსთაველთან შეხვედრით დაგვეწყო და რაღა დაგვაძინებდა. მითუმეტეს, რომ ზღვა 30 ნაბიჯიდან ჩვენს ფანჯარს აღელვებული უყვებოდა ამ გმირი ქვეყნის ისტორიას.

დღე მეორე. ადრიანად ვდგებით და „იერიშალაიმის ჯვრის" მონასტრისკენ ვიღებთ გეზს,მთელი „გულთა კავშირი" თან გვახლავს. ყოველ განვლილ კილომეტრზე გული უფრო და უფრო ძალუმად ძგერს და აი მემორიალიც, დროშები დიდი რუსთვლის ანფასით აფრიალებლა ამაყად, გიორგი ბრწყინვალე მახსენდება, ქართველები ცხენდაცხენ რომ შედიოდნენ იერუსალიმს გაშლილი დროშებით და აი ახლაც მყუდროებას ჩვენი მანქანის ძრავთა თუხთუხნი არღვევენ. მემორიალთან ვიკრიბებით, ხელთ მურმან თავდიშვილის „ვეფხისტყაოსნის" პირველი სრულყოფილი გამოცემა(გამომცემელი საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი) მიჭირავს და ლამის ჩავიხუტო. თვალნი სხვაგვარად მენთებიან, იგივეს ვგრძნობ ყელში. დიდებლ ტაძარ -სიმაგრეში შევდივარ. ნუგზარ ჯანაშვილი მიხვდება გულის ნადებს და იმ ფრესკისკენ მიმაქანებს შოთა რუსთველის სახელი რომ ჰქვია. სიტყვათა პათოსი კვლავაც მეჩხირება ყელში და ხმა მეკარგება, ნუგზარ ჯანაშვილი მიდგება გვერდში და ვეფხვისტყაოსნისადმი მიძღვნილ თავის სტრიქონებს კითხულობს, მერე სამარისებული სიჩუმე, რობერტ ადარი და შალვა წიწუაშვლი ანთებულან და მე მგონი, პირველად ისტორიაში, პოეტს მის მიერ შექმნილ ქმნილებას,ვაწვდი - სტამბური წესით როს დაბეჭდილა და ისიც სიხარულით ღებულობს საჩუქარს. ნუგზარ ჯანაშვილიმა სკამი სასწრაფოდ მოართვა და ზედ მოვასვენეთ „ამბავი ტარიელისა„. ჩამესმის რობერტ ადარის, აბრაჰამ იოსების და დიდებული მეცნიერისა და საზოგადი მოღვაწის(რომლის თაოსნობით ისრაელში გამოიცა ქართველ ებრაელ პოეტთა ანთოლოგია) შალვა წიწუაშვილის მდუმარე ჩურჩულნი. „ვეფხისტყაოსნის" ეს ეგზემპლარი სამუდამოდ რჩება აქ, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია სანთლები ავუნთოთ უკვდავს და ასე მდუმარედ ვტოვევებთ ყველა ქართველის საოცნებო სანუკვარ სავანეს.

გეზს ჯემალ აჯიაშვილის საფლავისკენ ვიღებთ, რათა სამარდჟამო მადლობა ვუთხრათ დიდ ქართველ-ებრაელს ჯემალ აჯიაშვილის სამუდმო განსასვლელებელს და ისიც არ გვავიწყდება ქედი მოვუხაროთ კაცს, რომლის ცხოვრების წესი ქართველთა და ებრაელთა სამუდამო სულიერი ნათესაობის აღიარება გახლდათ!

გათენდა 18 აპრილი- დღე, რომელიც ყველა ებრაელისათვის წმინდათა-წმინდა დღეა! ამ დღეს ისრაელის სახელმწიფოში პატივს მიაგებენ სამშობლოსათვის თავგანწირულ ვაჟკაცებს.საერთოდ უნდა ითქვას, რომ ებრაელ ხალხს განსაკუთრებული სათუთი დამოკიდებულება აქვთ თავიანთი სახელმწიფოებრიობისადმი. მათ გულზე მჯიღის დარტყმით კი არ უყვართ თავიანთი სამშობლო, არამედ ბოლომდე აქვთ გასიგრძნებული ის პასუხისმგებლობა, რომელიც სახელმწიფოს ყოფას თან სდევს. ექვსმა მილიონმა ებრაელმა იმიტომ კი არ შეაბიჯა კრემატორიუმში, რომ მერე ვილაც ვიგინდარს ანეკდოტად აეგდოთ იგი და „ელადავა", ვყიდი ჩემს წილ სამშობლოსო - ეს როგორც ჩვენთან ხდება, არა, არა და არა! თვითეულ მათგანს სისხლში აქვთ გამჯდარი, რომ თუკი ებრაელ ერს არსებობა უნდა, მაშინ ისიც უნდა ახსოვდეთ მარად, რომ ისრაელის სახელმწიფოა მათი არსებობის გარანტი(!) და დამერწმუნეთ ეს მათ კარგად ესმით. ზუსტად 11 საათზე გაისმა სირენის ხმა და მთელი ისრაელი ორი წუთით დადუმდა, მანქანებიდან მძღოლებიც გადმოვიდნენ და გაშეშებულებმა პატივი მიაგეს გმირთა ხსოვნას. შევყურებდი მათ გაქვავებულ სახეებს და გული თან მეთუთქებოდა და თან სიამაყით მევსებოდა....

მორჩა, ამ საკითხზე აღარ განვევრცობი, რომ იტყვიან, გამგები გაიგებს და ვინც ვერ გაიგებს იგი ჭირსაც წაუღია!

12 საათზე საქართველოს საელჩოში გველოდნენ. დიასახლისის საპატიო მისია ნოდარ დუმბაძის ქალიშვილს მანანა დუმბაძეს ეკისრა და უნდა ითქვას მან თავი შესანიშნავად გაართვა ამ მისიასა და არც ელჩს ბატონ პაატა კალანდაძეს დაუკლია ყურადღება. დიალოგი საქმიანი გამოვიდა, დაისახა თანამშრომლობის გეგმები, რომელთაც მხარში ამოუდგება, „გულთა კავშირის" წევრები. ერთი სიტყვით მოვლენებს რომ არ გავასწროთ, გეგმები დიდია და სერიოზული, დასასრულს მასპინძლებს არც სტუმარ-მასპინძლობის წესნი დავიწყებიათ და ასე მშვიდად დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

ისრაელი კი საზეიმოდ ემზადეოდა, რადგანაც საიუბილეო თარიღი ახლოვდებოდა - ისრაელის სახელმწიფოს არსებობის 70 წელი უსრულდებოდა და ჩვენც სიამოვნებით შევუერთდით ამ ჭეშმარიტად ეროვნულ დღესასწაულს.

ბეთლემი და ზეიმის საღამო

ბეთლემი პალესტინის ტერიტორიაზეა და იქ ჩვენ წაყვანას დიდი ვაჟკაცობა უნდოდა და ჩვენი მასპინძლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს გაბედეს. ბეთლემის ღვთისმშობლის ეკლესია იმ ადგილზეა აშენებული სადაც ქრისტე იშვა. საკმაოდ დიდი აღმართი იყო ფეხით ასასვლელი და ალბათ ვერც ავივლიდი, რომ არა ქალბატონი ლეილა ნოდია. მისი შემწეობით შევძელი ამ აღმართის ავლა. უნდა ითქვას ქ-ნ ლეილას რომ არ ეყოჩაღა, საკმაოდ ბევრს დავკარგავდი, ამ უცნაური საეკლესიო ნაგებობის ნიმუშზე. აქ თავს მართლაც იმ გარემოში გრძნობ სადაც ქრისტე უნდა შობილიყო. დიდი ხანი არ გავჩერებულვართ, მალევე ავიყარეთ გუდა- ნაბადი და მივაშურეთ იმ ადგილს სადაც გველოდნენ; ბათ-იამში მობრუნებულებს ქალაქი სრულ სამზადისში დაგვხვდა. სახელმწიფო ემზადებოდა დიდი ზეიმისთვის. პორტში ვისამხრეთ და თითო ბოთლი შესანიშნავი ლუდიც შევსვით, ისიც უნდა ითქვს, მთელი ეს ხანობა თავს მევლებოდა ბაღათერის და ქ-ნი ეთერი და პატრა კრიზისი მათ გადამატანინეს. მერე კი დაიწყო, ისრაელი გულწრფელმა ზეიმა მოიცვა და ეს ბედნიერი ფესტივალი გათენებამდე გაგრძელდა, ჩვენ კი დილით იერუსალიმი და მისი გოლგოთა გველოდა!

## „წმინდა გიორგის" საფლავის მცველი

ლუდისკენ მიმავალ გზაზე, რომელიც უდაბნოს ყვავილნარია და სხვა არაფერი და რომლის ყოველ ბუჩქი ცალკე მიყვანილი მილით ირწყვება, ერთი პორველთაგანი საოცრებაა. ჩვენ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიისკენ მივემართებით, ეკლესიისკენ რომლის წიაღში დასვენებულია წმინდა გიორგის ნეშტი იმ ჯაჭვთან ერთად, რომლითაც იგი აწამეს და ღელვა, ალბათ მხოლოდ ქართველთათვის დამახასიათებელი, ღელვა გვეუფლება - წმინდა გიორგი ხომ ქართველთათვის უპირველესი წმინდანია. ოდნავი თრთოლვით შევაბიჯებთ ტაძარში და სიღრმიდან თეთრი მარმარილოს საფლავის ქვა გვჭრის თვალს. მოწიწებით შევდივართ ფლიგელში, კუთხეში ახალგაზრდა კაცს ვამჩნევ, რომელიც თავს დაფოფინებს საფლავს. ბაღათერ არაბული იმ ჯაჭვს იკეთებს კისერზე, აქეთ-იქიდან მე და კოტე თავართქილაძეც „ვბოჭავთ" და ბაღათერი ასე ემთხვევა საფლავის ქვას. მე კი იმ ახალგაზრდა კაცს გამოველაპარაკე, ქართველი აღმოჩნდა, მალე საერთო ნაცნობები გამოგვიჩნდა და დიალოგიც შედგა. თემურ ქობალავა ამ ვაჟკაცის სახელი და გვარი, ბათუმელია და აი უკვე მეოთხე წელიწადია მითიური „გრაალის მცველივით" იცავს საფლავს, იცავს და უვლის, უვლის ვითარცა მორწმუნე მონა მისი და ცივ სიოსაც არ აკარებს. კიდევ სულ ცოტა ერთი წელი დავრჩები წმინდა გიორგის საფლავის მცველად და მერე ალბათ სხვა შემცვლისოამბობს წელგამართული რაინდი, შუა საუკუნეებში რომ გაბრუნებს და მისი შემხედვარე რწმუნდები, ვიდრე ქართველებს მსგავსნი „ მცველნი" ჰყავთ, მათ გადაშენება ვით უწერიათ. მინდა გადავეხვიო ამ „სულსა მაღალს", მაგრამ მოწიწებით თავს ვიკავებ. ერთად სადილზე გვთანხმდება, მერე დიდხანს ვლაპარაკობთ საქართველოს ისტორიაზე, მის პირველ მცველზე და ბოლოს სანთლებს ვანთებთ, გადახვეულნი ვემშვიდობებით. მოვდივარ და მომაქვს ძალა, ძალა, რომელიც ქართველებს უნდა გავუზიარო და ვუთხრა მათ - ნუ გეშინის ქართველნო, შენი გმირის უკვდავი სული კარგადაა დაცული და საჭირო დღეს იგი წამოიმართება და ვითარცა დიდგორზე კვლავაც წარუძღვება ქართველებს გამარჯვებისაკენ!

მაშ გამარჯვებით საქართველოვ, მაშ გამარჯვებით!

## მდინარე იორდანე და სტუმრად არქიტექტორთან

"ძველები" რომ იტყოდნენ, ლამის მზის ამოწვერვისას დავადექით თავს, ვის? ამას წამს მიხვდებოდა კაცი სისხამ დილით გაშლილ სუფრის არქიტექტონიკას, როს შეავლებდით თვალს. დიახ ჩვენ სტუმრად ცნობილ არქიტექტორს აბრაჰამ პაატა, იოსებს(იოსებაშვილს) ვეწვიეთ, რომელსც „გემის კაპიტნობა" უნდა ეთავა და ეს ერთ მუშტად შეკრული „გულთა კავშირი" და მისი სტუმრები მდინარე იორდანეში „უნდა განებანა! ოღონდ მანამდე.... ვერანდაზე გაშლილ მაგიდას „სისსხამ დილის" სუფრას რომ ეძახიან თვით ყოვლის მყოფელი ხელმწიფეც კი ვერ უპოვნიდა წუნს! ბატონი პაატა, მისი მეუღლე და ოჯახის წევრები რათა თავისუფლად გვეგრძნო თავი, პირთ ღიმილს როდი იშორებდნენ და თავს გვევლებოდნენ...

"ქართულმა სუფრამ" როგორც წესი „დროზე მეტი" გაქაჩა და ვიდრე ერთერთ ჩვენთაგანს არ „მოუვიდა აზრად" ჩვენი ჩამოსვლის მიზანი „აშლა" აღარც გაგვხსენებია და ვიდრე საღამოთი „მეორე განყოფილების გარანტია" არ მივიღეთ ფეხის მოცვლა არც „გვიფიქრია". ნელ-ნელა აიშალა „დელეგაცია" და გზას დავადექით. გზე ხშირად იორდანიის საზღვარს მიუყვება და ეს ყოველივეს თავის რომანტიულ ელფერსა ძენს.

და აი...

და აი ჯერ რამალაჰის ზღვის სარკე დავლანდეთ და მალე მდინარე იორდანეს კონტურებიც გამოჩნდა, შეაბიჯებ თუ არა იმ ტერიტორიაზე მრავალ ენაზე წერილი ოთხთავის თავს ჰკიდებ თვალს და ჩვენდა სასიხარულოდ ქართულსაც ვლანდავთ. მე პირი მოვიბანე და თმაზე ხელი გადავისვი, ბაღათერმა კი ჩაყვინთა, უამრავ ტურისტებს შორის გაისმოდა ერთი ჟივჟივი. „განბანვის შემდეგ" იქვე ამოხეთქილ გოგირდის ტბას მივაშურეთ და უმრავლესობა მოთუხთუხე წყქლს გადაეშვა.

დრო კი არ მიდიოდა, მიჰქროდა გაჭენებული ულაყივით, სადაილის დროაო გამოგვიცხადა ბატონმა პაატამ და ჩვენც ისედაც „მაძღარნი" დავემორჩილეთ. სადილზე ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ მე ასეთი გემრიელი თევზი არ გამიშინჯავს და წამს ბიბლიური თქმულება გამახსენდა ქრისტემ როს თევზით დააპურა ზღვა ხალხი.

სადილის შემდეგ გავიარეთ და რობერტ ადარის კუთვნილ მიკრო ავტობუსში მოვიყარეთ თავი, მოვიყარეთ რათა „მეორე განყოფილება", უიმე ბოდიში „მესამე განყოფილება" დაგვეწყო. ბატონი პაატას ოჯახში გაშლილი

გაგრძელება გვ. 19

ემიგრანტის ჩანაწერები

# სინათლე ღამეში



ორმოცდაათ წელს გადაცილებულმა გულნარამ ტელევიზორი გამორთო და კედელზე მოწიკწიკე საათს გახედა. საათის ისარი ღამის ათ საათს აჩვენებდა. ტახტიდან წამოდგა, დამამშვიდებელი აბი მიიღო და საწოლში ჩაწვა. ვიფიქრე ტელევიზორით გავერთობი–მეთქი და ნერვები უფრო ამიშალა, მეათასე მნიშვნელობის საკითხებზე ისე საუბრობენ, თითქოს ძირითადი პრობლემები მოგვარებული იყოს. არავის აწუხებს, მოხუცს თავისი პენსია ერთი კვირაც რომ არ ჰყოფნის. არავის აწუხებს, ყველა ასაკის ადამიანი ქუჩაში ხელგაწვდილი რომ დადის. რას გადავაყოლო გული? სერიალებს შეგნებულად არ ვუცქერ. განა რა თემა აქვს რეჟისორს შერჩეული, რომ რამდენიმე სერიაში ვერ ჩაატიოს? თვეობით და წლობით ერთიდაიგივეს ცქერა გაგონილა? – ფიქრობდა იგი და მოპირდაპირე კედელზე ლამაზ ჩარჩოში ჩასმულ თავისი ერთადერთი ქალიშვილის პორტრეტს შესცქეროდა. გულნარას ქმარი ადრე დაეღუპა და ერთი ქალიღა შერჩა. მან ოჯახი ვერა და ვერ შექმნა, მერე სამსახურიც დაკარგა და სამი წლის წინ იტალიას მიაშურა. ჩემი ეთერი აქ რომ იყოს, ასე არ გამიჭირდებოდა – ჩაილაპარაკა მან, თუმცა... ჩაფიქრდა ცოტა ხანს, როგორ ვიარსებებდით მაშინ? ვერ ვიარსებებდით! – დაასკვნა ფიქრის შემდეგ, მაგრამ სადამდე გაუძლებს ეთერი ასეთ მძიმე სამუშაოს? თვითონ ჯანმრთელი არ არის და მთლად დავრდომილ მოხუცს უვლის, მის აწევ–დაწევაში წელს იწყვეტს. აიჩემა, თბილისში სამოთახიანი ბინა უნდა ვიყიდო, რომ ბინა მაინც მქონდეს გარანტირებულიო. ჰმ, – ირონიულად ჩაეცინა გულნარას, იქნება კი გარანტირებული? ვინ იცის, ვის მოეპრიანება ხვალ ტერიტორიის გაყიდვა, მოგადგებიან და ასე სიმწრით ნაყიდი ბინიდან გამოგასახლებენ. ცნობას მოგთხოვენ ბეჭედდასმულს, სად მუშაობდი, რამდენი გქონდა შემოსავალი, ბინა რომ შეიძინეო. ვინ მისცემს ამ ცნობას? ის დავრდომილი მოხუცი, პირს რომ ძლივს აღებინებს ლუკმის გადასაყლაპად? ფული შეინახო და... კაცმა არ იცის როდის გადაგიქცევენ ქაღალდებად. ჩვენში ცხოველს უფრო უკეთესი პირობები აქვს, ვიდრე ადამიანს. გულნარამ ამოიოხრა, შუქი ჩააქრო და თვალები დახუჭა, მაგრამ ვერა და ვერ დაიძინა. შუქი ისევ აანთო და კარადში წიგნებს დაუწყო თვალიერება. ემილ ზოლას „ქალთა ბედნიერება“ აიღო და კითხვა დაიწყო. რამდენიმე გვერდი გადაიკითხა და ფიქრები კვლავ საჭირბოროტო საკითხებზე გაექცა. როგორ ინტერესით ვკითხულობდი ადრე მხატვრულ ლიტერატურას და... ახლა გულს ველარ ვუდებ. კითხვისადმი ინტერესი ახალგაზრდობის, თუ სხვა ცხოვრების გამო იყო? არ გვქონდა დალხენილი ცხოვრება, მაგრამ ჭირსაც ვუძლვებოდით და ლხინსაც. სხვა ქვეყანაში არ გვქონდა გასაქცევი ლუკმა–პურის საშოვნელად. რას მომცემს ახლა ცოდნა გასულ საუკუნეში რა ხდებოდა? ემილ ზოლას გმირები სად მუშაობდნენ და ერთმანეთთან რა რომანები ჰქონდათ? სულიერ საზრდოს? – გულნარას კვლავ ირონიულად ჩაეცინა. ჩემი სულიერი საზრდო იქნებოდა, ეთერი რომ აქ მყავდეს და საარსებო მინიმუმი გვქონდეს. უპატრონო ბავშვს გავზრდიდით და მადლი იქნებოდა. როცა არსებობის უფლება წართმეული გაქვს, რომელ სულიერ საზრდოზეა საუბარი? გულნარას თავისი მეგობრის ქალიშვილი მოაგონდა. იგი შვიდ წელზე მეტხანს მუშაობდა საბერძნეთში და ერთი თვის წინ დაბრუნდა. გულნარა დეიდა! – უთხრა მან, ღამე რომ გამეღვიძებოდა და მეგონა სახლში ვარ, უცებ გამიელვებდა, უცხოეთში რომ ვარ უთვისტომო, ახლობლებისგან შორს, მონასავით რომ ვემსახურები უცხოს, ჩემს ნებაზე რომ ვერსად წავალ, მომეძალებოდა ცრემლები და დილამდე ვტიროდი. მერე ვაიძულე თავი, თავში ჩამენერგა, რომ თითქოს პატიმრობაში ვარ და შვიდი წელი მაქვს მოსჯილი. უნდა გამეძლო როგორმე ამ დრომდე. აჰაა დავბრუნდი, თვეზე მეტია აქა ვარ, ნატვრა ავისრულე, ყველა მოვინახულე, მაგრამ აქ იმდენი თავსატეხი დამხვდა, იმდენი უსიამოვნება მხვდება, უფრო მეტი უკანონობა, ვიდრე იყო. ამოვიდა ყელში ყველაფერი, ახლა გული ისევ საბერძნეთისკენ მიმიწევს. ერთი წელი დავრჩები და მერე ისევ წავალ – დაბეჯითებით უთხრა გულნარას. ამ მოგონებამ გულნარა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ვინ იცის, იქნებ ჩემმა ეთერმაც იქ დარჩენა არჩიოს? რა მეშველება მაშინ? გულნარა ბალიშში თავქვე ჩაემხო და აქვითინდა, დაგროვებული ბოღმა ცრემლებს ამოაყოლა და დარდისგან დაქანცულს მალე ჩაეძინა.

გულნარას ღამის ოთხის ნახევარზე გაეღვიძა და მაგიდის ნათურის ასანთებ ღილაკს დაუწყო ძებნა. ქუჩაში ვიღაცამ ჩაახველა. ნეტა, ვინ არის ამ შუა ღამეს ქუჩაში – დაინტერესდა იგი, წამოდგა და სარკმლის ფარდა გასწია. ღრუბლებში ნახევრად მიმალული მთვარე ოდნავ ანათებდა ჩაბნელებულ ქუჩას. გულნარამ ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდგარ სამსართულიანი სახლის წინ, ორი საეჭვო პირი შენიშნა. ისინი პირველი სართულის ფანჯარას ათვალიერებდნენ. გულნარა შიშმა შეიპყრო. აქ ხომ მისი ახლობელი ცხოვრობს, ისიც მარტოხელა. ვაჟებმა პუტჩის შემდეგ, საყოველთაო არეულობის დროს, რუსეთს მიაშურეს და ბიზნესს მოჰკიდეს ხელი, რუსის ქალები შეირთეს და დაოჯახდნენ. თავდაპირველად, თითქოს ყველაფერი კარგად აეწყო, მაგრამ შემდეგ რუსებმა შეავიწროვეს, თუ თავად ვერ გაართვეს საქმეს თავი, გაკოტრდნენ და დიდი ვალი დაედოთ. თავს ძლივს ირჩენენ, მე როგორღა მომეხმარებიან, შენ რომ არ მეხმარებოდე აქამდე სულს ვერ მოვიტანდი – შესჩივლა გულნარას ქალმა. არამზადები! – გაიფიქრა გულნარამ, იციან, შვილები რუსეთში რომ ჰყავს და ფიქრობენ მილიონები ექნება ბალიშქვეშ დაწყობილი. ბინაში რომ შეიჭრნენ, გული გაუსკდება საწყალს. მე შენ გეტყვი, დაინდობენ, ხანდაზმულობის გამო. გვიმალავო – ეტყვიან და აწამებენ საცოდავს. ტელეფონით მაინც შემეძლოს დაკავშირება, გაუთიშეს გადასახადის გადაუხდელობის გამო. პოლიციაში დავრეკავ – გადაწყვიტა უცებ და ტელეფონთან მიიჭრა, ყურმილი აიღო და ნომრები უნდა აეკრიბა, რომ ყურმილი ხელში გაუშეშდა. იქნებ პოლიციასთან შეკრულები არიან. შესაძლოა ტელეფონის ზარი საბაბად გამოიყენონ და სულ სხვები დააპატიმრონ, ვინმეს ცოდვაში არ ჩავდგა ფეხი. ყურმილი ისევ დადო და სკამზე მოწყვეტით დაეშვა. არაფერს თავისი სახელი არა აქვს. სახელმწიფო სახელმწიფოს არ ჰგავს და პოლიცია–პოლიციას. ფანჯარასთან ისევ მივიდა და გაიხედა. მეზობელ ბინაში შუქი აინთო. საეჭვო პირები კედელს აეკრნენ, ფეხაკრეფით გაუყვნენ ქუჩას და მოსახვევში გაუჩინარდნენ. როგორც სჩანს, მეზობლებმაც შენიშნეს ისინი – შვებით ამოისუნთქა გულნარამ და ისევ საწოლს მიაშურა. ქვეყანა დღითიდღე იძირება განუკითხაობის ჭაობში და ჩვენ კი გვაიმედებენ, საქართველოში ანტიქრისტე ტახტს ვერ დაიდგამსო. დადგმული არა აქვს? კრიმინალების ბატონობის ხანა დაგვიდგა, აქედან კი კანიბალიზმამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. აბა, კრიმინალი იოსელიანი უკეთესს რას დანერგავდა ქვეყანაში? იქნებ შესაძლებელი იყო ეროვნული ხელისუფლების გადარჩენა? იქნებ მეტი მონდომება უნდა გამოგვეჩინა? ვერ გამოვიყენეთ შანსი და აი, შედეგი. სამაგალითოდ დავისაჯეთ. იქნებ კიდევ მოგვეცეს ერთი შანსი, თორემ საერთოდ გადაგვაჯიშებენ და გაგვაქრობენ – ფიქრობდა ძილგატეხილი გულნარა. ხომ არ მობრუნდნენ ის არამზადები – მოაგონდა უცებ გულნარას და ჩქარი ნაბიჯით ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია და გაიხედა. ქუჩაში არავინ ჩანდა. არე–მარე განათებული იყო. მთვარე გამოსულიყო ღრუბლებიდან და დღის შუქი შემოჰქონდა უკუნ ღამეში.

ნინო კეკელიძე

ჯანმრთელობის გვერდი

# კარდიოქირურგი ი. ემეც: წნევა ყოველთვის 120/70 ზე რომ იყოს, მიირთვით 1 ჭიქა ეს სასმელი უზმოზე

არც თუ ისე დიდი ხნის წინ მაღალი წნევა რეგულარულად მაწუხებდა. ინტერნეტ სივრცეში საკმაოდ პოპულარული და ცნობილი კარდიოქირურგის, ილია ემეცის სტატიას წავაწყდი, რომელშიც ის წნევის დასარეგულირებლად რეკომენდაციას ერთ ძალიან მარტივ ხალხურ საშუალებას უწევდა. გადავწყვიტე, ეს საშუალება, რომელიც მხოლოდ რამდენიმე იაფი და 100%-ით ნატურალური ინგრედიენტებისგან შედგება, საკუთარ თავზე გამომეცადა. მინდა გითხრათ, ხანმოკლე დროში მიღებული შედეგით სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი. სწორედ ამიტომ, დღევანდელ სტატიაში მინდა ამ საშუალების შესახებ გესაუბროთ.

## ჯანჯაფილის, ლიმონისა და ნივრის ნარევი



ამ რეცეპტის სამშობლო - გერმანიაა. ელექსირი, რომლის დამზადებასაც ახლა გასწავლით, შედგება ძლიერი ნატურალური ინგრედიენტისგან: ჯანჯაფილი, ლიმონი და ნიორი. თითოელი პროდუქტი საოცრად სასარგებლოა, ხოლო მათი კომბინირების შედეგად ჩვენ ვიღებთ სასწაულმოქმედ საშუალებას, რომელიც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემის გადაჭრაში გვეხმარება.



ნიორი კარგად არის ცნობილი საკუთარი ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური და სოკოს საწინააღმდეგო თვისებებით. მის შემადგენლობაში შედის ჩვენი ორგანიზმის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელი შემდეგი მინერალები: ნატრიუმი, კალიუმი, კალციუმი, თუთია, ფოსფორი და სპილენძი. გარდა ამისა, ნიორი მდიდარია C და B6 ვიტამინებით, მანგანუმითა და უჯრედისით.

ჯანჯაფილის ფესვი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბუნებრივი ანტიოქსიდანტი. განსაკუთრებით სასარგებლო მოცემული პროდუქტი სწორედ იმ ადამიანებისთვისაა, რომლებიც საჭმლის მონელებასთან დაკავშირებული პრობლემებისგან იტანჯებიან. აქტიური ნივთიერება ჯინჯეროლი, რომელსაც ჯანჯაფილი შეიცავს, არაჩვეულებრივია მსხვილი ნაწლავის კიბოს სამკურნალოდ და



მისი პროფილაქტიკისთვის.

და ბოლოს, ლიმონი - C ვიტამინის უდიდესი ბუნებრივი წყარო. ეს ციტრუსი არეგულირებს pH ბალანსს ორგანიზმში, აძლიერებს იმუნიტეტს, აჩქარებს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს, ათხევადებს სისხლს, აუმჯობესებს მის მიმოქცევას და ა.შ.

ნივრის, ლიმონისა და ჯანჯაფილის ნარევი საოცრად ეფექტური საშუალებაა დაბინძურებული სისხლძარღვების გასაწმენდად და წნევის დასარეგულირებლად.

ინგრედიენტები:

4 ლიმონი კანთან ერთად;
4 თავი ნიორი;
2 ს.კ. გახეხილი ჯანჯაფილი;
2 ჭიქა (400 მლ) წყალი.

მომზადება:

კარგად გარეცხეთ ლიმონი და ჯანჯაფილი;

დაჭერით ლიმონი თავის კანთან ერთად პატარა ზომის ნაჭრებად;

გაასუფთავეთ ჯანაჯფილი და ნიორი კანისგან;

თითოეული ინგრედიენტი მოათავსეთ ბლენდერში და ურიეთ მაღალ მაღალ სიჩქარეზე ერთგვაროვანი მასის წარმოქმნამდე.

მიღებული ნარევი მოათავსეთ ქვაბში, დაასხით 2





ჭიქა წყალი და მუდმივი მორევის პირობებში მიიყვანეთ დუღილამდე.

გადმოდგით ნარევი ცეცხლიდან, მიეცით დრო გასაგრილებლად და გადაწურეთ.



მზა სითხე გაანაწილეთ მინის ქილებში, რომელთაც კარგად ეფარება თავსახური და შეინახეთ მაცივარში.



მიირთვით ეს საშუალება 1 ჭიქის ოდენობით საუზმობამდე 2 საათით ადრე. კურსის ხანგრძლივობა - 3 კვირა. 3 კვირის შემდეგ აუცილებელია 1 კვირიანი შესვენების გაკეთება და შემდეგ მისი გამეორება.

ამ საშუალების დახმარებით თქვენ ეფექტურად გაიწმენდთ არტერიებს უმოკლეს ვადაში, დაირეგულირებთ და დაისტაბილურებთ სისხლის წნევას, გაიძლიერებთ იმუნიტეტს და გაიუმჯობესებთ ზოგად ჯანმრთელობას.

*წყარო: https://rchevebi.com/index.php?newsid=21277*

## სიმაღლეში ზრდის ხალხური რეცეპტი

ზრდის სტიმულაციისთვის არსებობს ასეთი ხალხური საშუალებაც: 25 ცალი ასკილი დაჩეჩქვეთ და დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დააყენეთ მთელი ღამე, მეორე დილას გადაწურეთ და დაამატეთ ერთი ჭიქა გამოწურული სტაფილო, ერთი ჭიქა გაწურული ჭარხალი, 1 ჭიქა ბროწეულის წვენი, 2 სუფრის კოვზი თაფლი და 2 ცალი გაწურული ლიმონი. ამგვარად მომზადებული ხსნარის დალევას დაიწყებთ რვის ნახევარზე (დილით) და ყოველ საათში სვამთ ერთ ჭიქას. ეს კეთდება თვეში ერთხელ სამი თვის განმავლობაში. შემდეგ სამი თვე ისვენებთ, შემდეგ ისევ სამჯერ გააკეთებთ სამი თვის განმავლობაში და ასე შემდეგ.

***წყარო mkurnali.ge***




ცისქვეშეთის ქანჩახიან თემშარებზე ხეტიალისას სამსალა მეტი სიჭარბით რგებია, ვიდრე ბადაგ-შარბათი, ოღონდაც, იმ სამსალანარევ წლებშიც ამ სულმაღალ კაცს მაინც მარტოოდენ მადლიანი ფრაზები დასცდენია განგებისადმი. ამგვარი ქრისტიანული მრწამსით წვრთნიდნენ ოდესღაც ბატონ შოთა ხეცურიანს მისი გონიერი მშობლები და აკი, ბატონი შოთაც ღირსეული მოწაფე გამოდგა კიდეც. მას მერე მრავალმა ქარტეხილმა გადაიარა მის თავზე, თუმცაღა, მუდამ მისთვის ჩვეული ვაჟკაცური ჭირთათმენით ხვდებოდა საწუთროს ქედძაღლ განსაცდელს. . .

აფხაზეთის ზღაპრულ სანახებში, აფხაზურ-ქართულ კულტურულ არეალში მდინარებდა და რვალდებოდა ბატონი შოთას სულიერება, მისი კაცური, პიროვნული გონსაწიერი თუ სამომავლო მეცნიერული ხედვა-ცნობიერება. ზემოთქმული (აფხაზურ-ქართული) კულტურული გარემო გახდა ის რვალივით მკვიდრი ბალავერი, საიდანაც ამოიკვირტა და უპირატესი ღირსებით იქნა ხელდასხმული შოთა ხეცურიანი, როგორც პიროვნება-სხვათაგან გამორჩეული სულიერი სისპეტაკით და საოცრად ჰარმონიული კაცური ფასეულობებით.

თავისი ხანგრძლივი სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობის პერიოდში შოთა ხეცურიანის ერთადერთი წარმმართველი ძალა იყო და ამჯერადაც არის მარტოოდენ სინდისი, ნამუსი, ის ფესვძლიერება, რასაც ეფუძნება ერის მამის, ტიტანი ილიას მარადუკვდავი ტრიადა: - „ენა, მამული, სარწმუნოება“...

აფხაზეთიდან ერთად მოვდივართ მე და ჩემი მეგობარი შოთა ხეცურიანი, დღესაც სიყვარულით და აღტაცებით ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს. უნდა ვთქვა, შოთა ხეცურიანი მხოლოდ მეგობარი არ არის, იგი ამასთან ჩემი მოძღვარ-დამრიგებელიც გახლავთ. ამ ფაქტის აღნიშვნისას ხშირად სიამაყის გრძნობა მეუფლება ხოლმე. შოთა ხეცურიანი გახლავთ სტუდენტ-ახალგაზრდობის საყვარელი ლექტორი, ძლიერი პოლემისტი, გულწრფელი და სიმართლის გზით მოარული ქართველი...

„წლები წასულან თქარუნით
ილევა მათი ფეხის ხმა
და ქროლა ნიავქარული
სიზმრებში შემომეხიზნა“ –

წერს თავის წიგნში ჩემი მეგობარი პოეტი თემურ ჭუმბაშვილი და ამ ბრწყინვალე სტროფის ფრაზები ზედმიწევნით ესადაგება ბატონი შოთას ბობოქარ და ღრმაშინაარსიან ცხოვრებას... „წლების თქარუნში“ ვერც კი შეუნიშნავს შოთა ხეცურიანს, რომ იგი 90 წლისა მოყრილა...

მრავალი თაობისთვის კაცობის ეტალონს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ღირსების ორდენის კავალერს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერებისა და კულტურის დამსახურებულ მოღვაწეს, ეკონომიკის დარგში უამრავი სამეცნიერო სტატიის, მნიშვნელოვან სამეცნიერო-პედაგოგიკურ შრომათა და გამოკვლევათა ავტორს, თვალსაჩინო მეცნიერს, ჭეშმარიტ მოძღვარსა და საზოგადო მოღვაწეს - ბატონ შოთა ხეცურიანს მიმდინარე წლის 10 მაისს 90 წელი შეუსრულდა.

მივესალმები და მხურვალედ ვულოცავ ბატონ შოთას დაბადების დღეს. მიხარია, რომ ამ სიბრძნის ჟამსაც იგი ჩვეული შემართებით მიუყვება ჭრელი სამზეოს ალმართს და მგონი, ასწლიანი ცხოვრების ბარიერის დაძლევას გუმანობს... ღმერთი შეეწიოს ბატონ შოთას ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმაში...



*გულითადი სიყვარულით და პატივისცემით -*

**როსტომ შამუგია,**

*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი*

# ორშაბათშიიდან ორშაბათამდე, ანუ საქართველოს მწერალთა კავშირის დელეგაციის ვიზიტი ისრაელში

*დასაწყისი გვ, 16*

სუფრა, არქიტექტურის შედევრივით ელვარებდა და....

და აქაც გამთენიამდე გაისმოდა: – უფალო ამ ოჯახს მრავალჟამიერ სიკეთეს ნუ მოაკლებო და მართლაც ნუ მოაკლებ უფალო-ამენ!

## იერუსალიმი, ხაიფა და გამოსამშვიდებელი სადილი

მიეც კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმერთისა - ბრძანა ქრისტემ და ამ წამიდან საკეისროს მბრძანებლის კვერთხი რომს მიეკუთვნა, ხოლო ზეციური ტახტი იერუსალიმს ერგო. დროთა განმავლობაში რომი დაემხო ხოლო იერუსალიმისათვის დღესაც გააფრთებული ბრძოლა მიმდინარეობს. მივყვებოდით გოლგოთის გზას და მართალი გითხრათ ფიქრთა თავი ვითა მქონდა. რაღაც სიმძიმე მხრებზე მაწვებოდა და მთრგუნავდა.

და აი ისიც, მაცხოვრის საფლავი. იმ პატარა მოედანზე მილეთის ხალხი ირეოდა და უზარმაზარი რიგი იდგა. წელწახრილი შევედი იქ, სადაც უფლის ნაწამები სხეული განისვენებდა, მირონის სუნი გვაბრუებს და საფლავის ქვაზე სანთლები და ჯვრები დავალაგე, ამიერიდან ისინიც ნაკურთხნი და მირონცხებულნი არიან. დიდხანს არ მაჩერებენ და ვტოვებ იმ პატარა სენაკს, სადაც ყოველწლიურად სასწაულებრივი ცეცხლი გადმოდის და იქვე ეზოში ლოდზე ჩამოვჯექი. ხუთი წუთიც არაა გასული, რომ რადიო რეპროდუქტორში ომარის მეჩეთიდან, იქ სადაც ადრე სოლომონის ტაძარი იდგა, მოუძინის ხმა იპყრობს არემარეს. უცნაური კონტრასტია, დაბლა ხალხი ალილუიას გალობს, ხოლო ზემოდან ომარის მეჩეთიდან, ალაჰის სადიდებელი სურები ჩაგესმის და ეს ყველაფერი მშვიდობიანი თანაარსებობის გარემოში ლამის ერთ გოჯ მიწაზე ხდება. გაოგნებული ვუსმენ და ვუყურებ ამ მისტერიას და რწმენა მიბრუნდება, რომ ოდესმე კაცობრიობა აღიარებს იმას, რომ ყველა ერი, გამომდინარე სოციალური პირობებისგან, ღმერთთან თავ-თავიანთი განსაკუთრებული გზით მიდიოდა და მაცხოვარი კი ყოველთვის ერთი იყო, თუ გინდა მას ადონაი, ალაჰი, ქრისტე ან სხვა რამ უწოდე.

გოდების კედელთან ჩავდივართ, შუბლს ვაპყრობ კედელს და ჩურჩულით ჩემი საქართველოსადმი წყალობასა ვთხოვ!

ეს ბოლო საღამოა ისრაელში ჩვენი ყოფნისა. ხაიფას ვათვალიერებთ, მართლაც წარმტაცია ყოველივე და ნუგზარ ჯანაშვილის ოჯახისკენ მივეშურებით. დარბაზში სუფრა სპარსული ხალიჩასავით ზიმზიმებს, ჩიტის რძეც რაია ჩიტის რძეც უშოვნია ნუგზარს და იწყება, იწყება ნამდვილი სტუმარ-მასპინძლობის ფიესტა. იუზა მოშიაშვილის ბულბულისებური ხმა დაღლილობას გიამებს, კოტე თავართქილაძესთანაც იჭერს ხმის ტემბრს.... ერთი სიტყვით ქეიფია ნამდვილი, ნამდვილი ქართული ქეიფი! ნუგზარ ჯანაშვილიც, რომელსაც თამადობა ბაღათერთან შეუთავსებია, ციბრუტივით ტრიალებს და ამის შემხედვარე იფიქრებ კაცი, ამ შესანიშნავი პოეტისა და ესეისტის ინტელექტის გარშემო ტრიალებს ქვეყანაო....

გვიან კი მანქანა გვაკითხავს და აეროპორტისკენ ჰერი, ჰერი! განშორების სიცივე შემოგვპარვია, მაგრამ ქალბატონ ლეილა ნოდიას ხმა აბრუნებს სითბოს:

ეს მხოლოდ დასაწყისია და წინ კიდევ უფრო დიდი კავშირი გველისო. უზაკველობას ბრძანებს ქ-ნი ლეილა, მივდივართ რადგან დავბრუნდეთ, მივდივართ რადგან ახლა ისინი გვესტუმრენ, მივდივართ რომ მოგვენატროს ურთიერთი. ბოლოს კი, ყველაფრისადმი, რომელიც მართლა გულის კავშირიდან იწყება, დიდი მ ა დ ლ ო ბ ა !

***21. 04. 2018***



*ქალაქ აშდოდის ვიცემერი მოშე ბოთერაშვილი აჯილდოვებს ცნობილ ქართველ მწერალს, მრავალი ჯილდოსა და პრემიების ლაურეატს ბატონ ნოდარ კობერიძეს ქართულ-ებრაულ კულტურულ საგანმანათლებლო ურთიერთობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.*

# ბატონიშვილის შეთქმულება

XVIII საუკუნის საქართველოს ისტორია ბევრ მნიშვნელოვან მოვლენას, ამბავს, ფაქტს შეიცავს, რომლის გაცნობა, შესწავლა საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ იმდროინდელ რეალობას, დავინახოთ თუ როგორი იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ყველა ეპოქას ჰყავდა თავისი გმირები და ანტიგმირები, ხშირად არსებობდნენ მედროვენი რომელთა „საქმენი საგმირონი" ზიანს აყენებდნენ ჩვენს პატარა ქვეყანას, თანაც იმ ფონზე რომ საქართველო არ იყო ერთიანი, ის მოიცავდა სხვადასხვა სამეფო-სამთავროებს. მოღალატე თავადები საკუთარი მეფის მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში უკავშირდებოდნენ საგარეო მტრებს.

დღევანდელ სტატიაში ჩვენ ვისაუბრებთ პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაზე, მაგრამ სანამ უშუალოდ ამ საკითხს შევეხებით მოკლედ მიმოვიხილავთ მანამდე განვითარებულ მოვლენებს, რომლებიც საბოლოო ჯამში მიზნად ისახავდა სამეფო ხელისუფლების არა მარტო დასუსტებას, არამედ მის შეცვლასაც.

აღმოსავლეთ საქართველოს ერთმანეთს სამი დიდი იმპერია ეცილებოდა: ოსმალეთი, ირანი და რუსეთი. ქართლისა და რუსეთის კოალიცია არ შედგა. მეტიც ის ოსმალეთს დაუზავდა. 1724 წლის ივნისში კონსტანტინოპოლის ზავით რუსეთმა მიიღო კასპიის ზღვის ნაპირები, სანაცვლოდ კი ოსმალეთს აღმოსავლეთ ამიერკავკასია დაუთმო. უმოქმედოდ არც ირანი გაჩერებულა, შაჰმა თამაზ II-მ ქართლის მეფობა კახეთის მეფე კონსტანტინე II-ს (იგივე მაჰმად ყული-ხანი, ერეკლე I-ის ძე,) მისცა, მაგრამ მას დიდხანს არ უმართავს ქართლი, მალე ოსმალებმა თბილისი დაიკავეს, კონსტანტინე დააპატიმრეს და ქართლის გამგებლობა ჯერ ბაქარ ვახტანგის ძეს გადასცეს, შემდეგ კი ვახტანგ VI-ის ძმას იესეს, რომელიც უკვე მეორედ გამაჰმადიანდა და მუსტაფა ეწოდა. (წინა სახელი იყო ალიყული-ხანი). ამ პერიოდიდან იწყება ე.წ. „ოსმალობა". 1724 წლის ივლისში რუსეთის დახმარების მომლოდინე ვახტანგ VI-მ (ქართლის ჯანიშინი 1703-1714 წ.წ. მეფე 1716-1724 წ.წ.) მიიღო გადაწყვეტილება სამშობლო დაეტოვებინა. აგვისტოს ბოლოს მეფე რაჭის გზით ჩერქეზეთში ჩადის, ხოლო ნოემბერში ის უკვე ასტრახანშია, თან დიდი ამალა ახლდა - 1200 კაცი. მეფის წასვლამ რთულ ვითარებაში ჩააგდო როგორც ქართლი, ისე აღმოსავლეთ საქართველო. 1727 წელს იესეს გარდაცვალების შემდეგ ოსმალებმა ქართლი 6 ნაწილად დაყვეს და ქართველ ფეოდალებს ჩააბარეს.

კონსტანტინე მეორე ახერხებს ოსმალთა ტყვეობიდან გაქცევას, კახეთში გადასვლას და იქედან ცდილობს იმოქმედოს ოსმალთა წინააღმდეგ, მაგრამ იგი 1732 წელს მოკლეს. ტახტის მემკვიდრე კონსტანტინეს ძმა თეიმურაზ მეორე ახერხებს ოსმალებთან საერთო ენის გამონახვას და სამმართველოდ იღებს კახეთს. ზოგადად თეიმურაზ მეორე საკმაოდ ჭკვიანი მმართველი, მოქნილი დიპლომატი იყო და ამას შემდეგ არაერთხელ დაამტკიცებს. მას ცოლად ჰყავდა ვახტანგ VI-ის ასული თამარი. XVIII საუკუნის 30-იან წლებიდან საკმაოდ გააქტიურდება ირანი, ეს კი დაკავშირებულია მის სარდალთან თამაზ ყული-ხანთან, შემდეგში ცნობილი როგორც ნადირ შაჰი. ეს უკანასკნელი ქართლ-კახეთის მმართველად ნიშნავს თეიმურაზის ძმის დავითის (იმამ ყული-ხანი) ძე ალექსანდრეს. იწყება „ყიზილბაშობა". ნადირ შაჰს სურს თეიმურაზთან მოაგვაროს საქმე, მის ასულ ქეთევანს შერთავს საკუთარ ძმიშვილს ალი ყული-მირზას, ხოლო ვაჟ ერეკლეს ინდოეთის ლაშქრობაში წაიყვანს. ყიზილბაშების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებენ ქართლის თავადები შანშე ქსნის ერისთავი, გივი ამილახვარი და სხვ. მათმა დაუმორჩილებლობამ, როგორც ნიკო ბერძენიშვილი მართებულად აღნიშნავდა, „აჯანყებულთა მხნე ბრძოლამ აიძლა ნადირ შაჰი, სავსებით უარეყო თავისი პირვანდელი გეგმა საქართველოს მიმართ და „ყიზილბაშობა" აქ თანდათან „ქართველობით" შეეცვალა". 1744 წლის 1 ოქტომბერს სვეტიცხოვლის ტაძარში თეიმურაზ მეორე ქართლის მეფედ ეკურთხა, ხოლო მისი ვაჟი კახეთის მეფე გახდა (ერეკლე მეორე). ქართლში არსებობდა სხვადასხვა ჯგუფი, რომლებსაც არ სურდათ კახელი ბატონიშვილის გამეფება ქართლში, ისინი ტახტის კანონიერ მემკვიდრედ ვახტანგ მეექვსესა და მის მემკვიდრეებს აღიარებდნენ.

1747 წლის 20 ივნისს ნადირ შაჰი მოკლეს, ტახტს იკავებს მისი ძმიშვილი ალი ყული-ხანი, რომელიც იწოდა ადილ შაჰად (სამართლიანი შაჰი). ეს უკანასკნელი როგორც უკვე ვიცით თეიმურაზის სიძე გახლდათ, რაც საკმაოდ კარგად გამოიყენა ქართლის მეფემ. ყაზვინში წასვლამდე თეიმურაზმა ქართლის გამგებლობა ჩააბარა ერეკლესა და აბდულაბეგ (არჩილი) იესეს ძეს. როგორც პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს თეიმურაზს ეს ნაბიჯი იმიტომ გადაუდგამს, რომ „მეფე ერეკლე მუდამ ქართლისათვის ვერ მოიცლის". ქართლში კარგად იცოდნენ, რომ თეიმურაზის მეუღლე თამარი ვახტანგის ასული იყო, იმის გამო რომ ბაქარ ვახტანგის ძე ქვეყანაში არ იმყოფებოდა ქართლის ტახტის რეალური პრეტენდენტი იყო იესეს ვაჟი აბდულა-ბეგი. მას საბატონიშვილოდ მიეცა სამშვილდე, რომელიც საკმაოდ გააძლიერა და ახლა უკვე მომხრეებსაც იკრებდა გარშემო. მას მიემხრო დაღესტნელი ფეოდალები. მაგრამ ერეკლემ ენერგიული მოქმედებების წყალობით მოახერხა და აბდულას ეს გამოსვლა აღკვეთა. ღალატისთვის მან დასაჯა ყაზახ-ბორჩალოელები. ერეკლემ შეუტია ყიზილბაშებს და მათგან გაწმინდა თბილისის ციხეები, ეს მოვლენები 1748 წელს მიმდინარეობდა. სწორედ ამ წელს გაეგზავნა ირანის შაჰს უკანასკნელი ხარკი. კახეთის მეფემ განიმტკიცა პოზიციები ქართლში. მიუხედავად იმისა რომ ირანში შაჰის ტახტზე რამდენჯერმე შეიცვალა მმართველი (ადილ შაჰი დააბრმავა და ჩამოაგდო მისმა ძმამ იბრაჰიმ-მირზამ, შემდეგ ტახტს იკავებს შაჰ როჰი), ქართლისა და კახეთის მეფეებმა მოახერხეს ირანის მმართველ წრეებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება. პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს: „1749 წლის მარტში იგი (თეიმურაზი) სამშობლოში დაბრუნდა და თან მოიტანა შაჰის სიგელი იმის შესახებ, რომ ყაზახ-ბორჩალო ქართლ-კახეთის სამეფოს კუთვნილება იყო". თეიმურაზ-ერეკლეს წინააღმდეგ გამოსვლამ უკვე მათი მმართველობის დასაწყისშივე იჩინა თავი. ამის შემდეგ ასპარეზზე გამოდის პაატა ბატონიშვილი, რომლის შეთქმულება მნიშვნელოვანი ფურცელია აღმოსავლეთ საქართველოს იმდროინდელი ისტორიისა.

სამეფო ლეგიტიმიზმი გულისხმობს შემდეგ პრინციპს: მონარქის კანონიერ მემკვიდრედ ითვლება მისივე უფროსი ვაჟი. თუ ეს უკანასკნელი ცოცხალი აღარ არის, მაშინ მისი უფროსი ძე. თუ ცოცხალი არც ის არის, ამ შემთხვევაში მეფობის უფლება მომდევნო ძმას გადაეცემა.

1750 წლის 1 თებერვალს, 50 წლის ასაკში, როდესაც გარდაიცვალა ბაქარ ვახტანგის ძე ბაგრატიონი, რომელსაც აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე ლეგიტიმური უფლება გააჩნდა დაეკავებინა ქართლის სამეფო ტახტი, ეს უფლება გადავიდა მის უფროს ვაჟზე - ალექსანდრეზე. ალესანდრე ბატონიშვილი რუსეთის საიმპერატორო კარზე მსახურობდა. იგი მეტად დაახლოებული იყო ოფიცერთა წრეებში. აღსანიშნავია, რომ მას ცოლად ჰყავდა დარია მენშიკოვა, რომელიც გახლდათ იმპერატორ პეტრე 1-ლის უახლოესი მეგობრის შვილიშვილი. 60-იანი წლების დასაწყისში ალექსანდრე - „პრინცი გრუზინსკი„(როგორც მას უწოდებდნენ რუსეთის სამეფო კარზე) გააქტიურდა, რაც განპირობებული იყო თეიმურაზ მეორის გარდაცვალებით (მეფე 1762 წლის 8 იანვარს პეტერბურგში გარდაიცვალა) და ერეკლე მეორის ქართლ-კახეთში გამეფებით. მიუხედავად მისი სურვილისა ის იძულებულია რუსეთში დარჩეს. შემდეგ ალექსანდრემ რამდენჯერმე სცადა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ უშედეგოდ. საინტერესოა ბატონიშვლის ოპტიმისტური განწყობა, როგორც წყაროებში ჩანს მას ღრმად სწამდა, რომ დაიკავებდა ქართლს, გააერთიანებდა საქართველოს, დაიმორჩილებდა კავკასიას და დაიპყრობდა ირანის იმპერიასაც. თუმცა, ბატონიშვილის ეს იმედები ცარიელ ნიადაგზე არ ყოფილა აღმოცენებული; ფაქტია, მას ქართლში ჰყავდა მომხრეები, რომლებიც აწვდიდნენ ინფორმაციას სამეფოში მიმდინარე მოვლენებზე. მსგავსად ალექსანდრესი თავისი მომხრეები გაიჩინა შემდგომ პაატა ბატონიშვილმაც.

პაატა ბატონიშვილი იყო ვახტანგ მეექვსის უკანონო შვილი, რომელიც ხარჭისაგან ჰყავდა, ჩვენ არ ვიცით დედის სახელი, არც წარმომავლობა. წყაროთა სიმწირის გამო დაზუსტებით, არც ისაა ცნობილი თუ რომელ



წელს დაიბადა პაატა, ივარაუდება რომ ეს შეიძლება იყოს 1720 წლიდან 1722 წლამდე პერიოდი. ვახტანგ მეექვსის რუსეთში წასვლის შემდეგ მცირეწლოვანი პაატაც სამშობლოდან მოშორებით ცხოვრობდა. სწორედ რუსეთში მიიღო მან განათლება, შეიყვანეს სამხედრო სკოლაში, სადაც შეისწავლა არტილერია. მისი მდგომარეობა მამის გარდაცვალების შემდეგ გართულდა (ვახტანგ მეექვსე 1737 წლის 26 მარტს ასტრახანში გარდაიცვალა). პაატა არ ითვლებოდა ვახტანგის სხვა შვილების თანაბარი უფლებების მქონედ. ეს დასტურდება იმითაც, რომ ქართველი მეფის ოჯახის შესანახად ყოველწლიურად გამოყოფილ ფინანსებში მას ბოლო ადგილი ეკავა. როგორც ლ. ტუხაშვილი აღნიშნავდა რუსეთის საიმპერატორო ხაზინიდან ვახტანგ მეექვსის ოჯახი ფინანსური დახმარების სახით ყოველწლიურად იღებდა: „ვახტანგ მეექვსის ქვრივი დედოფალი რუსუდანი - 2500 მანეთს, არტილერიის გენერალ-პორუჩიკი ბაქარი - 2000 მანეთს, პოლკოვნიკი ბატონიშვილი გიორგი - 1500 მან, ბატონიშვილ სიმონის ქვრივი ბავშვებით - 3000 მან, ბატონიშვილი ანა - 300 მან, მეფის ძმა ბატონიშვილი ათანასე - 300 მან, პაატა ბატონიშვილი - 300 რუბლს". ეს სხვაობა შეიძლება აიხსნას პაატას უკანონო შვილობით, თუმცა აქვე საინტერესო ისიც, რომ (ცნობილი ქართველი გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი, ავტორი ცნობილი სამეცნიერო თხზულების „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", რომელიც პაატას მსგავსად ვახტანგ მეექვსის უკანონო ვაჟი იყო) ვახუშტი ბატონიშვილი 5-ჯერ მეტ (1500) თანხას იღებდა, ვიდრე პაატა უფლისწული. მისი მდგომარეობა წლიდან წლამდე თანდათან უარესდებოდა. 1745 წლის მაისში პაატამ რუსეთის სამეფო კარზე სამხედრო სამსახურში აყვანა ითხოვა, მაგრამ რუსეთი საკუთარი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა, ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ თუ ბატონიშვილი სპარსეთში მოხვდებოდა მისი სამხედრო განათლება შესაძლოა მათ გამოეყენებინათ და საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში იმპერია არც ქართული სამხედრო ხელოვნების განვითარებას შეხვდებოდა დადებითად. აღნიშნულის გათვალისწინებით პაატას შესთავაზეს პოდპოლკოვნიკობა ქვეით პოლკში, მაგრამ ეს არ იყო ის, რაც პაატას რეალურად სურდა, სწორედ ამიტომ უკმაყოფილო ბატონიშვილმა მალულად დატოვა რუსეთი.

არცთუ სახარბიელო ურთიერთობა ჰქონდა თავად ბატონიშვილებს ერთმანეთთან, რასაც მოწმობს 1751 წლის გიორგი ბატონიშვილის უგულებელყოფა პაატას თხოვნისადმი. ოსმალეთის დედაქალაქში გადახვეწილი პაატა ბატონიშვილი ძმისგან ფინანსურ დახმარებას ითხოვდა, მაგრამ ამაოდ. პაატა სტამბოლში 1749 წლის აგვისტოდან იმყოფება, ხოლო თბილისში 1752 წელს ჩამოდის.

ქართლში დაბრუნებული ბატონიშვილი, ამ შემთხვევაში, გვევლინება როგორც ტახტის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი, მაგრამ მან კარგად იცის თუ როგორ ძლიერია ამ პერიოდში თეიმურაზი და ერეკლე, როგორი დამოკიდებულება აქვს ხალხს მათ მიმართ. სამშობლოში დაბრუნებული პაატა სტუმართმოყვარეობით მიიღო სამეფო ოჯახმა, ბოლოს და ბოლოს ის ხომ თეიმურაზისთვის ცოლისძმა იყო, ხოლო ერეკლესთვის დედის ძმა ანუ ბიძა. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით პაატა „იყო კაცი ესე ფრიად მეცნიერ". ბატონიშვილს რომ კარგად შეხვდნენ სამშობლოში, ეს არცაა გასაკვირი, რადგან როგორც ქართლის ისე კახეთის მეფეებმა კარგად იცოდნენ, რომ რუსეთში მას განათლება ჰქონდა მიღებული და შეიძლებოდა მისი დასაქმება ამ მხრივ. 1759 წელს იგი ინიშნება თბილისის მოურავად და სამხედრო მრჩევლად, აქტიურად მონაწილეობს არტილერიის შექმნაში. არც ისაა გასაკვირი, რომ „მუხრანელი" მეფეების მოსურნე ბევრი წარჩინებული სიხარულით შეხვდებოდა ბატონიშვილის ჩამოსვლას, მიუხედავად იმისა, რომ ის უკანონო შვილი იყო. იმის გამო რომ ჩვენ ხელთ წყაროთა საკმაოდ მწირი მასალაა, ძნელია პაატას ცხოვრების ყველა დეტალის დადგენა, რომელიც 1752-65 წლებს უკავშირდება.

ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო მოგვარებული ქართლისა და კახეთის შიდა დინასტიებს შორი არსებული კონფლიქტი. პაატა ბატონიშვილის სამშობლოში დაბრუნებამ ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. მის გარშემო გაერთიანდნენ თავადები, რომელთა თავშეყრის ადგილი იყო ვინმე მარკოზაშვილის ბინა, სწორედ ამიტომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის მეფისადმი ოპოზიციურად განწყობილ თავადაზნაურთა დასს „მარკოზაშვილის დარბაზელები" ეწოდა. აღნიშნული დასი უკმაყოფილო იყო კახეთის სამეფო შტოს წარმომადგენლის - ერეკლე მეორის ქართლში გამეფებით. რეალურად კი თითოეულ მათგანს პირადი ინტერესი გააჩნდა, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ერეკლე მეფის მიერ დამყარებულ ცენტრალურ ხელისუფლებას. XVIII საუკუნის ეს მოვლენა განაპირობა, როგორც საგარეო ფაქტორმა, ასევე გამწვავებულმა შიდაპოლიტიკურმა კრიზისმა, არისტოკრატთა რეაქციულმა წრეებმა, რომლემაც სავარაუდოდ მცირე რაოდენობის, მაგრამ მაინც შემოიკრიბეს სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები.

„ამგვარად, პაატა ბატონიშვილის შეთქმულება სრულიად არ იყო შემთხვევითი და მოულოდნელი აქტი. ფაქტია, გამოსვლა შეამზადა მე-18 საუკუნის 60-იანი წლების ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკურმა სიტუაციამ" აღნიშნავს ლოვარდ ტუხაშვილი.

ნიშანდობლივია, რომ „განჩინების" დედანი არ არის შემონახული, სადაც აუცილებლად იქნებოდა შეთქმულების მონაწილეთა სრული სია. „რეაქციონერი ქართლელი ფეოდალები" იყვნენ: დიმიტრი ამილახვარი, ალექსანდრე ამილახვარი, ელიზბარ თაქთაქიშვილი, არდაშელ თაქთაქიშვილი, გლახა ციციშვილი, დავით აბდულა-ბეგის ძე. რაც არ უნდა უცნაური იყოს ამ შეთქმულების შესახებ არაფერს ამბობს ომან ხერხეულიძე, ერეკლე II-ის ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „მეფობა ირაკლი მეორისა, მეფის თეიმურაზის ძისა", მეტიც ის საერთოდ არ მოიხსენიებს პაატას. პაპუნა ორბელიანის ნაშრომი „ამბავნი ქართლისანი" მოდის 1757-58 წლებამდე და ბუნებრივია თავად შეთქმულებაზე მასში არაფერია ნათქვამი.

რაც შეეხება თავად შეთქმულებას, შეთქმულთა გეგმის თანახმად, გადაწყდა, რომ უეცარი შეტევით აელოთ მეფის სასახლე და მთლიანად ამოეწყვიტათ ერეკლეს დიდი ოჯახი. მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე თუ რატომ უნდა დაწყებულიყო იერიშზე გადასვლა დეკემბერში? ეს აიხნება პირველ რიგში სამეფო ოჯახის სრული თავყრილობით და პაატას შიშით - არ დაბრუნებულიყო ალექსანდრე ბაქარის ძე ქართლში, რომელსაც ლეგიტიმიზმის პრინციპიდან გამომდინარე მასზე მეტი უფლება გააჩნდა ქართლის სამეფო ტახტზე. შეთქმულებს ჰქონდათ დეტალურად შემუშავებული გეგმა, რომელიც წარმატებით უნდა გახორციელებლიყო, თუმცა მათ ვერ გაითვალისწინეს ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ერეკლე ქართველი ხალხისთვის თავდადებულ მეფედ - „პატარა კახად" იქცა, რომლის ღალატიც არ იქნებოდა ადვილი. ქართლში კარგად ხედავდნენ თუ რას აკეთებდა მეფე სამეფოს გაძლიერებისათვის. ბევრი იყო ისეთიც, რომელსაც მეფის ჯარში უბრძოლია.

პაატა ბატონიშვილის შეთქმულება გასცა მისმა ერთ-ერთმა უშუალო მონაწილემ დათუნა ფეიქარმა. სამწუხაროდ ,ამ ადამიანის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია არ გვაქვს, ერთი ვერსიით ის იყო წარმოშობით ქართველი, მართლმადიდებლობაზე ახლად მოქცეული თბილისელი ხელოსანი, რომლის ცოლიც იმხანად თეიმურაზ ბატონიშვილის (შემდგომში კათალიკოსი ანტონ მეორე) ძიძა იყო. ეს ფაქტი შეთქმულებს საშუალებას აძლევდათ სასახლეში დღის ნებისმიერ მონაკვეთში შესულიყვნენ, დახმარების სანაცვლოდ ფეიქარს დაპირდნენ 3000 მანეთს და აზნაურის წოდებას. მაგრამ ვითარება რადიკალურად განვითარდა. დათუნა ფეიქარმა შეთქმულების შესახებ ისაუბრა აღსარებაში, რომელიც თავის მოძღვარს ქრისტესიას ჩააბარა. მოძღვარი იძულებული გახდა საეკლესიო საიდუმლოება დაერღვია და სამეფო კარი აღნიშნულის შესახებ გაეფრთხილებინა. სამეფო კარმა მოკლე დროში მოახერხა მობილიზება, ერეკლე მეორე და მისი გარემოცვა შეუდგა დამნაშავეების ერთდროულად დაპატიმრებას, რაც წარმატებით განახორციელეს. შეთქმულები მეტეხის ციხეში გადაიყვანეს. პ. ცხვილოელი შეთქმულების გახსნის სხვა ვერსიას ასახელებს, რომლის მიხედვითაც დათუნა ფეიქარმა მეუღლეს გაანდო შეთქმულების შესახებ, ამ უკანასკნელმა კი ეს დარეჯან დედოფალს აცნობა. ფაქტი ერთია, შეთქულება ჩავარდა და მათ თავიანთი განზრახვა ბუმერანგივით დაუბრუნდათ უკან.

უშუალოდ მეფის ხელმძღვანელობით დაიწყო აღნიშნული ფაქტის გამოძიება. თავად ერეკლე უკვე კარგად ხვდებოდა თუ რა იყო დაგეგმილი მისი და მისი ოჯახის წინააღმდეგ და რომ აუცილებელი იყო დამნაშავეების გასამართლება. გამოძიების შემდეგ მეფის დადგენილებით თბილისში მოიწვიეს დარბაზის გაფართოებული სხდომა, როგორც ალ. ორბელიანი აღნიშნავს დარბაზობას ესწრებოდნენ: „ქართლ-კახეთიდან თავადაზნაურნი და პირველი სახლის შვილი გლეხნი, რაც მთებში პირველნი კაცნი ყოფილან". ეს სხდომა მიმდინარეობდა მეფის სასახლეში. ერეკლე მეორე გამოვიდა არა როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, არამედ, როგორც რიგითი მომჩივარი. ის შეთქმულებს ადანაშაულებდა მცირეწლოვან ბატონიშვილთა დახოცვის გეგმის შემუშავებაში, რაც საკმაოდ მძიმე ბრალდებაა. მაშინდელმა პატრიარქმა ანტონ პირველმა (ერისკაცობაში თეიმურაზ იესეს ძე ბაგრატიონი) შეთქმულები შეაჩვენა, ის წუხდა რომ შეთქმულების მონაწილენი იყვნენ თავისი ძმიშვილი დავით აბდულაბეგის ძე და ბიძაშვილი პაატა ვახტანგის ძე.

შეთქმულთა დასჯა მოეწყო 1765 წლის 15 დეკემბერს სამ ადგილას: რიყეზე, ანჩისხატის ტაძრის ეზოში და მეტეხის ციხის ძირში. როგორც პ.ცხვილოელი გადმოგვცემს, დასჯას ხელმძღვანელობდა მდივანბეგი ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი და მას ეხმარებოდა სუფრაჯი ზურაბი. სასჯელის აღსრულებას ესწრებოდა და იცავდა კახელთა რაზმი, სავარაუდოა, რომ მეფე ბოლომდე არ ენდობოდა იქ დამსწრეებს და მოერიდა ვითარების შესაძლო გართულებას. საბოლოო განაჩენი საკმაოდ მკაცრი და სასტიკი აღმოჩნდა შეთქმულთა მიმართ, თავადი ელიზბარ თაქთაქიშვილი კოცონზე დაწვეს, დავით არჩილის ძეს (აბდულაბეგის ძე) ხმლით თავი მოჰკვეთეს, თავად გლახა ციციშვილს ენა ამოშანთეს, თავად დიასამიძეს ცალი თვალი ამოთხარეს და მარჯვენა ხელზე ცერა თითი მოჰკვეთეს, ელიზბარ თაქთაქიშილის ვაჟს იასეს ხელი მოჰკვეთეს და თვალი დასთხარეს, სახლთუცუხესი თავადი დიმიტრი ამილახვარი საჯაროდ შეარცხვინეს, ვირზე უკუღმა შესმული დედაქალაქის ქუჩებში ჩამოატარეს, ხოლო მის ძეს 15 წლის თავადიშვილ ალექსანდრეს (შემდეგში „გეორგიანული ისტორიისა" და „ბრძენი აღმოსავლეთისა„-ს ავტორი) ცხვირი მოაჭრეს და ფეხის მყესები გადაუჭრეს, რაც შეეხება შეთქმულების მთავარ პირს პაატა ბატონიშვილს, მას თავი მოჰკვეთეს.

როგორც ალექსანდრე ორბელიანი აღნიშნავს, დათუნა ფეიქარს იმაზე მეტი მიეცა, ვიდრე მას პაატა ჰპირდებოდა, 3000 მანეთი, სამამულოდ ცალკე სოფელი და აზნაურის წოდება. კათალიკოსმა ანტონ პირველმა კი მას „მახარობელი" — „ევანგელისტი უწოდა".

აი ასეთი აღმოჩნდა ბატონიშვილის შეთქმულება და მისი ტრაგიკული დასასრული. 1765 წლის შეთქმულების აღკვეთით ერეკლე მეორემ მოახერხა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედი ოპოზიციის შეჩერება და თავისი ხელისუფლების განმტკიცება.

თსუ სტუდენტები:

**ნინო მელუა,**
**ვიტალი მაჭავარიანი**

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404511658
მთ. რედაქტორი ლეილა ცომაია
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
ვებგვერდი: http://ganmatavisuflebeli. webs. com
ელ. ფოსტა: ganmatavisuflebeli@yahoo. com